

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი



მკმპიზი

სტუდენტთა სამეცნიერო შრომები

თბილისი
2016



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მ ა ს ა ლ ე ბ ი

VII სტუდენტური რეგიონთაშორისო
რესპუბლიკური კონფერენცია

ურთიერთობათა და კონფლიქტების
დარეგულირებისათვის

ჰუმანიტარული და კულტურულ-საგანმანათლებლო
მიმართულების პროექტი

VII სტუდენტური რეგიონთაშორისი
რესპუბლიკური კონფერენცია

მასალები



უნივერსიტეტის
გამომცემლობა

რედკოლეგია:

რედკოლეგია:

თამარ პაიჭაძე (მთავარი რედაქტორი)

კონფერენციის ხელმძღვანელი, ორგანიზატორი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, პროექტის ხელმძღვანელი

კახაბერ ლორია (რედაქტორი)

კონფერენციის ხელმძღვანელი, ორგანიზატორი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი

ნინო მინდიაშვილი (კოორდინატორი) პროფესორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროფესორები: ნანი გელოვანი, როზეტა გუჯეჯიანი, ქეთევან სიხარულიძე, ანასტასია ზაქარიაძე, ირინა მირიჯანაშვილი, ნინო ჩიხლაძე, ქეთევან დადიანი, ლელა ბახტაძე, ნანული ოქრუაშვილი, ნანა გონჯილაშვილი, ეკატერინე ნავროზაშვილი, თამარ შარაბიძე, ნინო მინდიაშვილი ინგა სანიკიძე, ნათელა მოსიაშვილი, მარი წერეთელი, ნინო ჭალაგანიძე. (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)

ს ა რ ზ ე ვ ი:

თამარ მურჯიკნელი

ინდივიდუალური პასუხისმგებლობის პრინციპი ქართულ სისხლის სამართალში და მასთან დაკავშირებული ხარვეზები 9

შალვა ჩიხლაძე

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის ფორმაცია 1949-2015 წლები, (იდეოლოგიური და ეროვნული ინტერესები ერთმანეთის პირისპირ) 13

ირაკლი ფერაძე

დალის ხეობის შუა საუკუნეების ისტორიიდან 21

გიორგი ვერულაშვილი

ქართულ-დაღესტნური კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან (დაღესტნის ქართული ანბანით შესრულებული წარწერების შესახებ)..... 25

ნანი მანველიშვილი

ხუროთმოძღვრული ძიებანი შუა საუკუნეების მესხეთში 28

ნუბარ ბაირამოვა

არაქართველთა განათლების პრობლემა საქართველოში 37

გიორგი ბეროშვილი

წყალმცენარეებიდან ბიოდიზელის მიღება 41

ნათელა ზედგენიძე

სადაზღვევო ბიზნესი საქართველოში 43

ანა დოლიძე

სიზმრის მხატვრული ფუნქცია მხატვრულ ტექსტში..... 47

ნათია ბოტკოველი

ზაქარია ჭიჭინაძე, ძველი ქართული მწერლობის კვლევის სათავეებთან 57

მარიამ აზირაშვილი, ნინო გიგინეიშვილი

ქალი შიო არაგვისპირელის შემოქმედებაში..... 59

ნინო ცარციძე, სოფო ყავრელიშვილი

დარიანული ციკლის პარადიგმები 63

ანა გოგილაშვილი

პოეტის ფუნქცია ვალერიან გაფრინდაშვილის „ლირიკის ელიზეუმის“ მიხედვით..... 66

გიორგი ლომსაძე

გრამატიკული სქესის გამოხატვის საკითხი ქართულ ენაში 69

Мариана Асанидзе

Разговариваем молча: к вопросу о невербальном общении в журналистике 73

მარიამ ტუხაშვილი

ქალთა მწერლობა ნორვეგიაში 78

მარიამ მანია

ვიკინგები საქართველოში, რატომ იბრძვიან ისინი საქართველოში და რატომ იქცა მათი პირველი გამოჩენა უკანასკნელად? 81

ია ბაკურაძე

ოდ ნერდრუმი - უხამსი გენიოსი ძველი ოსტატების კვალდაკვალ 85

წინასიტყვაობა

წინამდებარე კრებულში თავმოყრილია 2015 წლის ივნისის თვეში ჩატარებული სტუდენტთა VII რეგიონთაშორისი კონფერენციის მასალები, რომლებიც არჩეულ იქნა კონფერენციის პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილ მოხსენებათა შორის.

კონფერენციაზე წარმოდგენილი 200-ზე მეტი განაცხადიდან კონფერენციაზე წარსადგენად შეირჩა 14 სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში მომზადებული 86 მოხსენება. შესაბამისად, წარმოდგენილი მასალების მრავალფეროვნების, მრავალმიმართულებრივი პრობლემატიკის კვალობაზე მუშაობდა 10 სხვადასხვა სასწავლო – სამეცნიერო თემატიკის სექცია. წარმოდგენილ მასალათა შორის ნაშრომების კვლევისა და ანალიზის კომპონენტების, ინდივიდუალიზმისა და თავისთავადობის, მეცნიერული, მორალური პოზიციისა და ხარისხის გათვალისწინებით, ჯერ კიდევ კონფერენციაზე, სექციური მუშაობისას, გამოქვეყნებისათვის რეკომენდაცია გაეწია ნაშრომთა ერთ ნაწილს.

შემდგომ სარედაქციო კოლეგიამ იმუშავა შერჩეულ და გამოგზავნილ მასალებზე. სწორედ ამ შერჩევისა და შესრულებული სამუშაოს შედეგები შედეგები აისახა „მერმისის“ ამ ახალ კრებულში და შეირჩა 30 მოხსენება სხვადასხვა სპეციალობებიდან.

საორგანიზაციო ჯგუფისათვის კვლავ რჩება მთავარ სამუშაო პრინციპად ჩვენი პროექტის: „ერთიერთობათა და კონფლიქტების დარეგულირებისათვის“ ძირითადი იდეის განხორციელება: ინტერგრირება და თანამშრომლობა სხვადასხვა სასწავლო და სამეცნიერო ინსტიტუტების მკვლევარებთან და სტუდენტებთან.

ტრადიციისამებრ, „მერმისის“ წინამდებარე კრებულისგან ამ ღირებულებათა წარმომჩენია.

თამარ პაიჭაძე

2016 წლის მარტი

თამარ მურაძინელი

*სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი; ბაკალავრიატი
ხელმძღვანელები, პროფესორები: ნუგ ზარ თევდორაძე, ზვიად გოგრიჭიანი*

**ინდივიდუალური პასუხისმგებლობის პრინციპი ქართულ სისხლის სამართალში და
მასთან დაკავშირებული ხარვეზები**

სასჯელი ეს არის სახელმწიფოს განსაკუთრებული იძულების ღონისძიება, რომელიც ენიშნება დამნაშავეს სახელმწიფოს სახელით სასამართლოს მიერ განაჩენით სისხლის სამართლის კანონის სანქციით გათვალისწინებულ ფარგლებში და დაკავშირებულია დამნაშავეს კონსტიტუციით მინიჭებული უფლებებისა და თავისუფლებების შეზღუდვასთან და იწვევს ნასამართლეობას. ზოგადად, „სამოსამართლო საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მომენტს ბრალის ხარისხის შესაბამისი სასჯელის დანიშვნა წარმოადგენს“ - წერს მერაბ ტურავა. აღნიშნული საჯელის შედეგად მიღწეული უნდა იყოს გარკვეული მიზნები, ამაზე მიუთითებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლის I ნაწილი - „სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავეს რესოციალიზაცია“.

მსოფლიოს უმეტესი ქვეყნების და მათ შორის საქართველოს კანონმდებლობა აღიარებს საჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპს. მართლაც ინდივიდუალური პასუხისმგებლობის პრინციპი ერთ-ერთი ფუნდამენტური მიღწევაა თანამედროვე სამართალში. ამაზე ნათლად მიუთითებს სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდება რომის სტატუსი, რომელიც აგრეთვე რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის მიერ 2003 წელს. აღნიშნული წესდების 25-ე მუხლის II ნაწილის თანახმად „სასამართლოს იურისდიქციაში შემავალი დანაშაულის ჩამდენ პირს ეკისრება ინდივიდუალური სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა და ისჯება წინამდებარე წესდების შესაბამისად“. ეს თვალსაზრისი გამორიცხავს კოლექტიური პასუხისმგებლობის პრინციპს, რომელსაც ასე თუ ისე თავი დააღწია კაცობრიობამ. ახლა კი მოკლედ მიმოვიხილოთ თუ რაში მდგომარეობს სასჯელის ეს ორი მნიშვნელოვანი პრინციპი - ინდივიდუალური და კოლექტიური პასუხისმგებლობა.

დავიწყოთ საუბარი უშუალოდ ინდივიდუალური პასუხისმგებლობის პრინციპით. როგორც ზემოთ ვახსენეთ თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოების უმრავ-

ლესობის და მათ შორის ჩვენი ქვეყნის კანონმდებლობა ემყარება პერსონალური პასუხისმგებლობის პრინციპს. ეს პრინციპი ეფუძნება იმ იდეას, რომ ჩადენილი ბრალეული ქმედებისთვის პასუხს აგებს მხოლოდ მისი ჩამდენი პირი და არა სხვა მესამე პირი, რომელიც კონკრეტული სისხლის სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე სუბიექტი არ არის. როგორც ეს შეიძლება მოხდეს სამოქალაქო სამართალში და ნაწილობრივ ადმინისტრაციულ სამართალში. ცხადია, შვილის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის მშობლები ზნეობრივ პასუხისმგებლობას თავს ვერ დააღწევენ, მაგრამ ეს სხვა საკითხია. არ შეიძლება პირმა აგოს პასუხი იმ ქმედებისათვის, რომლის ჩადენაშიც მისი ბრალეულობა არ დგინდება. პირადი პასუხისმგებლობის პრინციპი სისხლის სამართალში ნიშნავს, რომ პირის პასუხისმგებლობის საკითხი მხოლოდ მაშინ შეიძლება დადგეს, თუ მას ბრალი პირადად, ინდივიდუალურად მიუძღვის მისი მოქმედების ან უმოქმედობისათვის. ამ პრინციპს სისხლის სამართალში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მკაცრად პერსონალურია. პირადი პასუხისმგებლობის პრინციპი იცავს პირს იმისგან, რომ მან არ აგოს პასუხი იმ ქმედებისათვის, რომელიც მას არ ჩაუდენია. პირადი პასუხისმგებლობის პრინციპი მოიცავს არა მარტო ფორმალურ სამართლებრივ გარანტიებს, არამედ ვრცელდება მატერიალური სამართლის სხვადასხვა სფეროზე.

რაც შეეხება კოლექტიური პასუხისმგებლობის პრინციპს, ის რადიკალურად ეწინააღმდეგება პირადი პასუხისმგებლობის პრინციპს. კოლექტიური პასუხისმგებლობა ნიშნავს იმას, რომ ჩადენილი მართლ-საწინააღმდეგო ქმედებისათვის შესაძლოა პასუხი აგოს არამარტო უშუალოდ დამნაშავევ ანუ მართლ-საწინააღმდეგო ქმედების ჩამდენმა არამედ სხვა ადამიანებმაც, რომლებსაც მოცემულ დანაშაულში ბრალი არ მიუძღვით. საინტერესოა ის ფაქტი, რომ თუ ჩვენ სხვადასხვა ქვეყნების სამართლის ისტორიას თვალს გადავავლებთ თვალნათლივ დავინახავთ, რომ სასჯელის ერთ-ერთ სახეს სწორედ კოლექტიური პასუხისმგებლობა წარმოადგენდა. ხშირი იყო ის შემთხვევები, როდესაც დამნაშავესთან ერთად პასუხს მთლიანად მის ოჯახს ან თუნდაც მთელს თემს აგებინებდნენ. მაგალითად, ადამიანს, რომელიც რაიმე მძიმე დანაშაულს ჩაიდენდა, განსაკუთრებით კი მკვლელობას, სოფლიდან ამევენდნენ თავის ოჯახთან ერთად. ამ პრიციპს ჯერ კიდევ ძველი სახელმწიფოთა სამართალი იცნობს. საინტერესოა ინფორმაცია არსებობს ხამურაბის კანონებში, რომელიც ცნობს კოლექტიური პასუხისმგებლობის პრინციპს, მაგალითად, მშობლების პასუხისმგებლობა შვილების მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის. ადრეფეოდალური ხანის სალიკურსამართლოშიც ვხვდებით მსგავსი ცნობებს, სალიელი ფრანკები იცნობდნენ კოლექტიური პასუხისმგებლობის ინსტიტუტს. მკვლელთან ერთად პასუხისმგებლობა ეკისრებოდა დამნაშავეს უახლოეს ნათესავებსაც როგორც ქონებრივად ასევე პირადადაც. აგრეთვე, ძველ ქართულ სამართალშიც ვხვდებით მსგავს შემთხვევებს.

როგორც უკვე ავღნიშნეთ კოლექტიური პასუხისმგებლობის ეს ფორმა უგულუბელყოფილია საქართველოს და მათ შორის თანამედროვე ქვეყნების მიერ. თუმცა იურისტების გარკვეული ნაწილი მიიჩნევს, რომ მისი გადმონაშთები მაინც არის ასახული ახლანდელ ქართულ სისხლის სამართალში. მათ შორის მეც ვიზიარებ ამ პოზიციას. ეს ეხება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 42-ე მუხლის მე-5¹ ნაწილს.

სსკ-ის 42 მუხლის მე-5¹ ნაწილის თანახმად „თუ მსჯავრდებული არასრულწლოვანი და გადახდისუუნაროა, სასამართლო მისთვის დაკისრებული ჯარიმის გადახდას აკისრებს მშობელს, მეურვეს ან მზრუნველს“.

ამ ნაწილიდან გამომდინარეობს, რომ იმ შემთხვევაში თუ სასამართლო არასრულწლოვანს, რომელიც გადახდისუუნაროა დააკისრებს ჯარიმას ის უნდა გადაიხადოს მისმა კანონიერმა წარმომადგენელმა. ეს ეწინააღმდეგება ინდივიდუალური (პირადი) პასუხისმგებლობის პრინციპს, რადგან პასუხს აგებს არა არასრულწლოვანი, რომელმაც ჩაიდინა ბრალეული ქმედება არამედ მისი მშობელი იძულებულია, რომ გადაიხადოს ჯარიმა. კანონიერ წარმომადგენელს ეს ყველაფერი ეკისრება დანაშაულის ჩადენისა და გამამტყუნებელი განაჩენის გარეშე, იმიტომ რომ მისი არასრულწლოვანი შვილი გადახდისუუნაროა. ვფიქრობ, რომ ეს არ არის სამართლიანი გადაწყვეტილება.

ეს მოსაზრება ჩვენ შეგვიძლია მრავალმხრივ დავასაბუთოთ.

1) ზოგადად სასჯელის მიზნები ყველაზე ეფექტურად უშუალოდ მსჯავრდებულზე ემოქმედებით მიიღწევა. ხოლო იმ პირობებში, როცა ჯარიმას არასრულწლოვანის ნაცვლად მისი მშობელი იხდის, მსჯავრდებულზე სასჯელის ზემოქმედების ხარისხი დაბალია. აქ ჩვენ ე.წ. დაუსჯელობის სინდრომს ვაწყდებით. მართალია, სასამართლოს არასრულწლოვანის მიმართ გამოაქვს გამამტყუნებელი განაჩენი, მაგრამ მასზე არ მოქმედებს აღნიშნული სასჯელი. სასჯელის მიზანი ხომ დანაშაულის თავიდან აცილებაა, ეს პირდაპირაა მითითებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში, მაგრამ როდესაც არასრულწლოვანმა იცის, რომ თუ ის გარკვეული სახის დანაშაულს ჩაიდენს, შესაძლოა მისი პასუხისმგებლობა თავისი მშობლების მიერ ჯარიმის გადახდით შემოიფარგლება, ალბათობა იმისა, რომ ის დანაშაულის ჩადენისგან თავს შეიკავებს დაბალია. შესაბამისად, დანაშაულის თავიდან აცილებაც ნაკლებად მოქმედებს. ვფიქრობ, რომ არასრულწლოვანის მიმართ ალტერნატიული სასჯელი უნდა იქნეს გამოტა-

ნილი, რომელიც უშუალოდ მასზე იმოქმედებს. თითოეულმა დამნაშავემ საკუთარ თავზე უნდა იწვნოს პასუხისმგებლობა. რათა შემდეგ თავი შეიკავოს იგივე თუ სხვა დანაშაულის ჩადენაზე.

2) ამ მოსაზრების დასასაუბრებლად შეიძლება მოვიყვანოთ სხვა არგუმენტიც. როდესაც არასრულწლოვანის მიმართ სასამართლოს სასჯელის სახედ გამოაქვს ჯარიმა. შესაბამისად თუ მას ამ ჯარიმის გადახდა არ შეუძლია, მისი კანონიერი წარმომადგენელი, ანუ ფაქტობრივად მისი ოჯახი იხდის. ხშირ შემთხვევაში ოჯახებს ძალიან უჭირთ ამ თანხის გადახდა, ისინი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდებიან ხოლმე. იღებენ ვალებს, კრედიტებს და შემდეგ საკმაოდ დიდი ხანი უწევთ მისი გასტუმრება. სსკ-ის 42-ე მუხლის მე-2 ნაწილში პირდაპირაა მითითებული, რომ ზოგადად, ჯარიმის მინიმალური ოდენობაა 200000 ლარი, გამონაკლის შემთხვევებში კი 500 ლარზე ნაკლები, თუ ამ კოდექსის შესაბამისი მუხლის სანქცია სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას სამ წლამდე ვადით. ფაქტობრივად, ჩვენ მცირე თანხაზე არ გვაქვს საუბარი. ზოგიერთი ოჯახისათვის 200 ლარი მთლიანი თვის სარჩოა. მოკლედ, რომ ვთქვათ არასრულწლოვანზე აღნიშნული სასჯელის გამოყენებამ შესაძლოა მისი ოჯახი მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში ჩააგდოს.

3) თემაში წარმოდგენილ იდეას, ჰყავს როგორც მომხრეები აგრეთვე მოწინააღმდეგეები. იურისტების გარკვეული ნაწილი მიიჩნევს, რომ მშობელსა და შვილს შორის ურთიერთობა არ ამოიწურება მხოლოდ სისხლისმიერი, ბიოლოგიური კავშირით და რომ ამ ორ სუბიექტს კანონმდებელი მკვეთრად არ მიჯნავს ერთმანეთისგან. მათი აზრით, მშობლებსა და შვილებს შორის არსებობს განსაკუთრებული ურთიერთკავშირი, რომლისაგანაც გამომდინარეობს ვალდებულებები. მშობლები ვალდებულები არიან აღზარდონ თავიანთი შვილები საზოგადოების ღირსეულ წევრებად. მაგრამ, პრაქტიკიდან არც თუ იშვიათია ისეთი შემთხვევა, როდესაც მშობელი ყველაფერს აკეთებს შვილის საკეთილდღეოდ, მისი განვითარებისათვის და ღირსეულ პიროვნებად ჩამოყალიბებისათვის. მაგრამ მაინც ვხვდებით წინააღმდეგობას, შვილი ჩადის დანაშაულს. მაშინ რა ქნას მშობელმა? ის ისევე შვილის საკეთილდღეოდ იხდის ჯარიმას, რათა ის სასჯელადსრულების დაწესებულებაში არ მოხვდეს. თვით აკაკი წერეთელი გვეუბნება „მაგრამ მარტო წვრთნა რას უზამს, თუ ბუნებამც არ უშველა“. კარგ ადამიანად ჩამოყალიბებას მარტო აღზრდა არ შველის.

აღსანიშნავია, რომ სისხლის სამართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპი ჰუმანურობაა. აქედან გამომდინარე ადამიანთა გარკვეული ნაწილი მიიჩნევს, რომ არასრულწლოვანის მიმართ უფრო მსუბუქი სასჯელია ჯარიმა ვიდრე, სხვა სასჯელი, თუნდაც, თავისუფლების აღკვეთა. ეს გასაგებია მაგრამ ამ სასჯელს აღსრულებაში თვითონ არასრულწლოვანი არ მონაწილეობს. წარმოვიდგინოთ ასეთი შემთხვევა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა არ შეიძლება დაუწესდეს პირველი და მეორე ჯგუფის ინვალიდებს. ეს თავისთავად გარკვეული ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ისინი ვერ შეასრულებენ აღნიშნულ სასჯელს. იგივეა არასრულწლოვანების შემთხვევაში. ის გადახდისუუნაროა, მას არ აქვს სამსახური რომ შეძლოს ჯარიმის გადახდა, თან არც არის ვალდებული, რომ ჰქონდეს წესით სასამართლომ ჯარიმის გადახდა არ უნდა დაუწესოს, მაგრამ მაინც აკეთებს. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ საქართველოში არასრულწლოვანთა ნახევარზე მეტი არ მუშაობს და არ აქვს რეგულარული შემოსავალი ვხვდებით აშკარა წინააღმდეგობას.

საინტერესოა სსკ-ის 83-ე მუხლის პირვანდელ რედაქცია, რომლის თანახმადაც არასრულწლოვანს მხოლოდ დამოუკიდებელი შემოსავლის (ან სხვა ქონების) არსებობის შემთხვევაში შეეფარდება ჯარიმა. მაგრამ ეს მუხლი ამოღებულია კოდექსიდან. უკიდურეს შემთხვევაში 42-ე მუხლის მე-5¹ პრიმა ნაწილი უმჯობესია მოვიდეს ამ 83-ე მუხლის შესაბამისობაში. ან საერთოდ უნდა იქნეს ამოღებული კოდექსიდან 42 მუხლის მე-5¹ ნაწილი-სასამართლომ საერთოდ არ უნდა დაუწესოს ჯარიმა არასრულწლოვანს. ფაქტობრივად, ორი ალტერნატივა არსებობს.

სასამართლოს შეუძლია არასრულწლოვანის მიმართ გამოიყენოს სხვა ალტერნატიული სანქციები თუ სასჯელები. მაგალითად: საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, აღმზრდელობითი ზემოქმედების იძულებითი ღონისძიება, თავისუფლების შეზღუდვა და რა თქმა უნდა, უფრო მძიმე დანაშაულების შემთხვევაში თავისუფლების აღკვეთა(თოთხმეტ წელს მიღწეული პირისათვის). რათა თითოულმა არასრულწლოვანმა თავის თავზე იწვნოს სასჯელი, გააცნობიეროს, რომ მან არასწორი, არამართლობიერი ქმედება ჩაიდინა. ვფიქრობ, ამით სასჯელის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპი დანაშაულის თავიდან აცილების ზოგადი და კონკრეტული შემთხვევები უფრო სრულყოფილად შესრულდება.

აღნიშნული ნაშრომის მიზანი არაა ის, რომ გავართულოთ არასრულწლოვანთა მდგომარეობა. მაგრამ, უპირველესად გასათვალისწინებელია, რომ პერსონალური პასუხისმგებლობის პრინციპი სისხლის სამართალში უმთავრესია. და რომ ამ ერთ შემთხვევას არ უნდა შევეწიროთ სისხლის სამართლის, როგორც სამართლის ერთ-ერთი ფუნდამენტური დარგის, პრინციპები.

ნათელია, რომ თითოეული ქვეყნის განვითარებისათვის და წინსვლისთვის კარგი ახალგაზრდა თაობის არსებობა უპირველესი განძია. ამიტომ ყველა ქვეყანა განსაკუთრებით სათუთად უნდა მოექცეს არასრულწლოვანთა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისა და სასჯელის სახის დანიშვნის საკითხს. ამ მხრივ მივესალმები პროექტს, რომელიც შეეხება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანის საკითხს. აღნიშნული პროექტი ითვალისწინებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის შექმნას. ეს პროექტი ჯერ ხელმისაწვდომი არ არის.

იუსტიციის მინისტრის განმარტებით, კოდექსის პროექტი ითვალისწინებს მართლმსაჯულების ნებისმიერ ეტაპზე კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვის ინდივიდუალური მახასიათებლების გათვალისწინებას და მის მიმართ ინდივიდუალურ მიდგომას. ამ პროექტის ძალაში შესვლის შემთხვევაში სისხლის სამართლის კოდექსის 42-ე

მუხლის მე-5 ნაწილი ძალას დაკარგავს, ამ მხრივ საინტერესოა თუ როგორ გადაწყვეტს ახალი მართლმსაჯულების კოდექსი არასრულწლოვანებისათვის ჯარიმის დაკისრების საკითხს.

ვფიქრობ, აღნიშნული პროექტის განხორციელება არასრულწლოვანთა მდგომარეობას გააუმჯობესებს.

დამოწმებული და გამოყენებული ლიტერატურა:

1. დონჯაშვილი 2002; თ. დონჯაშვილი: „საქართველოს სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი“, თბილისი 2002 წელი.
2. ლომსაძე 2013; მ. ლომსაძე: „საქართველოს სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი“ ახალციხე 2013 წელი.
3. მეტრეველი 2013; ვ. მეტრეველი: „ქართული სამართლის ისტორია“, თბილისი 2013 წელი.
4. ნადარეიშვილი 2008; გ. ნადარეიშვილი: „სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია“, თბილისი 2008 წელი.
5. ტურავა 2006; მ. ტურავა: „სისხლის სამართალი“, თბილისი 2006 წელი.
6. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1404703>
7. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426#!>
8. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346>
9. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1404703>

შალვა ჩიხლაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი
ხელმძღვანელი: პროფესორი ნანა გელაშვილი

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის ფორმაცია 1949-2015 წლები, (იდეოლოგიური და ეროვნული ინტერესები ერთმანეთის პირისპირ)

შესავალი

დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ საქართველოსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის კავშირი საკმაოდ მყარი და თანმიმდევრული აღმოჩნდა, რომელიც გამოხატული იყო ახლო პოლიტიკური კავშირებით, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერითა და ეკონომიკური ურთიერთობის სამომავლო, სახარბიელო პერსპექტივით, მიუხედავად ამ ყველაფრისა სამწუხაროდ ქართულ აკადემიურ წრეებში ნაკლებად საუბრობენ ჩინეთის თანამედროვე საგარეო პოლიტიკის მისწრაფებებსა და მის ზოგად ნარატივებზე, რაც არასახარბიელო მდგომარეობას ქმნის, შესაბამისად ჩინეთის გაზრდილი როლის პირობებში, საერთაშორიო ეკონომიკურ და პოლიტიკურ სივრცის მულტიპოლარისზმისკენ მიდრეკილება გამო ნაშრომი საინტერესო უნდა იყოს საერთაშორიო ურთიერთობებით დაინტერესებული ადამიანებისთვის.

კვლევის ჰიპოთეზა

საერთაშორისო ურთიერთობების შემსწავლელ წრეებში სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკის ბუნების განსაზღვრისას ბევრი ფაქტორი ახდენს პოლიტიკის ბუნებაზე გავლენას. ზოგადი დაკვირვებით ჩანს, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკა ზომიერი არარექციული და მოზომილია ყველა გავლენიანი თუ ნაკლებგავლენიანი პოლიტიკური აქტორისადმი მსოფლიოში, შესაბამისად ჰიპოთეზა ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკა ელასტიურია საერთაშორიო პროცესებისადმი, დაფუძნებულია ეროვნულ ინტერესებსა და პრაგმატიზმზე და რბილი ძალის (უპირველესად, ეკონომიკური სარჩულის) პერსპექტივაზე და მასში ნაკლებად ჭარბობს იდეოლოგიური, მორალური და რეაქციული ელემენტები, რაც აღნიშნულ სახელმწიფოს მანერვულობის საშუალებას აძლევს.

კვლევის მეთოდოლოგია

თემაზე მუშაობისას გამოყენებული იქნება მეორეული წყაროების კონტენტ ანალიზი, საერთაშორისო ურთიერთობების ექსპერტთა მოსაზრებების შედარებითი ანალიზი, პირველადი წყაროების (უპირველესად ეკონომიკური დიაგრამებისა და დინამიკის გაცნობის შედეგად) მეტნაკლებად ხაზი გაესმევა საგარეო პოლიტიკის ეკონომიკურ ბუნებასა და მის მიმართებებს რბილი ძალის ფაქტორთან.

საკვლევი კითხვები

აღნიშნულ თემატიკაზე მუშაობისას ისმის შემდეგი კითხვები, რომელიც გაამარტივებს თემატიკის კვლევასა და იმ ბუნების გაანალიზებას, რაც ახასიათებს ჩინეთს საერთაშორისო ურთიერთობებში.:

რამდენად თანმიმდევრულია საგარეო პოლიტიკის ბუნებას კონრკეტულ რეგიონებთან და მ მიმართებით?

რა ძირითად ქვაკუთხედზეა დაფუძნებული ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია და რა ახდენს მის ფორმაციაზე გავლენას?

როგორი მოთამაშეა ჩინეთი საერთაშორიო ეკონომიკურ და პოლიტიკურ სისტემაში?

რბილის ძალის რა ელემენტს იყენებს ის თავისი ეროვნული ინტერესების დასაკმაყოფილებლად?

ეს ის ძირითადი კითხვებია, რაზეც პასუხის გაცემა ძირითადად მოგვცემს პასუხებს თემატიკის კვლევისას.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა რთული პროცესების, სისხლიანი სამხედრო შეტაკებისა და ხელისუფლების ტავანზე გაქცევის შემდეგ 1949 წლის პირველ ოქტომბერს გამოცხადდა, თუმცა ჩინელი ხალხის პოლიტიკური აზროვნება და მათი ბიოლოგიურად გამჯდარი ხედვები პოლიტიკისადმი არ ჩამოყალიბებულა მხოლოდ 1 ოქტომბერს. მას შემდეგ რაც რეგიონში იწყება კოლონიზაცია და დასავლეთევროპელებთან ვაჭრობა ჩინეთის, როგორც ხალხმრავალი და ნაყოფიერი სივრცის როლი წლიდან წლამდე იზრდებოდა რეგიონალურ თუ გლობალურ დონეზე, ამავდროულად მეცხრამეტე საუკუნეში ოპიუმის ომებისა და დაავლეთთან დაპირისპირების გამო, შეიძლება ითქვას გარკვეულწილად გარკვეული შეხედულება ჩამოყალიბდა ჩინელი ხალხისა საერთაშორისო ურთიერთობებში, მეოცე საუკუნეში იაპონური ოკუპაციისა და ჩაგვრის შედეგი იყო მათი ძედუნის მიერ მარქსიზმ-ლენინისტური იდეების ატაცება და შეურიგებელი ბრძოლა როგორც შიდა ასევე გარე მტრების მისამართით. 1954 წელს ჩინეთის მიერ გაცხადებული პოლიტიკა, რომელიც გულისხმობდა ჩინეთის თავდაუზოგავ მუშაობას წმინდა მიზნისკენ, რომელიც განპირობებული იყო მსოფლიო მშვიდობითა და ადამიანთა პროგრესით,¹ შეიძლება ითქვას მეტ-ნაკლები სიზუსტით მიყვება, რაც გულისხმობს მდრგად, სტაბილუ გაერთიანებასა და მშვიდობის ელემენტებით თამაშს საერთაშორისო ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ სიტუაციაში.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის ძირითადი პოსტულატები

რეალურად საერთაშორისო ურთიერთობის მკვლევარები გამოყოფენ რამდენიმე ძირითად ქვაკუთხედს, რომელზეც დაფუძნებულია ჩინეთის საგარეო პოლიტიკის პოსტულატები. სწორი იქნება ჯერ ჯერობით ძირითადი პოსტულატები განვიხილოთ, ხოლო შემდეგ უკვე კონკრეტული ლიდერების მიხედვით, ცვლილებები საგარეო პოლიტიკის მიმართულებებში. შეიძლება ითქვას ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკა დაფუძნებულია შემდეგ ნარატივებზე, ესენია:

✓ **დემოკრატიის მხარდაჭერა და თანასწორ პოზიციაში ჩაყენება ყველა საერთაშორისო აქტორის, რათა მიიღწეს თანამშრომლობის მაღალი ხარისხი,**

ამ პოსტულატში ნათლად ჩანს, საერთაშორისო ურთიერთობებში აქტორებს შორის არათანაბარი მდგომარეობა, რომელიც გარკვეულწილად მიუღებელია ჩინელი ხალხისთვის და ამავდროულად ისინი აქედან ხაზს უსვამენ განვითარებადი სახელმწიფოების ისეთივე თანაბარუფლებიანობას, როგორც განვითარებული სახელმწიფოების

✓ **ერთგვარი საერთაშორისო ჰარმონიის მხარდაჭერა, რომელიც დაფუძნებული იქნება ორმხრივი თუ მრავალმხრივი ნდობის საფუძველზე, რათა მიიღწეს საერთო უსაფრთხოება**

რეალურად თუ გადავხედავთ ჩინეთის განვითარების დინამიკასა და მისი ეკონომიკური წარმატების ფაქტორსაც გავითვალისწინებთ, ასეთი ტიპის ქვეყანას პირველ რიგში უნდა აწყობდეს სტაბილური განვითარება დაფუძნებული მრავალმხრივი ნდობასა და უსაფრთხოებაზე, რათა თავისი ეროვნული ინტერესები კარგად გაატაროს

✓ **სამართლიანობისა ხელშეწყობა და საერთო მოგების გაზრდა, რათა გაიზარდოს განვითარება დაკეთილდღეობა**

აღნიშნული თემატიკა დაკავშირებულია მეტწილად კომუნისტური იდეოლოგიის ფაქტორთან, რომელიც საერთო კეთილდღეობის გავრცელებაზეა ორიენტირებული და ისწრაფვის იმ უფსკრულის ამოსავსებად, რომელიც ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის არსებობს²

✓ **ტოლერანტობის ხელშეწყობა და საზოგადოების შექმნა, რომელიც მზად და ასევე მოწოდებული იქნება ცივილიზაციათა დიალოგისთვის**

¹ Qingmin, Z. (2010). Chinas Diplomacy. Beijing: China international press გვ, 7.

² http://csis.org/files/media/isis/pubs/080916_cbs_1_foreignpolicyf.pdf.

ასევე დასავლელი ექსპერტები გამოყოფენ კიდევ რამდენიმე პრინციპს რომელიც იკავებს საკმაოდ მნიშვნელოვან ადგილს პოლიტიკაში, ესენია

- ✓ *ორმხრივი პატივისცემა ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის*
- ✓ *ორმხრივი შეთანხმება აგრესიის არგასავრცელებლად*
- ✓ *ჩაურევლობა შიდა საქმეებში*
- ✓ *მშვიდობიანი თანაარსებობა*

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მმართველი კომუნისტური პარტიის მე-17 ეროვნული კონგრესზე პრეზიდენტმა ჰუ ძინტაომ გამოთქვა მოსაზრებები, თუ როგორ უნდა წარმართულიყო ჩინეთის საგარეო პოლიტიკა 2007 წლის შემდეგ, კონგრესზე გამოითქვა მოსაზრება, რომ „სოციალიზმის მშენებლობისთვის ჩინური თავისებურების გათვალისწინებით, საჭიროა მსოფლიოში ხელი შეეწყოს მშვიდობიან განვითარებასა და ჰარმონიული მსოფლიოს მშენებლობას“ რომელიც მიუღწეველი იქნებოდა ჩინელი ერის აქტიური კონტრიბუციის გარეშე. ზედაპირული ანალიზის შედეგად ჰარმონიული მსოფლიოს ფაქტორის წარმოჩინება განაპირობა იმ სახის პოლიტიკის გატარებამ, რასაც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა ატარებს უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში, ნაგულისხმევია ეკონომიკური „კოლონიზაცია“ მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონსა და აფრიკის სრულიად ათვისება. ეკონომიკურ განვითარებას სჭირდება სტაბილურობა და რეგიონალური თუ გლობალური კონფლიქტების შემცირება, შესაბამისად საკუთარი ეკონომიკური აქტიობის სრულყოფაში მოსაყვანდ კომუნისტური პარტიის კონგრესზე ჰარმონიული სამყაროს ცნების შემოტანა წინადადებული ნაბიჯი იყო. ამავდროულად ჰარმონიული მსოფლიოს მაშენებელი აქტორი, რომელიც არ არის ჩართული ტერიტორიულ თუ სხვა სახის კონფლიქტებში სასურველი ეკონომიკური და პოლიტიკური პარტნიორია მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში, შესაბამისად შეიძლება აიხსნას აღნიშნული ფაქტორი.

იდეოლოგიური ფაქტორის დომინირება და შემცირება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკურ ცხოვრებაში




















ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის გამოცხადება და კომუნისტური რეჟიმის გამარჯვებაში როლი სსრკსა და მისი მესვერეების, უპირველესად კი იოსებ სტალინსაც მიუძღოდნო, შესაბამისად ორი კომუნისტური სახელმწიფოს თანამშრომლობა საკმაოდ ახლო კავშირში იყო, მითუმეტეს როცა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როცა საერთო მტერი დასავლეთითაც და აღმოსავლეთიც განეიტრალებულიყო დასავლეთის კაპიტალისტური და აღმოსავლეთის სოციალისტური ქვეყნები ბარიკადების სხვადასხვა მხარეს აღმოჩნდნენ, თუმცადა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას ვერ განვიხილავთ, როგორც ისეთივე სატელიტს სსრკსა, როგორც ვარშავის პაქტის ქვეყნები იყვნენ.³

კორეის ომი, იდეოლოგიისა და ეროვნული ინტერესის თანხვედრა

კორეის ომის დროს ნათლად გამოჩნდა იდეოლოგიური ფაქტორებისა და ეროვნული ინტერესის თანხვედრა რამაც გამოწვია სამხედრო მოქმედებებში ჩინელი ჯარისკაცების ჩართვა, რამაც ერთის მხრივ ერთმანეთს დააპირისპირა.

ჩინელი, კორეელი და დასავლელი ჯარისკაცები და იმ დროისთვის წარმოუდგენელ პერსპექტივად აქცია ურთიერთობების ნორმალიზება ჩსრ სა და დასავლეთს შორის, იხ მონაწილე ქვეყნების სია

³ <http://www.3ad.com/history/cold.war/nato.landcarte.1.htm>.

 Republic of Korea 98,000 troops	 Netherlands 7,200 troops	 New Zealand 800 troops	 Democratic People's Republic of Korea 135,000 troops
 United States of America 253,300 troops	 Kingdom of Belgium 5,600 troops	 Republic of Turkey 4,600 troops	 People's Republic of China uncertain
 Great Britain 15,700 troops	 Grand Duchy of Luxembourg 400 troops	 Kingdom of Thailand 1,100 troops	 Ethiopia 1,200 troops
 French Republic 7,400 troops	 Greece 1,000 troops	 Republic of the Philippines 1,100 troops	 Republic of South Africa 800 troops
 Canada 5,400 troops	 Australia 900 troops	 Republic of Colombia 1,100 troops	

წყარო: <http://www.tamiya.com/english/monthly/002korean-war/>

შესაბამისად 1950-1953 წლებში მიმდინარე კონფლიქტი, რომელშიც ჩართული იყო ჩინელი ჯარისკაცები, დომინირებდა იდეოლოგიური ფაქტორი, სადაც დასავლურ იმპერიალიზმს დაუპირისპირდა მუშურ-გლეხური ერთობა

იდეოლოგიური ფაქტორის დაკნინება საგარეო პოლიტიკაში მეოცე საუკუნის 60იანი წლების ბოლო

თუმცაღა ამ ფაქტის შემდეგ მოხდა ომი ვიეტნამში⁴, რომლის მიმდინარეობის დროსაც გამოიკვეთა შემდეგი ფაქტორი, რეალურად საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტებისთვის საინტერესო ფაქტორი გამოიკვეთა, ერთის მხრივ ჰომინინის ვიეტნამის მხარდამჭერი ჩსრს ურთიერთობები უცივდება სსრკსთან და მეტიც 1968 წელს სასაზღვრო ზოლში მომხდარი შეტაკების შედეგად, ასევე კომუნისტური ინტერვენციის შემდეგ პრალაში აშკარა დისპუტი იკვეთება ორ სოციალისტურ სახელმწიფოში, რასაც მოჰყვება ეროვნული ინტერესის წამოწევა და უფრო მაღალ საფეხურზე აყვანა ვიდრე რომელიმე პოლიტიკური იდეოლოგიური პოსტულატი, რასაც მოჰყვარებიდენტ ნიქსონის ჩინეთში ჩასვლა და გარღვევა ჩინურ-ამერიკულ ურთიერთობებში⁵ და ახლო კავშირების დამყარება სსრკსთან ურთიერთობების გაფუჭების ფაქტზე.

სწორედ ამერიკასთან ურთიერთობების გამო, იწყება კომუნისტური სახელმწიფოს მასშტაბური საერთაშორისო აღიარება და ის იკავებს გაეროს უშიშროების საბჭოში ადგილს და ეძლევა ვეტოს უფლება, ეს ფაქტორი შეიძლება ითქვას პირველი ნაბიჯი იყო ჩინეთის აღიარებისა როგორც ერთ-ერთი ძლიერ აქტორის მსოფლიოში, რომელიც მართლაც რომ რეალისტური ხედვა იყო.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ადგილი თანამედროვე საჭადრაკო დაფაზე-მშვიდობის, მშვიდობიანი განვითარების ხელშემწყობი და გლობალური ინვესტორი

საინტერესოა ის ფაქტი, თუ როგორი ნიშა დაიკავა დღეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკამ თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკაში, განხვავებით შეერთებული შტატებისგან, ევროკავშირის გინა, რუსეთისგან ან არაბული სამყაროსგან შეიძლება თამამად იტქვას, რომ ჩინეთმა დაიკავა საკმაოდ საინტერესო ადგილი, რომელიც შემდეგნაირად შეიძლება დახასიათდეს:

- ✓ *აქტიური მონაწილე მრავალმხრივი დიპლომატიური ურთიერთობებისა*
- ✓ *მონაწილე 130 საერთაშორისო სამთავრობათშორისო ორგანიზაციისა და ათასობით არასამთავრობო ორგანიზაციის, რომლებიც მუშაობენ სხვადასხვა მიმართულებით.*
- ✓ *კონსტრუქციული და აქტიური როლის თამაშის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქმიანობაში და მისიებში.*

1982 წელს ჩინეთი ერთვება გაეროს მშვიდობის შენარჩუნების პროგრამაში

1989 წელს უერთდება კომისიას, რომელიც მუშაობს მშვიდობის შენარჩუნების მიმართულებით, იმავე წელს აგზავნის არასამხედრო მოსამსახურეებს მისიაში

2000 წელს აგზავნის სამოქალაქო პოლიციელებს

⁴ <http://alphahistory.com/vietnam/chinese-and-soviet-involvement/>
⁵ http://www.americaslibrary.gov/jb/modern/jb_modern_nixchina_1.html

2007 წელს ჩინელი გენერალ-მაიორი ერთვება საშტაბო მუშაობაში დასველთ საჰარაში.

✓ აქტიური აქტორი ტერორიზმის საწინააღდეგო ოპერაციებში

2001 წლის პირველი სექტემბრის შემდეგ, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მხარდაჭერა აშშ სადმი იყო უპირობო და კომლექსური. მას შემდეგ რაც თურქმენულმა ტერორისტულმა დაჯგუფებებმა მოახერხეს დასავლეთ პროვინციაში ტერორისტული აქტი, ჩინეთის მთავრობა მიუერთდა 10-მდე კონვენცია ტერორიზმის წინააღდეგ მიმართულს, მათ შორის შანხაის სამიტიც მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო ამ ყველაფრის გამოსახატავად.⁶

ჩსხ-ს მიდგომები ახლო აღმოსავლეთის, ავღანეთის, ჩრ.კორეის ბირთულ საკითხზე და ასევე აფრიკულ კონფლიქტებზე

ისტორიულად ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა სიმპათით იყო განწყობილი პალესტინისა და პალესტინელი მოქალაქეების მისამართით, რომელთაც სურთად თავიანთი სუვერენული უფლებების რეალიზება და საკუთარ სამშობლოში არსებობის საშუალება, შესაბამისად 1988 წელს პალესტინასთან დამყარდა დიპლომატიური კავშირები, თუმცა ეს ყველაფერი არ მოხმდარა ისრაელელი ხალხის ასევე სუვერენული უფლებების ხარჯზე.

ავღანეთის საკითხზეც შეიძება ითქვას საკამოდ აქტიურია ჩინეთი, განსაკუთრებით ის ემხრობა გაეროს მიერ დადგენილებებსა და მომხრეა მშვიდობიანი განვითარების, ამ ყველაფრის დემონსტრაციისთვის ჩინელი ბიზნესმენები არ ერიდებიან დაიწყონ სამუშაოები ისეთ წიაღისეულებზე, რომელიც მდებარეობს კონფლიქტურ ზონაში.

კორეის ბირთვული საკითხზეც ერთ-ერთ მნიშვნელოვანია ადგილი უჭირავს ჩსრს, რომელიც არის მასპინძელი მრავამხრივი დიპლომატიური ფორუმებისა კუნძულის განუარაღებლობის საკითხზე და პოზიცია მდგომარეობს შემდეგში, ის ემხრობა ნახევრაკუნძულზე გრძელვადიან და სტაბილურ მშვიდობას ბირთვული იარაღის გარეშე, მიუხედავად ახლო პოლიტიკური თუ კულტურული კავშირებისა ჩრდილოეთ კორეასთან.

დაბალანსებული და სტრატეგიული უერთიერთობა მეზობელთან და პლანეტის სხვა ნაწილებთან

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკა მეზობლების მიმართ შეიძლება ითქვას სანიმუშო და დაფუნდებულია ახლო მეზობლურ და მშვიდობიან კავშირებზე. მეტი საილუტრაციოდ შეიძლება ვნახოთ თუ როგორ კავშირები აქვს სამეზობლოსთან და რა სახის საგარეო პოლიტიკას ატარებს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა სამეზობლოში.

რუსეთი-კონსტრუქციული პარტნიორობა

ინდოეთი-კონსტრუქციული პარტნიორობა

პაკისტანი-ყოვლისმომცველი პარტნიორობა

ნეპალი-ახლო პარტნიორობა

ასეანი-კარგი მეზობლური კავშირები, დაფუნდებული ორმხრივ ნდობაზე

ინდონეზია-სტრატეგიული პარტნიორობა

ყაზახეთი-სტრატეგიული პარტნიორობა

იაპონია-სტრატეგიული პარტნიორობა

კორეის რესპუბლიკა-სტრატეგიული პარტნიორობა⁷

საგარეო პოლიტიკა სხვა კონტინენტზე განლაგებული სახელმწიფოების მიმართ

აზიის რეგიონი

თურქეთი-2010 დან სტრატეგიული პარტნიორობა

არაბეთის გაერთიანებული საემიროები- სტრატეგიული პარტნიორობა

⁶ <http://thediplomat.com/2014/09/the-new-improved-shanghai-cooperation-organization/>

⁷ Qingmin, Z. (2010). Chinas Diplomacy. Beijing: China international press. გვ11.

ვიეტნამი-ყოვლისმომცველი სტრატეგიული პარტნირობა

ამერიკის რეგიონი(სამხრეთი და ჩრდილოეთი)

ბრაზილია-1993 წლიდან სტრატეგიული პარტნირობა

აშშ-ყოვლისმომცველი პარტნირობა, დაფუძნებული საერთო სარგებლობის მიღების სურვილზე

ვენესუელა-სტრატეგიული პარტნირობა

არგენტინა-ყოვლისმომცველი პარტნირობა

კანადა-2005 წლიდან სტრატეგიული პარტნირობა

აფრიკა

სამრეთ აფრიკა,ნიგერია,ანგოლა-სტრატეგიული პარტნირობა

ევროპა

რუსეთი-2011 წლიდან ყოვლისმომცველი სტრატეგიული პარტნირობა და თანამშრომლობა

საფრანგეთი-2014 წლიდან ახლო პარტნირობა

იტალია-2004 წლიდან გრძელვადიან პერსპექტივაზე დაფუძნებული პარტნირობა

გერმანია 2014 წლიდან მრავალგანზომილებიანი სტრატეგიული პარტნირობა

ბრიტანეთი-ყოვლისმომცველი სტრატეგიული პარტნირობა

პოლონეთი-2011 წლიდან სტრატეგიული პარტნირობა

ბელორუსი-სტრატეგიული პარტნირობა

ამ ყველაფრის ფონზე საინტერესოა გადავხედოთ მსოფლიო პოლიტიკურ რუკას და იმ პორტებს, რომელსაც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა იყენებს თავისი სავაჭრო თუ სხვა სახის აქტოვებებისთვის ასევე ამ პორტებში შედიან ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სამხედრო გემებიც.



ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია და მისი სამხედრო შესაძლებლობის განვითარების ზოგადი ტენდენციები

გამომდინარე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კომუნისტური მმართველობისა, მისი თავდაცვის და უსაფრთხოების სტრუქტურა არის დახურული და ფაქტობრივად შეუძლებელია კონცეფციის დონეზე იმ დოკუმენტებიდ მოპოვება, რომლებიც გვაჩვენებდნენ ზოგად ტენდენციებს, თუმცა შეერთებული შტატების კონგრესის რეპორტებსა თუ სხვა დოკუმენტებზე დაყრდნობით შეგვიძლია გამოვყოთ რამდენიმე ნიშან-სვეტი, რომელზეც დაფუძნებულია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია ესენია:

- აქტიური თავდაცვა
- ლოკალური ომი ინფორმაციულობის ფარგლებში
- სახალხო ომი

აქტიური თავდაცვა

აღნიშნულ საკითხი მოიცავს შემდეგ სვეტებს, რომლის მიხედვითაც უნდა განვითარდეს სახელმწიფოს უსაფრთხოების პოლიტიკა. ესენია:

ჩინეთი პირველი არ ჩაერთვება სამხედრო მოქმედებებში

ყველა ღონეს იხმარს პოლიტიკური თვალსაზრისით სანამ გამოიყენებს იარაღს თავდაცვისათვის

ჩინეთი პასუხი თავდასხმაზე იქნება მკაცრი და გამანადგურებელი ეფექტის

პირველი არ გამოიყენებს ბირთვულ იარაღს

ლოკალური ომი (კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით)


ხელისუფლება აქტიურ ყურადღებას აქცევს რა საინფორმაციო ტექნოლოგიებს, მნიშვნელოვან როლს ანიჭებს საინფორმაციო და კიბერ ომის ფაქტორს და მისი უსაფრთხოების პოლიტიკის დიდი ნაწილი მოდის კიბერ უპირატესობის მოპოვებაზე მოწინააღმდეგეზე, რაც ერთის მხრივ დიდ ზიანს მიაყენებს მოწინააღმდეგის ტექნოლოგიურ საშუალებებს (გაამარტივებს სადაზვერო ინფორმაციის მოპოვებას, შეაფერხებს ეკონომიკურ საქმიანობასა და უბრალოდ ქაოსს შემიტანს მოწინააღმდეგის არამხოლოდ სამხედრო არამედ სამოქალაქო ნაწილში).

აღმოსავლეთის ქარი (东风) და ჩინეთის ბალისტიკური შესაძლებლობები

განვიხილოთ რა მშვიდობიანი განვითარება ჩინეთის საგარეო პოლიტიკისა ყურადღება მისაქცევია ჩინეთის ბირთვული პოტენციალი და ბალისტიკური შესაძლებლობები, რადგან რომ არა ის შეიძლება თამამდ ითქვას ჩინეთი სახალხო რესპუბლიკა ვერ შეძლებდა აღნიშნული პოლიტიკის გახორციელებას. 1964 წლის შემდეგ ჩინეთი ბირთვული სახელწმიფოა თუმცადა პერიოდულად ის შეიარაღებაში ღებულობდა ე.წ. აღმოსავლეთის ქარის (dongfeng) ის ტიპის საკონტინენტთაშორისო რაკეტებს, რომელიც სულ უფრო და უფრო ვითარდებდა. დაწყებული აღმოსავლეთი ქარი 16 ტიპის ბალისტიკური რაკეტებიდან რომლის მოქმედების რადიუსი 600 კმ მდე იყოს დღეს ეს რაკეტები ათასობით კმზე არიან ეფექტური და ბევრი ამერიკელი უსაფრთხოების მიმომხილველის თვალსაზრისით საფრთხეს უქმნიან შერბული შტატების უსაფრთხოებას. აღმოსავლეთის ქარის ტიპის რაკეტების შესაძლებლობები:

- Dongfeng 21 (CSS-5) 2500 კმ მდე
- Dongfeng 25DF25 3200 კმდე
- Dongfeng 31 DF31 8000 კმმდე
- Dongfeng 41 df41 12000 კმდე

რუკაზე აღნიშნულია ბალისტიკური რაკეტების შესაძლებლობები



დასკვნა

კვლევს დასაწყისში ჩამოყალიბებული ჰიპოთეზის გადამოწმება საკმაოდ საინტერესო პროცესი აღმოჩნდა, ჩინეთის სახალხრო რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის ძირითადი პოსტულატების განხილვისას ნათლად გამოიკვეთა, რომ ქვეყანა მიუყვება მისი დამფუძნებელი მამების ძირითად დებულებებს და იმ მიმართულებებს საგარეო პოლიტიკის კუთხით, რაც გულისხმობს ე.წ. ჩინურ მსოფლიო წესრიგს, რომელიც დაფუძნებული იქნება მშვიდობაზე, ჰარმონიაზე, ჩაურევლობის პრინციპსა და ისეთი ტიპის კავშირებზე, რომელიც ყველა მხარისთვის მომგებიანი იქნება. გააზრებულია, რა რომ ჩინეთი არის ისეთივე აქტორი საერთაშორისო ურთიერთობებში, როგორც ნებისმერი სხვა სახელმწიფო და მოქმედებს ეროვნული ინტერესებით, გვაქვს შესაძლებლობა ვივარაუდოთ, რომ მისი ეკონომიკური განვითარებისთვის ხელსაყრელია სწორედ სტაბილური გარემო, ხოლო თუ გადავხედავთ რეალურ მიდგომებს თუ როგორ ავითარებს ის ურთიერთობას სახელმწიფოებთან ადვილი მისახვედრია მიზეზები, რომელიც განსაზღვრავს საგარეო პოლიტიკის ძირითად პოსტულატებს.

ბიბლიოგრაფია:

1. Owens, M. K. (2011). *Chinas international relations*. New york: nova science .
2. Peng Cuanqian, Z. Z. (2010). *Chinas national Defende*. Beijing: China international press.
3. Qingmin, Z. (2010). *Chinas Diplomacy*. Beijing: China international press.
4. Seals, B. (2008). Chinese Support for North Vietnam during the Vietnam War: The Decisive Edge. *Military Historyonline. com*.
5. Shiji, G., Zhang, h., & Fayan, L. (2012). *Chinas new development 2012*. Beijing: China international press.
6. Tiezi, S. (2014). The New, Improved Shanghai Cooperation Organization. *the diplomat*.
7. Yafgen, X. (2008). The cold war and china foreign policy. *E.international relations*.

დალის ხეობის შუა საუკუნეების ისტორიიდან

სვანეთი დალის ხეობასთან ერთად ერთ-ერთი უძველესი ქართული სამეფოს - ეგრისის არსებობის დროიდან ვიდრე საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლამდე (XV-XVI სს.) მდინარე კოდორის ზემო წელიდან ლიხის ქედამდე დასავლეთი საქართველოს მთელ მთიანეთს მოიცავდა. ცნობილია, ძველი ბერძნები ეგრისის სამეფოს „ოქრომრავალ კოლხიდას“ უწოდებდნენ. კოლხეთის ოქრომრავლობაში დიდი წვლილი სვანეთს შეჰქონდა ამასთანავე, ოქროს წარმოების ერთ-ერთ უძველეს კერად დალის ხეობის მეზობელი ჭუბერის თემიც ითვლებოდა და სწორედ ამ ორ ხეობაზე გადიოდა გზა ჩრდილოეთ კავკასიაში (თონდუზ-ორუნისა და ბასის უღელტეხილები) (Берадзе 1989).

ძვ.წ. IV საუკუნიდან სვანეთი (დალითურთ) ფარნავაზის მიერ შექმნილი დიდი საქართველოს მნიშვნელოვან რეგიონს წარმოადგენდა (ქართლის ცხოვრება 1955: 24) შემდეგაც, სტრაბონის აღწერილობითაც, დალის მხარეში კვლავ ქართველები (სვანები) ცხოვრობენ. „დიოსკურიის ანუ დღევანდელი სოხუმის მახლობლად არიან სვანები. სვანები სიმამაცის და ძალის მხრივ საუკეთესონი... და ისინი ფლობენ ირგვლივ ყველაფერს და კავკასიონის მწვერვალები უპყრიათ, რომლებიც დიოსკურიის ზევით არიან“ (ყაუხჩიშვილი 1957: 126). VI-VII საუკუნეების დალის ხეობას ბერძენი ავტორები (აგათია სქოლასტიკოსი, მენანდრე პროტიქტორი, თეოდოსი განგრელი) მისიმიანთა მხარეს უწოდებენ (გეორგიკა 1941: 236). ცხადია, მისიმიანელები ქართველები, იგივე სვანები არიან. ეს სახელწოდება ამ ძირძველი ქართული ეთნოგრაფიული ჯგუფის - სვანების - დიალექტური სახელიდან - მუმუანიდან მომდინარეობს (ქალდანი 1999). აგათია სქოლასტიკოსის (VI ს.) ცნობით მისიმიანები „კოლხთა მეფის ქვეშევრდომნი არიან მსგავსად აფსილებისა, ხოლო განსხვავებულ ენაზე ლაპარაკობენ და სხვა კანონებსაც მისდევენ“, მისივე ცნობით მისიმიანელები ცხოვრობდნენ „აფსილთა ტომის ჩრდილოეთით, ოდნავ აღმოსავლეთით“ (გეორგიკა 1936: 86). V საუკუნის II ნახევარში სვანეთი (დალითურთ) ვახტანგ გორგასალმა უშუალოდ ქართლის სამეფოს შეუერთა, ამიტომ ვახტანგ გორგასლის დროინდელ ერისთავების სიაში მოხსენიებულია „სამნადირ, ერისთავი შიდა ეგრისისა და სუანეთისა“ (ქართლის ცხოვრება 1955: 185). ვახტანგ გორგასლის სიკვდილის შემდეგ პოლიტიკური ვითარება ქართლში მკვეთრად იცვლება. უკვე, VI საუკუნის I ნახევარში ირანს თავისი ბატონობა ჰქონდა დამყარებული ქართლის სამეფოზე, უფრო მეტიც სამეფო ხელისუფლებაც კი გააუქმა (523), ამრიგად ირანმა მთელი გულისყური ეგრისის დაპყრობაზე გადაიტანა. შაჰის სამეფო კარზე კარგად ითვისაწინებდნენ ამ ქვეყნის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ირანისათვის. (ბოგვერაძე 1973: 247-249). ამით ხომ ქართლიც უფრო მტკიცედ ექნებოდათ შემომტკიცებული, „რადგან იბერებს აღარ ეყოლებოდათ ის ხალხი, ვისთანაც ისინი განდგომის შემთხვევაში თავს გადაირჩენდნენ“ (გეორგიკა 1934: 94). სწორედ ამიტომ 532 წელს დადებული „საუკუნო ზავი“ 542 წელს დაირღვა⁸, ეს ომი „დიდი ომიანობა ეგრისში“-ს სახელწოდებითაა ცნობილი. ომი მკვეთრად აისახა სვანეთის ორ ნაწილზე - მისიმიანეთსა (დალის ხეობა) და ბალსქვემო სვანეთზე. ამ დროის ბიზანტიურ წყაროებში ხშირად იხსენიება დალის ხეობის მთავარი ციხე სიმაგრები: ბუკოლუსის // ბოკერის ციხე და რკინის // ჩხალთის ციხე (გეორგიკა 1940). ამიტომაც, დალის ხეობა, მისიმიანეთის სახელწოდებით, აქტიურად ფიგურირებს მთელი ადრეული შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიაში: IV-VII საუკუნეებში საქართველოზე გაბატონებას სპარსეთი და ბიზანტია ცდილობდნენ. მათ შორის ხშირი ომიანობა განსაკუთრებით მძიმედ სვანეთსა და მის ნაწილზე დალის ხეობაზე (მისიმიანეთზე) აისახა (ათანელაშვილი 1959; მუსხელიშვილი 2003;

⁸ რეალურად ზავი დაირღვა 540 წელს, როდესაც სპარსეთმა აიღო ბიზანტიის ქალაქი ანტიოქია.

გასვიანი 1995; არღვლიანი 2003). მიზეზი სვანეთისა და დალის ხეობის სტრატეგიული მდებარეობა იყო. მისიმიანეთის ტერიტორიაზე ხვდებოდა ჩრდილო კავკასიაში გამავალი ისეთი უმნიშვნელოვანესი უღელტეხილები, როგორცაა მარუხის, ქლუხორის და ნახაროს გადასასვლელები. ამათგან, ქლუხორზე გადმომავალ გზას ეწოდებოდა „მისიმიანეთის გზა“, ხოლო მარუხის გადმოსასვლელს, რომლითაც პირდაპირ აფშილეთში შეიძლებოდა მოხვედრა „დარინის გზა“ ეწოდებოდა (მუსხელიშვილი 2003: 111). ამ გადმოსასვლელებით IV-VI საუკუნეებში „ხალხთა დიდი გადასახლების“ ეპოქაში, სამხრეთ კავკასიასა და მის მომიჯნავე ქვეყნებს ჰუნური და ალანური მოდგმის ტომები უტევდნენ. ბიზანტია და სპარსეთი მათი აგრესიის თავიდან აცილებას და მეორე მხარისაკენ მიმართვას ცდილობდნენ. ასეთ პირობებში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კავკასიონის უღელტეხილების გადმოსასვლელი გზების კონტროლს, რასაც დასავლეთ საქართველოში სვანეთი ასრულებდა, რომლის დალის მონაკვეთის გავლითაც ჩრდილოეთ კავკასიიდან გზები შავი ზღვის სანაპიროსაკენ მიემართებოდა. ამასთანავე, IV-VI საუკუნეებშიც, აღმოსავლეთიდან დასავლეთში ექსპორტის მთავარ საგანს აბრეშუმის წარმოადგენდა. VI საუკუნის II ნახევარში ბიზანტიამ აბრეშუმის მთავარ მიმწოდებლებთან - ჩინეთთან და შუა აზიასთან - სავაჭრო ურთიერთობა ახალი აბრეშუმის ჩრდილოეთის გზით დაამყარა. ეს გზა შუა აზიის შემდეგ კასპიის ზღვას ჩრდილოეთიდან შემოუვლიდა, კავკასიის მთავარი ქედის ჩრდილოეთის კალთებს მიუყვებოდა და დასავლეთი საქართველოს უღელტეხილებით შავი ზღვისაკენ ეშვებოდა. ასე რომ, სვანეთისა და დალის ხეობის დაკავებით სპარსეთი აბრეშუმის ჩრდილოეთ გზაზეც კონტროლს დაამყარებდა და აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის აბრეშუმის სატრანზიტო ვაჭრობაში მონოპოლიას კვლავ აიღებდა ხელში (Берадзе 1989: 32-70). მისიმიანთა აჯანყება 555 წელს მოხდა, როდესაც ბიზანტიელთა მოხელე სოტერიქე ჩამოვიდა მისიმიელთა ციხე ბულონში (ბოკერის). მას ევალებოდა ჩრდილო კავკასიელი მოკავშირეებისათვის ჯამაგირის გაცემა. მაგრამ უეცრად გავრცელებულმა ჭორმა იმის შესახებ, რომ სოტერიქე თითქოს აპირებდა სიმაგრის ალანებისთვის გადაცემას ალაშფოთა მისიმიანელები (ბერულავა... 2008: 428). მართალია, ამ ბრძოლაში მისიმიანთა ტომის უმეტესობა გაწყდა და აჯანყება სასტიკად იქნა ჩახშობილი, მაგრამ ბიზანტიელებმა ამის შემდეგ ვერ გაბედეს მისიმიანთა სოფლებში რაზმების ჩაყენება, პირი იბრუნეს და ცენტრალურ ეგრისში დაბრუნდნენ (მიბჩუანი 1989: 129).

562 წელს სპარსეთი და ბიზანტია დაზავდნენ, მაგრამ დავა სვანეთის ირგვლივ შემდეგაც გრძელდებოდა. 571 წელს ბიზანტიასა და სპარსეთს შორის ომი განახლდა. 575 წელს ბიზანტიელთა ლაშქარი შეიჭრა სვანეთში, 590 წელს კი - სპარსელებისა. VII საუკუნეში ეგრისის ნაწილი ბიზანტიის გავლენის ქვეშ იყო და მას მეფის ნაცვლად პატრიკიოსი განაგებდა, რომელსაც დალის ხეობაც - მისიმიანეთიც ემორჩილებოდა. 697 წლიდან არაბებმა დასავლეთ საქართველოს დიდი ნაწილი დაიპყრეს, არაბებს დაქვემდებარებული მეციხოვნეები იდგნენ რკინის/ჩხალთის ციხეში (სანაძე... 2004). არაბთა შემოსევების დროს (735-738 წწ.) დალის ხეობა ქართლის ერისმთავარს სტეფანოზ III-ს და მის შთამომავლობას ექვემდებარებოდა. შემდეგ კი ისტორიული საქართველოს დიდ ნაწილში ერთ-ერთი ქართული მხარის - აფხაზეთის - ერისთავმა ლეონ II-მ შექმნა ახალი ქართული სახელმწიფო, რომელსაც აფხაზეთა სამეფო, იგივე ეგრის-აფხაზეთის სამეფო ეწოდა. ამ სამეფოს შემადგენლობაში შევიდა, როგორც აფხაზეთი, ასევე ჯიქეთი, სანიგეთი, აფშილეთი, მისიმიანეთი, ეგრისი, სვანეთი, არგვეთი (ლორთქიფანიძე 1973: 416-421). ამ სამეფოს შემქმნელმა ლეონ II-მ ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, ქვეყანა რვა საერისთავოდ დაყო, ერთ-ერთი საერისთავო იყო ცხუმის (ქართლის ცხოვრება 1973: 796) ამ საერისთავომ მოიცვა აფშილეთი, ყოფილი სანიგეთის ერთი ნაწილი (მდ. კელასურიდან ანაკოფიამდე) და მდ. კოდორის ზემოწელი - მისიმიანეთი (მუსხელიშვილი 1980: 145; ლეთოდიანი 1991: 187). მისიმიანთა სვანური ტომი, როგორც ჩანს, ამ დროს უკვე ასიმილებულია აფშილების მიერ და ადმინისტრაციულადაც მათ შეერწყმნენ (ხორავა 1996: 33-34). ეგრის-აფხაზეთის მეფენი თავის ექსპანსიას სამხრეთის მიმართულებითაც ავრცელებდნენ. როგორც

კუმურდოს 964 წლის წარწერიდან ჩანს, X ს. შუა წლებში ჯავახეთზე ეგრის-აფხაზეთის მეფის ლეონის (957-967) ხელისუფლება ვრცელდებოდა. იმ დროს იქ აფხაზთა მეფის მოხელე, ერისთავი ზვიად მარუშიანი იჯდა (ლორთქიფანიძე 1973: 441). აფხაზთა სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა სვანეთის საერისთავო და მისი ნაწილი დალის ხეობა, რომელსაც მარუშიანთა საგვარეულო განაგებდა. ამავე დროს, აფხაზთა სამეფოს ერთ-ერთ უძლიერეს ფეოდალურ სახლს სვანური წარმოშობის შავლიანთა საგვარეულო წამოადგენდა. ერთიანი საქართველოს სამეფოს არსებობის (X-XV სს.) დროს სვანეთი დალითურთ მის შემადგენლობაში შემოდიოდა. XI საუკუნიდან აფხაზეთის ერისთავებად იხსენიებიან შარვაშისძეები//შერვაშისძეები (გვანცელაძე 1998: 56). გვიან შუასაუკუნეებიდან მარუშიანები და შერვაშიძეები, ხოლო მას შემდეგ, რაც ამ რეგიონიდან უცხოტომელებმა ქართველები თითქმის განდევნეს, მარშანიებისა და ჩაჩბების გვარსახელით მოიხსენიებიან, ისინი გააფხაზდნენ. XIII ს. 30-იან წლებში საქართველო მონღოლებმა დაიპყრეს. ამ დროიდან ფეოდალური ცენტრალიზებული სამეფო თანდათან დასუსტებასა და დაშლას იწყებს. სამისო პირობებს ქმნიდა მონღოლური მმართველობითი სისტემა, ამას ხელს უწყობდა ეკონომიკის დაცემა, ცენტრალური ხელისუფლების უადრესად დასუსტება, რამაც საბოლოო ჯამში, XIII ს. 50-60-იან წლებში, გამოიწვია საქართველოს ფეოდალური მონარქიის დაშლა აღმოსავლეთ საქართველოსა და დასავლეთ საქართველოს სამეფოებად და სამცხის სამთავროდ. მსგავსი, რთული ვითარება იყო ჩრდილო კავკასიაშიც.

ჩრდილო კავკასიელი ტომების ჩამოწოლა აფხაზეთის ტერიტორიაზე, მართალია, ადრეული ხანიდან შეინიშნება, თუმცა ინტენსიური ხასიათი მიღო XIII საუკუნის შუა ხანებიდან, რაც გამოწვეული იყო მონღოლ-თათართა შემოსევებით (შემდგომ კი - ოსმალების). მონღოლები ჩრდილოეთიდან მოაწვნიეს ჩრდილო კავკასილებს (ადილებს, ალანებს, ჩერქეზებს...), რამაც ამ ტომების ამოძრავება გამოიწვია (ხორავა 1996: 54-55). XV საუკუნეში მთის ჩამოწოლის პროცესი საკმაოდ შორს ჩანს წასული, რისი აშკარა მოწმობა აფხაზთა მიქცევა „წარმართობისადმი“, რაც აისახა ანტიოქიის პატრიარქ მიქაელის მიერ ბაგრატ VI-ის (1466-1478) და შამადავლე დადიანის (1470-1474) დროს შედგენილ ძეგლში „მცნება სასჯულო“ (ლომინაძე 1966: 210). აქ პირველად გამოჩნდა ქართული სამყაროსაგან აფხაზთა „გაუცხოების“ კვალი: „აფხაზეთი ქრისტიანობისაგან სრულიად მიდრეკილ იყუნეს, ქრისტეს მცნებათაგან განშორებულ იყუნეს“ (ქსმ 1970: 222).

XVI საუკუნის მიწურულიდან იწყება აფხაზეთის ეთნიკური შემადგენლობის მკვეთრი ცვლილება (ხორავა 1998: 87-100), ეს ცვლილება იმდენად შორს იყო წასული, რომ აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) საკათალიკოსო კათედრა ბიჭვინთიდან გელათში იქნა გადატანილი (ლომინაძე 1966: 80). გამძაფრებულად მიმდინარეობდა ქართული მოსახლეობის აყრა და განდევნა თავისი სამკვიდროდან, დაცარიელებულ ადგილებზე აფხაზები სახლდებოდნენ. იმავდროულად მიმდინარეობდა გადარჩენილი მოსახლეობის გააფხაზების პროცესი, რაც ყველაზე ადრე აფხაზეთის მთის თემებში (წებელდა, დალი, ფსხუ) დაიწყო (ხორავა 2009: 28). აგრეთვე, გამუდმებული შემოსევების გამო, დალის ხეობიდან, ნაწილი ადგილობრივი ქართული მოსახლეობისა სვანეთის სიღრმისაკენ იწყებს გადაადგილებას (გუჯეჯიანი 2009: 18). გვიან შუასაუკუნეებში კოდორის ხეობაში აბაზურ-ადიღურ ტომთა ჩრდილო კავკასიიდან, კავკასიონის უღელტეხილებიდან შემოსვლას ადასტურებს არქანჯელო ლამბერტის, ჟან შარდენის, ევლია ჩელებისა და სხვათა ცნობებიც, აგრეთვე 1654 წლის ლათინურ-ფრანგული რუკაც, რომელზედაც აფხაზთა განსახლების უკიდურეს აღმოსავლეთ საზღვრად მდ. კოდორია მითითებული (გვანცელაძე 1998: 29).

ამრიგად, XVII-XVIII საუკუნეებში ჩრდილო კავკასიელთა გამუდმებული შემოსევების შედეგად დალის ხეობის ქართული (სვანური) მოსახლეობა თითქმის გაწყდა და ის თანდათანობით ახლად მოსულმა ადიღურ-აბაზურმა ეთნიკურმა ჯგუფმა (აფსუა) შეცვალა.

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ანთელაშვილი 1959: ანთელაშვილი გ., სვანეთის საკითხი ბიზანტია-ირანის დიპლომატიურ ურთიერთობაში, თბ., 1959.
2. არღვლიანი 2003: არღვლიანი ი., ბიზანტიური წყაროები მისიმიანთა ტომის შესახებ, - საისტორიო ძიებანი, 6, თბ., 2003.
3. ბერულავა... 2008: ბერულავა ნ., თოლორდავა რ., ჩახარის ნაქალაქარი და მისიმიანელთა ანტი-ბიზანტიური აჯანყების (555-556 წწ.) ზოგიერთი ასპექტი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, V, თბ., 2008.
4. ბოგვერაძე 1973: ბოგვერაძე ა., ადრეფეოდალური ქართული სახელმწიფოები VI-VIII საუკუნეებში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები რვა ტომად, ტ. II, თბ., 1973.
5. გასვიანი 1995: გასვიანი გ., ბიზანტია-ირანის ბრძოლა ეგრის-სვანეთის გამო, - ქართული დიპლომატია, წელიწდეული, II, თბ., 1995.
6. გეორგიკა 1934: გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. II, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1934.
7. გეორგიკა 1936: გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. III, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1936.
8. გეორგიკა 1941: გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. IV, ნაკვ., I, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1941.
9. ლეთოდიანი 1991: ლეთოდიანი დ., აფხაზეთის, აფშილეთის და სანიგეთის პოლიტიკური დამოკიდებულება ეგრისთან (ლაზიკასთან) IV-VIII სს-ში, თბ., 1991.
10. ლორთქიფანიძე 1973: ლორთქიფანიძე მ., ახალი ფეოდალური სამთავროების წარმოქმნა, საქართველოს ისტორიის ნარკვევები რვა ტომად, ტ. II, თბ., 1973.
11. მიზჩუანი 1989: მიზჩუანი თ., დასავლეთ საქართველოს ქართველ მთიელთა ეთნოგენეზის, განსახლებისა და კულტურის ისტორიიდან, თბ., 1989.
12. მუსხელიშვილი 1980: მუსხელიშვილი დ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, ნაწ., 2, თბ., 1980.
13. მუსხელიშვილი 2003: მუსხელიშვილი დ., საქართველო IV-VIII საუკუნეებში, თბ., 2003.
14. სანაძე... 2004: სანაძე მ., ბერაძე თ., VIII ს-ის I ნახევრის ქართლისა და ეგრისის პოლიტიკური ისტორიიდან. - კრ., ქართული წყაროთმცოდნეობა, X, თბ., 2004.
15. ქალდანი 1999: ქალდანი მ., მივსიანეთისა და მივსიანთა ტომის ვინაობის საკითხისათვის, - აფხაზეთის მოამბე, #2-3, თბ., 1999.
16. ქართლის ცხოვრება 1955: ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი და ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955.
17. ქართლის ცხოვრება 1973: - ქართლის ცხოვრება, ბატონიშვილი ვახუშტი აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი და ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV, თბ., 1973.
18. ქსმ 1970: ქართული სამართლის ძეგლები, საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.), ტ.
19. III, ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., 1970.
20. ყაუხჩიშვილი 1975: ყაუხჩიშვილი თ., სტრაბონის გეოგრაფია, ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1975.
21. ხორავა 1996: ხორავა ბ., ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა XV-XVIII სს., თბ., 1996.
22. Берадзе 1989: Берадзе Т.Н. Мореплавание и морская торговля в средневековой Грузии, Тб., 1989.

ბიორგი ვარულაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი
ხელმძღვანელი: პროფესორი რევაზ აბაშია

**ქართულ-დაღესტნური კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან
(დაღესტნის ქართული ანბანით შესრულებული წარწერების შესახებ)**

ხუნძური ენა,დაღესტნის მრავალრიცხოვან ენა თაშორის ყველაზე გავრცელებული ენაა (650 000 ადამიანი) და არა მხოლოდ დაღესტანში (ხუნძური ენის ჭარული დიალექტი გავრცელებულია აზერბაიჯანში, ხოლო ამ ენის ანწუხური დიალექტისთვის თქმა ზემეტყველნი ცხოვრობენ საქართველოში, ყვარლის რაიონში).

ხუნძური ენისთვის სხვადასხვა დროს სხვადასხვა ანბანი გამოიყენებოდა. 1928 წლამდე- არაბული, 1928-1938 წლებში - ლათინური, 1938 წლიდან კი რუსული გრაფიკის საფუძველზე შექმნილი ანბანი ფუნქციონირებს. საინტერესოა ასევე მე-19 ს-ის 60-იან წლებში პ.უსლარისა და ხუნძი აიდემირ ჭირკეელის მიერ შედგენილი ხუნძური ანბანი, რომელიც ძირითადად რუსულ საანბანო ნიშნებს ემყარებოდა, თუმცა დამატებით გამოყენებული იყო ლათინური, გუთური და ქართული (წ;ჭ) საანბანო ნიშნებიც. ეს იყო – პირველი ხუნძური ენის ანბანი. ჩვენს ინტერესს აღძრავს შუასაუკუნეებში (დაღესტანში) ქრისტიანობის შემოსვლასთან ერთად ქართული ანბანის გავრცელება, რასაც ადასტურებს დაღესტანში ნაპოვნი ქვა-ჯვრები, რომლებზეც ქართული ანბანით შესრულებული (ასომთავრულით და ნუსხურიით) ქართულენოვანი ან ორენოვანი (ქართული და ხუნძური) წარწერებია გამოსახული.

ამჯერად განვიხილავთ სამი ასეთი წარწერის ისტორიას, რომლებიც მეტად საინტერესო ცნობებს გვაწვდის ქართველებისა და ხუნძების საუკუნოვანი კულტურისა და თანაცხოვრების ზოგიერთი ნიუანსის შესახებ.

პირველი ასეთი ქართულ-ხუნძური წარწერა მე-14 ს-ის დაღესტნიდან გამოაქვეყნა არნოლდ ჩიქობავამ. წარწერა ამოკვეთილია თეთრი თლილი ქვის ჯვარზე (სიმ.22 სმ. სიგ.17 სმ.), რომელიც ინახება დაღესტნის ეროვნულ მუზეუმში, ქალაქ მაჰაჩყალაში. შემონახული ცნობებით, წარწერა მუზეუმს გადასცემია ბუინაქსკის (ყოფილითემირ-ხან-შურის) ანტირელიგიური მუზეუმიდან, მის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით. სხვა ცნობა წარწერის ისტორიაზე არ არსებობს. ჯვარს სრულებით არეტყობა ატმოსფეროსზე გავლენა, როგორც ჩანს, ის შენობის შიგნით იყო აღმართული. რაც შეეხება საკუთრივ წარწერის შინაარსს: წარწერა შედგება 11 სტრიქონისაგან. ქართული ტექსტი ასომთავრულად, ხოლო ხუნძური ტექსტი ნუსხურადაა შესრულებული. შიგადაშიგ ასომთავრულში ნუსხური დამწერლობის ასოებიც ურევია. უფრო იშვიათად - პირუკუ. ტექსტში ასევე ხშირად გვხვდება ქარაგმები და ორწერტილი. ქარაგმები ხუნძურ ნაწილში მხოლოდ ერთგანაა გამოყენებული და ყურადღება გამახვილებულია ხუნძურ ტექსტზე. “ჯოვარი ქრისტესი შეიწყალე თეოდორე, წმიდაო თეოდორე: წმიდაო სარკელი... (ხუნძური ნაწილი) ამინ, უფალო ღმერთო გაბრიელი დაიცევ.”

წარწერას აქვს ტრაფარეტული ხასიათი, რომელშიც ყურადღებას იპყრობს რამდენიმე დეტალი:

I.პირველი სიტყვა წოდებითში კი არდგას - “ჯუარო”, არამედ სახელობითში -“ჯოვარი”. აქ დასახელება იმისა, რაც ჩვეულებრივ წარწერებში ნიშნით გადმოიცემა, ჯვრის კულტს ეს შეეფერება.

II. ჯერ შესაწყალელებელი თეოდორეა დასახელებული, შემდეგ კი - შემწყალელებელი წმინდანი. ჩვეულებრივ კი პირიქით ხდება. “წოთე “ შეიძლებოდა მიგვეჩნია “წობთეგის” განმეორებად, მაგრამ ასეთ შემთხვევაში ქარაგმა აღარ იყო მოსალოდნელი.

III. შესავედრებელ წმინდანად “სარკელიცაა” გამოყვანილი. ამ დარგის სპეციალისტების აზრით, ასეთი წმინდანი არ იცოდა არც ქართულმა, არც რომაულმა და არც ბერძნულმა ეკლესიამ. მისი დაკავშირება შესაძლებელია ჩრდილოურ ხაზარულ სამყაროსთან, სადაც „სარკელი“ - „თეთრისისხლი“ - „ბელაიავეჟა“ ხაზართა ქალაქის სახელადაა ცნობილი. მაგრამ აქ წმინდანი არაფერ შუაშია. შესაძლოა ვიფიქროთ, რომ ეს ადამიანის სახელი იყო, რომელიც შემდეგ წმინდანად შერაცხეს. მით უფრო, რომ ხუნძურაულში სარკელ კაცს რქმევია. კიდევ ერთი საინტერესო ცნობის მიხედვით “სარკელ” სვანური წყევლის ფორმულაშიც ყოფილა გამოყენებული.

საინტერესოა, ვინ იყო წარწერის შემსრულებელი და რა დროს იქნა იგი შესრულებული? წარწერის ბოლო ნაწილი „გაბრიელის“ დაცვას შესთხოვს უფალს და შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ სწორედ მის მიერ იქნა წარწერა შესრულებული. რაც შეეხება შესრულების დროს: ყველანაირი ისტორიული კონტექსტი მხარს უჭერს იმას, რომ წარწერის შესრულების დრო მე-14 საუკუნეს არ გადმოსცდეს.

თემურ ლენგის შემდეგდროინდელ დაღესტანში ამგვარი ძეგლის აღმართვა სავარაუდებელი არ არის. ხოლო მე-14 საუკუნეში, დაღესტანში, ხუნძური იყო ისუს ხეობაში, ხუნძახის სამხრეთით დათუნაში, ეკლესიაც კი აშენებულა, რომელიც “დათუნას ეკლესიის” სახელითაა ცნობილი. ძალიან საინტერესოა შამილის მდივნის, ჰაჯი ალიჭუხელის ცნობა, რომლის მიხედვითაც “დათუნას ეკლესია” 1363 წელს აუგიათ ქართველებს. თლილი ქვის ეკლესია დღემდე არის შემორჩენილი. (ჰაჯიალის ცნობას ამყარებს “ჟამთააღმწერლის” ჩვენებაც, რომელიც გვესაუბრება პიმენსალოსზე, რომელიც გარეჯიდან წასულა ბელაქანს და ანტონ ნაოხრებულის ძეზე, რომელიც ყოფილა ნათესავით მესხი და მათ დაუწყიათ ქადაგება ქრისტიანობისა დაღესტანში და მრავალიც მოუქცევიათ ქრისტეს რჯულზე.)

მეორე წარწერა შესწავლილი აქვს ტოგო გუდავას. წარწერის შინაარსი ასეთია: “ჯოვარი ქრისტესი ოვვალო განუსვენე სულსა ჩახუტისასა”.

ჯვრის აღწერილობის მიხედვით მისისიმაღლეა 24 სმ, სიგრძე 17 სმ და სისქე 4.5 სმ. წარწერა ნაპოვნია სოფელ ჰალაში, ქრისტიანულ სასაფლაოზე 1949 წელს. მახლობელ მიდამოებში ხშირად პოულობენ ქვა-ჯვრებს, ზოგიერთ მათგანზე ვკითხულობთ სხვადასხვა შინაარსის ტექსტებს (ძირითადად რელიგიურ თემატიკაზე).

აღნიშნულ ქვა-ჯვარზე წარწერა შესრულებულია გამართული ქართულით. ტექსტში მოხსენიებულია საკუთარი სახელი – ჩახუტი. სავარაუდოა, რომ ეს წარწერა საფლავის წარწერა უნდა იყოს და თავის დროზე სამარხზე უნდა ყოფილიყო დადგმული, რომელიც სავარაუდოდ ზემოთაღნიშნულ პიროვნებას ეკუთვნოდა.

მესამე წარწერა ნაპოვნია 1950 წელს დიბირათაევის მიერ ხუნძახის ჩრდილოეთით, სადაც, როგორც ჩანს, ქრისტიანული სასაფლაო ყოფილა. ამ ადგილას, იმ პერიოდში სამარხები მიწის ზედაპირთან ახლოს ყოფილა, რის შედეგადაც აქ პოულობდნენ ჯვრებს და ხშირად წარწერიანსაც. რაც შეეხება საკუთრივ ამ ჯვარს: სიმაღლე-14სმ. გარდიგარდმო ფრთის სიგრძე-10 სმ. ეს ზუსტი ზომა არ არის, რადგან მარცხენა ნაწილი ჩამოტეხილია. სისქე დაახლოებით 4 სმ. ჯვრის ზემონაწილის მარჯვენა მხარე დაზიანებულია, ქვედა ნაწილი-გადატეხილი. წარწერა შესრულებულია მრგლოვანისა და ნუსხურის ნარევით. წარწერა ქარაგმის გახსნით იკითხება ასე: “ჯოვარი ქრისტესი: წმიდაო ა[თორმ]ეტნო მოციქულნო: ერისთავი. თიმალატაწობეგ: ამინ, უფალო”.

წარწერაში გამოყენებულია გაყოფის ნიშნები და ქარაგმა. საინტერესოა სიტყვა “თიმალატაწობეგ”. მკვლევართ აზრით, ეს ხუნძური წინადადებაა და სამ სიტყვად იშლება: “თიმალატაწობეგ”. აქ გადმოცემული უნდა იყოს დღევანდელი ხუნძურის - “ჟმალატაჟობჟეგი”, რაცნიშნავს - “ბავშვებზე წყალობა დადევნი (შეიწყალე) „მეორე სიტყვა “ჟობ” წყალობას ნიშნავს. ხუნძურში წ-გემინირებულია (ჟობ), ქართულში იგიგემინირებულ თანხმოვანთა უქონლობის გამო გადმოცემულია სათანა დომარტივი თანხმოვ-

ნით. მე-3 სიტყვა “ეგ” (ნიშნავს „დადევ“), რომელიც დამახინჯებულია. მას აკლია თავკიდური “თლ” და ბოლოკიდური ხმოვანი “ი”.

ხუნძურ ნაწილში არ გვხვდება ქარაგმა და გაყოფის ნიშნები, თუმცა წარწერაში ორივე გვაქვს. ამრიგად, ეს წარწერა არის ორენოვანი, ქართულ-ხუნძური გავს არნოდ ჩიქობავას მიერ გამოქვეყნებულ წარწერას. ისინი სავარაუდოდ ერთსა და იმავე დროსაა შესრულებული ერთსა და იმავე რეგიონში ხუნძახში. ისტორიული ფაქტები აქაც ნათლად მიუთითებენ იმაზე, რომ ეს წარწერები მე-14 საუკუნეზე გვიანდელი არ უნდა იყოს.

დაღესტნის ისტორია იმდენად არ არის შესწავლილი. რომ ის მცირეცნობები, რომლებსაც ქართული, არაბული და სომხური წყაროები გვაწვდიან, საკმარისი იყოს დაღესტნის ისტორიის რომელიმე მონაკვეთის ნათელი სურათის წარმოსადგენად. დაღესტნის ხალხები დღეს ისლამის მიმდევრები არიან, მაგრამ ისტორიული ცნობები (და მათ შორის წარწერებიანი ქვა-ჯვრებიც) გვაფიქრებინებს, რომ აქ ისლამს ქრისტიანობა უსწრებდა. ამ მხრივ საინტერესოა რამდენიმე რაიონი: ხუნძახის, ყაპიზისა და ღუნიზის, სადაც აღმოჩენილი მუსლიმანობამდელი ქრისტიანული ძეგლები, ქართული კულტურის კვალს ატარებენ. ღრმა საფუძველი გვაქვს, ვიფიქროთ, რომ თემურ ლენგის შემოსევებამდე, ჩრდილოეთ კავკასიაში და, რა თქმა უნდა, დაღესტანშიც ინტენსიურად ხდებოდა ქრისტიანობის გავრცელება, თუმცა მე-14 სკ-დან ეს წამოწყება ისლამიზაციის ძლიერმა ტალღამ წალეკა. ყოველივე ამის შემდეგ სულაც არ იყო და არც მომავალში იქნება მოულოდნელი ასეთი ძეგლების აღმოჩენა.

ეს ქვა-ჯვრები უძველესი წერილობითი დოკუმენტებია ხუნძური და არა მხოლოდ ხუნძური ენისა, არამედ დაღესტნის ყველა უმწერლობო ენისა, რომლებიც ძალიან მნიშვნელოვანია ამ ენის ენობრივი და ისტორიულ-კულტურული პროცესების კვლევი სდროს. ამასთანავე, ბუნებრივია, დაღესტანში აღმოჩენილ, ქართული ანბანით შესრულებულ წარწერებს გამორჩეული ადგილი უკავია საქართველო-დაღესტნის კულტურული ურთიერთობების ისტორიაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გუდავატ., ორი წარწერა (ქართული და ქართულ-ხუნძური) დაღესტნიდან. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30. თბილისი, 1947.
2. ხალხთა კულტურულ-ისტორიულ ურთიერთობათა საკითხისათვის. ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები, ტ. V, თბ., 1987.
3. ჩიქობავა არნ. „ქართულ-ხუნძური წარწერა XIV საუკუნისა დაღესტნიდან. სსრკმეცნ. აკად., საქართველოს ფილიალის მოამბე, ტ. I #4, თბილისი, 1940.
4. Гамбашидзе Г. , О новом Прочтении и датировке одной грузинской надписи из Дагестана. Сб. кратких со-держаний докл. междуна-род. научной конференций, «археология и этнология Кавказа». Тбилиси, 2002:
5. Саидов М.С. Возникновение письменности у аварцев. Языки Дагестана. Махачкала, 1948 Вып I.
6. Хапизов Ш. М. О грузинско-аварских надписях на каменных крестах. Вестник Дагестанского научного центра, Махачкала, 2014.№54.

ხროთმოდვრული ძიებანი შუა საუკუნეების მისხეთში

ჩვენი საკვლევი თემა შუა საუკუნეების მისხეთს ეხება. ქრისტიანობა ქართულ მიწაზე ჯერ კიდევ პირველ საუკუნეში იქადაგეს. მისი სახელმწიფო რელიგიად გადაქცევა კი მეოთხე საუკუნეში მოხდა. ქრისტიანობა საუკუნეების განმავლობაში აკავშირებდა, აყალიბებდა ქართულ ეთნოსს, კულტურას, ტრადიციებს. მიუხედავად, ქართველ მეფეთა მკაცრი მართლმადიდებლური ორიენტაციისა საქართველოს სამეფო კარი ყოველთვის ინტერესდებოდა ევროპისეული სიახლეებით. დიდი სქიზმის შედეგად 1054 წ. საბოლოოდ გაიყო ქრისტიანობა. აღმოსავლურ-ბერძნულ და დასავლურ-ლათინურ ეკლესიებად. ქართული ყოფისთვის მეტად თვითმყოფადი აღმოსავლური-მართლმადიდებლური ეკლესია აღმოჩნდა. თუმცა, ძირეული რელიგიის პარალელურად ქვეყანაში ჩნდებიან სხვა კონფესიის წამომადგენლებიც. მათ შორის კათოლიკეებიც. კათოლიკურ სამყაროსა და ქართულ სამეფო კარს შორის თანამშრომლობა საკმაოდ ადრეულ პერიოდში დაიწყო. კათოლიკე მისიონერები პირველად XIII საუკუნის მიწურულს რუსუდანის მეფობის დროს გამოჩნდნენ. რუსუდან დედოფალი პაპ ონორიო მესამეს სწერს წერილს და თანადგომას უცხადებს ჯვაროსნულ ლაშქრობებში.⁹ „დიდად გავიხარეთ, რა შევიტყვეთ, რომ თქვენის ბრძანებით იმპერატორი სირიაში უნდა წავიდეს წმინდა ადგილების დასახსნელად. გთხოვთ გვაცნობოთ თუ როდის უნდა გამოიაროს იმპერატორმა, რათა ჩვენც წმიდა ადგილების დასახსნელად გავაგზავნოთ ჩვენი მხედართმთავარი ივანე.“ – ნათქვამია წერილში. ამის შემდეგ, სამეფო კარსა და პაპს შორის გრძელდებოდა მიწერ-მოწერა. ამას გვიდასტურებს დემეტრე II-ის, გიორგი ბრწყინვალის, ლუარსაბ I-ისთვის გამოგზავნილი წერილები. სწორედ, ამ პერიოდში შემოდიან საქართველოში კათოლიკე მისიონერები. მათ დიდი როლი ითამაშეს ქვეყნის ცხოვრებაში. დასაწყისიდანვე უნდა ითქვას, რომ მისიონერთა მიმართ ქართული საზოგადოების დამოკიდებულება დღემდე ორაზროვანია. ზ.ჭიჭინაძის დახასიათებით: „კათოლიკეთ მამანი საქართველოს დიდის ყურადღებით უმზერდნენ, ქართველ ერს დამხმარებლებათ ევლინებოდნენ. იგინი იყვენენ როგორც წრფელი მოღვაწენი კათოლიკეთა მრევლის, ისე მთელის ქართველის ერის. “მისიონერები საქართველოს სამეფო კარზე მიღებული დოსტაქრები და მკურნალები იყვენენ. ქართველი მეფეები ხშირად რომიდან მოსულ მოძღვართ ანდობდნენ თავიანთ ჯანმრთელობას. როგორც ჩანს, პატრები თავს ვალდებულად თვლიდნენ დაწვრილებით გაეცნოთ საქართველოს ყოფაცხოვრება, ისტორია, კულტურა. ისინი იცნობდნენ ქვეყნის ეკონომიურ, პოლიტიკურ მდგომარეობას. კათოლიკე ბერების დამსახურებად ზ. ჭიჭინაძეს მიაჩნია პირველი ქართული წიგნების ბეჭვდა. სწორედ, ამის შედეგი იყო 1626წ. ქართული სტამბის გახსნა. მოგვიანებით, სწორედ აქ დაიბეჭდა პირველი ქართული წიგნი. “ქართულ-იტალიური სლავარი შედგენილი პატრის პაულინისგან.¹⁰“ ასევე, კათოლიკე მისიონერებმა საქართველოში მოღვაწეობისას შექმნეს მნიშვნელოვანი ისტორიული და ეთნოგრაფიული ნაშრომები. მათ შორის აღსანიშნავია, პატრი ლამბერტი, იოსებ ზამპი და სხვ.

მიუხედავად ამისა, კათოლიკობამ დიდი გავლენა და კავშირები საქართველოში ვერ მოიპოვა. მოსახლეობის ძირითადი ნაწილი კვლავ მართლმადიდებლური სარწმუნოების მიმდევარი დარჩა. კათოლიკობის დამკვიდრება აქტიურად მიმდინარეობდა სამხრეთ საქართველოს რეგიონებში. პატრი ფრანჩისკეს მონაცემებით 1766 წ. სოფ. ხიზაბავრაში კათოლიკეთა რიცხვი 176 იყო. ახალქალაქში მათი რიცხვი 40–ს

⁹ მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა..., გვ.7–8.

¹⁰ ზ. ჭიჭინაძე, კათოლიკეთა ეკლესია საქართველოში, გვ. 159.

აღწევდა, ხერთვისში კი 46-ს.¹¹ ოსმალები მართლმადიდებლობას სდევნიდნენ. პაპი იმხანად დიდი გავლენით სარგებლობდა, ამიტომ კათოლიკეთა აშკარა დევნისგან თავს იკავებდნენ. სამხრეთ საქართველოს მოსახლეობის ნაწილი ამის გამო გამუსულმანებას არჩევდა კათოლიკობის მიღებას. ამგვარად, დამკვიდრდა სამცხე-ჯავახეთში კათოლიკური ეკლესია.

ჩვენი დღევანდელი თემის მიზანია გამოვკვეთოთ კათოლიკური ეკლესიის როლი და გავლენა მესხეთის ისტორიაში. შუა საუკუნეების მესხურ კულტურაზე აშკარა გავლენა იქონია კათოლიკური კონფესიის წარმომადგენელთა დამკვიდრებამ. მესხეთი, ერუშეთის ქედის კალთებზე გადაფენილი, მნახველს იზიდავს ულამაზესი ბუნებით, რომელიც კულტურულ ძეგლებთან ერთად ჩვენი წინაპრების მომსწრე გამხდარა და დღესაც წარბმუხრელად დგას ქვეყნის სადარაჯოზე. ისტორიული ტაო-კლარჯეთის სიახლოვე აქ ყველაზე მეტად იგრძნობა. ჩვენი დღევანდელი თემა საზოგადოებისთვის ნაკლებად ცნობილ ისტორიულ ძეგლებს ეხება. გვსურს, გავისხენოთ, აღვადგინოთ და ფართო საზოგადოებას გავაცნოთ შუა საუკუნეების მესხეთის რამდენიმე მნიშვნელოვანი არქიტექტურული ნიმუში. ვინაიდან, თემა არის საკმაოდ დიდი და მრავალფეროვანი, ჩვენ არჩევანი გავაკეთეთ შუა საუკუნეების საქართველოს სამ სოფელზე: ვალე, ივლიტა და უდე. „ვალე ძველი სოფელია, კათოლიკობა ქართველთა შორის ძველადვე აღორძინებულა.“¹² ხოლო, ს. ივლიტის ეკლესიის კუთვნილება დღესაც გადაუჭრელ პრობლემად რჩება. საინტერესოა, ს. უდის ორი, სასწაულმოქმედი, ტაძრის ისტორია.

ახალციხიდან დასავლეთით თორმეტიოდე კილომეტრზე მდებარეობს ძველმესხური სოფელი ვალე. ვალე გაშენებულია მდ. ფოცხოვის მარჯვენა ნაპირზე, ერუშეთის ქედის სუსტად დახრილ ჩრდილოეთ კალთაზე, ზ.დ. 1000–1200 მ.–ზე. სამხრეთიდან ესაზღვრება ს. პამაჯი, აღმ.–დან ახალციხე, დას.–დან თურქეთის რესპუბლიკა, ჩრდ.–დან ადიგენის რ.–ნ. ვალის ტერიტორიის დიდი ნაწილი უკავია დანალექ ქანებს: ქვიშებს, გვხვდება ასევე მოვაკებული ტერასები, გორაკ-ბორცვები, ვულკანური მთები. ვალეში მთიანი სტეპის ჰავაა, ზომიერად კონტინენტური. ვალეში მდებარეობს ერთ-ერთი დიდი მდ. ფოცხოვი, რომლი მარცხენა შენაკადი ქვაბლიანია. სოფელი მოხსენიებულია „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“. ამ წყაროს მიხედვით ვალის მოსახლეობა 52 კომლს შეადგენდა¹³. განვიხილოთ, სოფლის სახელწოდება. სოფლის სახელთან დაკავშირებით რამდენიმე ლეგენდა არსებობს. 1902 წელს ჟურნალ „მოგაზაურის“ მეხუთე ნომერში დაიბეჭდა ბაგრატ ბეთანელის მიერ ჩაწერილი ლეგენდა¹⁴; „სოფელ ვალის სახელწოდებაზე“. ჩანაწერის მიხედვით, ერთხელ, ერთ იმერელს აბასთუმნის გზით აქ ჩამოუვლია, ფოცხოვის წყლის გავლის შემდეგ დაუნახავს ერთი ძველი ტაძარი, მისულა, დაუთვალიერებია, მოსწონებია, წამოსვლისას ერთი მუჭა ცერცვი მიუბნევია და უთქვამს: შენთვის მომივალეზიაო. იმერელს იმდენად მოსწონებია ეს ადგილები შემდეგში საცხოვრებლადაც აქ გადმოსულა. როცა ცერცვი მოუთიბავს, უთქვამს მოსავალი ავიღეოა, ამიტომაც ამ სოფელს ჯერ ვალი, შემდეგ კი ვალე დარქმევია. არსებობს სხვა ლეგენდაც, რომლის მიხედვით, ერთი შემღებული კაცი თავისი მხლებლებით წამოსულა სოფელ ორალიდან სოფელ ირქაში. ვალეში მდინარის პირას შეუსვენებიათ, მდიდარ კაცს მოსწონებია ადგილი და უთქვამს: ჩემი ვალია ამ ადგილზე ეკლესია ავაშენოო. მართლაც აშენდა ტაძარი, ამ მიდამოებში კი თანდათან მოსახლეობაც გადმოვიდა საცხოვრებლად. დასახლებას კი ვალე ეწოდა. არსებობს მესამე მოსაზრებაც, რომელიც სავარაუდოდ თურქთა შემოსევებს უკავშირდება. როდესაც ოსმალები იტაცებდნენ ბავშვებს და ქალებს, სოფლის მამაკაცები დაედევნებოდნენ გამტაცებლებს და ტყვეებს ათავისუფლებდნენ. თავიანთ მოვალეობად, ვალად მიაჩნდათ თანასოფლელების გადარჩენა. სოფელსაც ამიტომ დარქმევია ეს სახელი, რაც ნაკლებად სარწმუნოა, რადგან თურქები მესხეთში მე–17 საუკუნიდან ჩნდ-

¹¹ თ. ივლაშვილი; სოფელ ივლიტის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია, გვ. 46.

¹² ზ. ჭიჭინაძე, კათოლიკეთა ეკლესია საქართველოში, გვ. 30.

¹³ ზაქროშვილი ს. „ვალე 1000“; თბ. 2012 წ. გვ. 44.

¹⁴ ზაქროშვილი ს. „ვალე 1000“; თბ. 2012 წ. გვ. 39.

ზიან, სოფელი და ეკლესია კი სულ მცირე 1000 წლის მაინცაა. შევჩერდეთ ლეგენდაში ხსენებულ ტაძარზე, რომელიც დღესად არსებობს და ფუნქციონირებს. სოფლის შუაგულში თეთრი ქვით ნაშენი მეათე საუკუნის, ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია დგას. ეკლესია სამნავიანი ბაზილიკაა, ტაძრის შუა ნაწილში გვერდითებზე მაღალია, გადახურულია ორფერდა სახურავით, ხოლო გვერდითი ნაწილები – ცალფერდათი. თავდაპირველად ტაძარი ჯვარ – გუმბათოვანი ყოფილა, ბაზილიკად იგი 1561–1564 წწ. გადაუკეთებიათ. ვინ იყო ტაძრის ხუროთმოძღვარი უცნობია. ასევე უცნობია ზუსტი თარიღი ტაძრის აშენებისა. სავარაუდოდ, მეათე ს–ის ბოლო მეოთხედი. თარიღი დადგენილია ხუროთმოძღვრების ფორმების ანალიზის შედეგად. მე–15 ს–ის სამოციან წლებში ტაძარი განუახლებია ათაბაგ ქაიხოსრო მეორის მეუღლეს, ქართლის მეფის კონსტანტინე მეორის შვილიშვილს და ბაგრატ მეფის ასულს „ათაბაგ–ამირსპარსალარის სახლის რძალს“ დედისიმედს. ამ ამბავს მოგვითხრობს ტაძრის შიგა კედელზე გაკეთებული 45 სტრიქონიანი წარწერა ამ ასომთავრულ წარწერებში, ასევე მოიხსენიებიან დედისიმედის შვილები: ყვარყვარე, მზეჭაბუკი, მანუჩარი, თვაშენიერი, ივანე, თამარი და ელენე. მთლიანობაში წარწერა იხსენიებს 18 ისტორიულ პიროვნებას. თუმცა, წარწერაში არ იხსენიება ქაიხოსროს და დედისიმედის ორი უკანასკნელი შვილი ბასილი და ბექა, დაბადებული 1564წ. ამ ფაქტით ბ–ნ ვ. სილოგავა განსაზღვრავს ტაძრის მეორედ აღშენების პერიოდის ზედა თარიღს. ხოლო ქვედა ზღვარი მათივე შვილის თამარის დაბადების თარიღია – 1561 წ. ¹⁵ ტაძრის შესასვლელში „აყვავებული ჯვრების“ კომპოზიციას ვხვდებით. შემორჩენილია მარჯვენა ჯვრის წარწერა, რომელშიც იხსენიება ვინემა *დანგა–ყოფილი სვიმეონ*. იგი, ტექსტში თავის თავს მოიხსენებს ამ ჯვრის გამომსახველად. აღმოსავლეთის ფასადი მორთულია რელიეფური კომპოზიციით, რომლის ცენტრალურ ფიგურას წარმოადგენს ღმრთისმშობელი ყრმა იესოთი, მისგან მარჯვნივ გაბრიელ მთავარანგელოზი, ხოლო მარცხნივ უცნობი მანდილოსანი თან ახლავს წარწერა: „წმინდაი, ღმრთისმშობელო, კრავაი შეიწყალე“.¹⁶ საინტერესო კომპოზიციას ვხვდებით სამხრეთის ფასადზე. ცენტრალური ადგილი მაცხოვრის გამოსახულებას უკავია, მაღლა აღმართული ჯვრით. ხოლო, მარჯვნივ წარმოდგენილია პეტრე მოციქულის ფიგურა თავისი წარწერით: “პეტრე მოციქული”. სამხ. ფასადის მორთულობას წარმოადგენს „აყვავებული ჯვრის“ კომპოზიციაც. ასევე, სარკმელთან შეინიშნება მხედრების გამოსახულება. მათ შემდეგ კი ვხვდებით ქალის ფიგურას. კარნიზის სამხრეთ–დასავლეთ მხარეზე კი ლომის და ხარის გამოსახულებებს. დასავლეთი ფასადი გამოირჩევა საზეიმო იერით. შესასვლელს შემოვლელი აქვს ნახევრადწრიული თაღი, რომელიც მორთულია ორნამენტებისა და არშიით. თაღის ქვემოთ გამოსახულია ერთიმეორესადმი მიმართული ორი მხედრის კომპოზიცია, ჰერალდიკურ პოზაში. მარცხენა, წმ. თევდორეა, რომელიც გველემასს გმირავს, ხოლო მარჯვენა – ცხენის ფეხებთან განრთხმული დიოკლიტიანე უსჯულოს და იგი წმ. გიორგია. ტაძრის ჩრდ. ნაწილში წარმოდგენილია პატარა ცხოველების გამოსახულება. ტაძრის კარნიზების კუთხის ქვეზე წარმოდგენილია ანგელოზების გამოსახულება. ანგელოზების სახეები პირდაპირაა გადმოცემული, ხოლო ფრთები გვერდითი კედლების გაყოლებით. ეს ფაქტი ბ–ნ ვ. სილოგავას აფიქრებინებს რომ მსგავსი გამოსახულება ახასიათებს მეათე საუკუნის ძეგლებს. ვალის ხსენებული ტაძარი რამდენჯერმე არის გამოკვლეული. ერთ–ერთი პირველი მათ შორის მარი ბროსე იყო. იგი სამხრეთის სვეტზე მდებარე დედისიმედის წარწერის საფუძველზე ტაძარს XVI საუკუნით ათარიღებდა. ექვთიმე თაყაიშვილი ძეგლის კვლევისას ეყრდნობოდა აღმოსავლეთის ფასადის რელიეფს „კრავის“ გამოსახულებით. იგი, ამ ფაქტზე დაყრდნობით ტაძარს მეცხრე საუკუნით ათარიღებს. ამდენად, ტაძარი გუმბათოვანი უნდა ყოფილიყო, მაგრამ მრავალჯერადი გადაკეთების შემდეგ პირველადი სახე დაკარგა, თუმცა მაინც შენარჩუნებული აქვს სისადავე და სიდიადე. იგი ქართული ხუროთმოძღვრების მნიშვნელოვან ძეგლია.

¹⁵ სამცხე–ჯავახეთის ძეგლები. ახალციხე, 1997. სერიის ავტორის ბერიძე მ.

¹⁶ იგივე. გვ. 3.

რამდენიმე სიტყვით შევეხოთ სოფლის მოსახლეობის რელიგიურ კუთვნილებას. როგორც აღვნიშნეთ, მეჩვიდმეტე საუკუნიდან მას შემდეგ რაც, სამცხე-საათაბაგო საბოლოოდ ჩამოსცილდა საქართველოს და ოსმალების დასაყრდენ პუნქტად იქცა კავკასიაში, რეგიონში დაიწყო ქრისტიანობის დევნა. ამ პერიოდში ოსმალეთი პაპს და კათოლიკურ სარწმუნეობას წინააღმდეგობას ვერ უწევდა. ამ ფაქტმა ხელი შეუწყო მესხურ სოფლებში მართლმადიდებლობის მხარდამხარ კათოლიკობის ჩასახვას და გავრცელებას. ამის თაობაზე მ.თამარაშვილი წერდა: „კათოლიკეებმა მტკიცედ დაიცვეს თავიანთი სარწმუნეობა და დასავლეთის შემწეობით არ მიიღეს მაჰმადიანობა, რომელსაც ოსმალები ავრცელებდნენ.“¹⁷ ზ. ჭიჭინაძე, როდესაც აღწერს ხსენებულ სოფელს დასძენს: “ძველად ამ სოფელში მთლად მართლმადიდებლები სცხოვრობდნენ, შემდეგ ესენი ძალით გაუთათრებიათ. გათათრების დროს, ზოგნი კათოლიკობას დაკავშირებთან და მით გადაურჩენიათ თავი“¹⁸. სოფლის მოსახლეობას შორის ზ. ჭიჭინაძე ასახელებს 100 კომლ ქართველ კათოლიკეებს, 50 კომლ ქართველ მართლმადიდებლებს და 50 კომლ ქართველ მაჰმადიანებს. აღნიშვნის ღირსია დაპირისპირება, რომელიც მაჰმადიანთა და ქართველთა შორის ყოფილა. “მუსულმანები მოძულენი არიან ქართველთა და ქართულ ენასაც ივიწყებენ“.

როგორც ჩანს, კათოლიკენი გამრავლებულან, იმდენად რომ ტაძრის საჭიროების საკითხი დადგა. 1670 წ. ეკლესიაც აუშენებიათ, რომელსაც „ლათინის წეს–რიგის პატრი“ ხელმძღვანელობდა. შემდეგში ტაძარი ოსმალებს გაინადგურებიათ. კათოლიკეებს ახალი ტაძრის შენება დაუწყიათ, რომლის შესახებ საუბარი ქვემოთ გვექნება. ჩვენი ყურადღება მიიქცია შემდეგმა ფაქტმა, კათოლიკურ ტაძარში 1862 წლისთვის წირვა–ლოცვა სომხურ ენაზე აღევლინებოდა, მხოლოდ ლოცვების ნაწილი იკითხებოდა ქართულად.¹⁹ სომხური ენა ქართველთათვის გაუგებარი ყოფილა. მათ, დიდი სურვილი ჰქონიათ მშობლიურ ენაზე მოესმინათ წირვა–ლოცვა. ზ. ჭიჭინაძისეულ თხრობას ეწინააღმდეგება კათოლიკურ ჟურნალ „საბაში“ წარმოდგენილი მასალა: “1670-იან წლებში კათოლიკეებს ეკლესიაც კი აუგიათ (მანამდე ცნობები არ მოგვეპოვება, იდგა თუ არა სოფელში ეკლესია), მღვდელი კი ლათინური წესის უცხოელი მისიონერი ყოფილა, მაგრამ წირვა–ლოცვა აქაც ისევე ქართულად სრულდებოდა, როგორც სხვაგან, სამცხე-ჯავახეთში. „ნათქვამია სტატიაში. ხსენებული ფაქტი ჩვენში ორაზროვნებას ბადებს.“²⁰ ტაძარი ოსმალებმა მრავალჯერ დაანგრიეს, ხოლო XVIII საუკუნეში ის საძირკვლამდე გაანადგურეს. 1860 წელს დაიწყო ახალი ეკლესიის მშენებლობა, რომელიც 1862 წელს დასრულდა. ამ ეკლესიის აშენებას ხელმძღვანელობდა მოძღვარი სტეფანე ზაქარიანი. ეს ეკლესია შემორჩენილია დღემდე, რომელიც ღმრთისმშობლის სახელზეა აგებული.²¹ საბჭოთა რეჟიმის დროს ტაძარში ღვთისმსახურება არ აღესრულებოდა. კომუნიზმის დამხობისთანავე აღდგა წირვა–ლოცვა ხსენებულ ტაძარში. 2008 წ.–მდე ტაძარს უცხოელი მღვდლები ხელმძღვანელობდნენ, ხოლო ხსენებული წლიდან ვალის კათოლიკური ეკლესიის მოძღვრად დაინიშნა მამა ზ. კაკაჩიშვილი.

ს. ვალეს ოთხივე მხრიდან ესაზღვრება ნასოფლარები. მათ შორისაა ირქის სახელით ცნობილი ნასოფლარი. სწორედ აქ, ს. ვალიდან სამხრეთით, მდ. ფოცხოვის მარცხენა ნაპირზე, შემალღებულ ადგილას მდებარეობს ძველისძველი ტაძარი. ეკლესია პატარაა, წმინდა გიორგის სახელზე აგებული. ადგილობრივები, ყოველი წლის 23 ნოემბერს, წმ. გიორგის სახელობის დღეს მოდიან და წირვას ატარებენ ამ ეკლესიაში. საინტერესო წარმოშობისაა თვით ტოპონიმი – ირქა. ირქის ადგილას უწინ ეკლესია იყო, ამ სოფელში აუშენებიათ ეკლესია და მის კედელში ჩაუტანებიათ ირმის რქა, ამის გამო ეწოდა ირქა. არსებობს მეორე ვერსიაც, ლეგენდის მიხედვით ამ ადგილებში ხარობდა ვაზი – რქა წითელი, მტრებმა სოფელი

¹⁷ ზაქაროშვილი ს. „ვალე 1000“; თბ. 2012 წ. გვ. 46.

¹⁸ ზ. ჭიჭინაძე, კათოლიკეთა ეკლესია საქართველოში, გვ. 30.

¹⁹ იქვე, გვ. 31

²⁰ <http://www.catholicchurch.ge/index.php/ge/parrochie/2014-02-18-09-50-55>.

²¹ <http://www.catholicchurch.ge/index.php/ge/parrochie/2014-02-18-09-50-55>.

განადგურეს, ვაზი კი თანდათან გადაშენებულა სახელი კი დარჩა.²²ახლა აქ მხოლოდ ნასოფლარია. თვითონ ტაძარი ბაზილიკის ტიპის ნაგებობაა, არ არის დადგენილი მისი აშენების თარიღი, არც აშენებელ-ხუროთმოძღვრის სახელი ვიცით. ვფიქრობთ, საინტერესი იქნება ამ ძეგლის ღრმა კვლევა-ძიება.

ჩვენი შემდეგი საკვლევო ობიექტი სოფელ უდის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი. ეს ეკლესია აშენებული უნდა იყოს XI საუკუნეში, ბაგრატ მესამის დროს. უდის ეკლესია წარმტაცი სანახავი ყოფილა XI-XII-XIII საუკუნეებში. მე-13 საუკუნის ბოლოს ქართველთა შორის კათოლიკობა გავრცელდა. „XIV საუკუნის ნახევარს, იგი დატოვებულ იქმნა ქართველთა გვარის კათოლიკეთათვის, სადაც განაგებდნენ და მწყსიდნენ ლათინის წესის რიგის პატრები“.²³ შემდეგში ტაძარმა მრავალი უბედურება გადაიტანა. მათ შორის სტიქიური მოვლენები, რომლებმაც თავისი კვალი დაატოვა ტაძარზე და მისი პირვანდელი სახით აღდგენა ვერ მოხერხდა. ეკლესიას ძველი შესავლის მხარეს შემონახულია ქართული წარწერები. როგორც ხუცური ისე მხედრული. მოსახლეობა ზ. ჭიჭინაძის ცნობებით ქართულენოვანია. თუმცა, ადგილობრივთა ნაწილს გვარები გადაკეთებული ჰქონია. 300 მოსახლიდან 50 ქართველი მაჰადიანები ყოფილან, მათ ქართული ენა დაუვიწყებიათ. თავდაპირველად, 1787 წ. თვის წირვა-ლოცვა ქართულ ენაზე მიმდინარეობდა, მოგვიანებით, ხან ქართულად და ხან ლათინურად.²⁴ ბუზმარეთი – ასე ექვია ადგილს სოფელ უდიდან რამდენიმე კილომეტრის მოშორებით, სადაც ორი პატარა ეკლესიაა. სასწაულმოქმედი ტაძარი ბუზმარეთი მდებარეობს ადიგენის რაიონში. სოფელ უდიდან, დაახლოებით, 7-8 კილომეტრის მანძილზე. ძეგლი ფოთლოვანი და წიწვოვანი ტყით შემოსილი მთის წვერზეა აშენებული. აქ საქართველო-თურქეთის სასაზღვრო ზონაა. ერთი ეკლესია, სადაც ახლა მამათა მონასტერია საზღვრის შიგნითაა. იქამდე კი, საზღვრის მიღმა, მეორე ეკლესიაა, რომელიც ღვთისმშობლის სახელობისაა. ამიტომ 28 აგვისტოს, მარიამობას, მთელი სოფელი ამ ადგილას იკრიბება. ეს ერთადერთი დღეა წელიწადში, როცა საზღვრის დიდი რკინის კარი ბოლომდე იღება და შიგნით მდებარე მამათა მონასტერში შესვლა ნებისმიერს შეუძლია, თანაც ყოველგვარი შემოწმებისა და პირადობის მოწმობის გარეშე. მომლოცველების ნაწილი ბუზმარეთამდე ფეხით, ნაწილი ფეხშიშველიც ამოდის, ამბობენ, რომ ეკლესია სასწაულმოქმედი და ამხელა მანძილსაც ისე გამოდიან, რომ დაღლას ვერ გრძნობენ. როგორც აღვნიშნეთ, ტაძარი თურქეთის საზღვარზე მდებარეობს. პირველი ტაძარი აღდგენილი 1999 წ. ხოლო მეორე 2007 წ. ბუზმარეთის ეკლესია წარმოადგენს ბაზილიკის ტიპის ერთნავიან ტაძარს და შუასაუკუნეებით თარიღდება. ადგილობრივი მცხოვრებლები საუბრობენ ტაძრის სასწაულმოქმედებაზე. არსებობს ასეთი რწმენაც, თუ ფეხშიშველი, მონანიე გულით და ლოცვით გაივლი გზას სოფლიდან ტაძრამდე, სასწაული მოხდება და სურვილი აგიხდება. (ფეხით გასავლელი გზა საკმაოდ გრძელია, 18 კმ.მდე) ასევე, აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ ტაძარში წირვა – ლოცვას ადავლენს არამარტო მართლმადიდებლური, არამედ ადგილობრივი კათოლიკე მოსახლეობაც. ხსენებული ტაძრის გამოკვლევა შესულია გ. ბოჭორიძის წიგნში „მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში“.

ს. ვალე საქართველო-თურქეთის საზღვარზე მდებარეობს. საზღვრის მიღმა დაჩენილ ქართულ ტაძრებს შორის გვსურს ყურადღება მივაქციოთ ჯაყისმანის სახელით ცნობილ ტაძარს. ამჟამად, აქ მხოლოდ ნასოფლარია. ტაძრის და ადგილის სახელის წარმოშობას სხვადასხვა ამბავს და დროს უკავშირებენ. ჯაყისმანი – ნასოფლარი ვალიდან სამხ-დას.-ით, ყოფილი ფერმის ადგილზე მდებარეობს. სოფელი მოხსენიებულია გურჯისტანის ვილაიეთში. რესპოდენტის მიხედვით, სახელი მიღებული მდინარე ჯაყის-წყლისაგან. მდინარის სახელისგან წარმოსდგა ამ ადგილის სახელი, შემდეგში კი ჯაყელთა გვარი. მეორე მოსაზრებით ჯაყელები ამ ადგილებში ცხოვრობდნენ, მათი გადასახლების შემდეგ კი სოფელს სახელი დარჩა. სოფელი განადგურდა მაგრამ ტაძარი გადარჩა. ტაძარი მდებარეობს საქართველო-თურ-

²² რეს.: შ. მოსეშვილი.

²³ ზ. ჭიჭინაძე, კათოლიკეთა ეკლესია საქართველოში, გვ. 30.

²⁴ იქვე, გვ. 29.

ქეთის სასაზღვრო ზონაში. ძეგლთან მიღწევა საკონტროლო პუნქტის გავლით არის შესაძლებელი. უახლოესი დასახლებული სოფელი წყალთბილაა. სამანქანო გზა არ არსებობს. მონასტერი დაახლოებით ორი წელია რაც მოქმედია და მასში, წინამძღვრის გარდა, რვა მორჩილი ცხოვრობს. მთავარი ტაძარი აღდგომის სახელობისაა. ეკლესია დარბაზული ტიპისაა და განეკუთვნება X-XI სკ/. იგი დარბაზული ტიპის ეკლესიაა. მნახველს იზიდავს ეკლესიის სამშენებლო ტექნიკის მაღალი დონე, კედლის წყობა, ფაქიზად თლილი ქვებით მოპირკეთება როგორც ინტერიერში, ასევე ექსტერიერში. თაღების, პილასტრების, კაპიტელების ნატიფი ფორმებით ხსენებული ტაძარი X-XI საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრები ნიმუშებს ემსგავსება. ჯაყისმანის სამონასტრო კომპლექსი შემდეგი ნაგებობებისგან შედგება: მთავარი დარბაზული ეკლესია, რომელსაც ჩრდილოეთიდან ორი მცირე სამლოცველო (მათგან ერთი, შესაძლოა, პასტოფორიის ფუნქციას ასრულებდა) აკრავს. კომპლექსში შემავალი ნაგებობები ძველი ნასოფლარის ტერიტორიაზეა განლაგებული. ფერდობი მდ. ფოცხოვის ხეობას გადაჰყურებს. სავარაუდოდ, ჯაყისმანი ჯაყისუბნის ტოპონიმიდან მოდის და დამახასიათებელია ტერიტორიისთვის, რომელიც ისტორიულად ჯაყის სახელს ატარებდა და მსხვილი ფეოდალების, ჯაყელების სამფლობელოს ნაწილს წარმოადგენდა.

სოფელი ივლიტა მდებარეობს ქალაქ ახალციხიდან ორ კილომეტრში, მდინარე ფოცხოვის მარცხენა ნაპირზე. ზღვის დონიდან 960 მეტრი. 2002 წლის აღწერის მიხედვით სოფელში ცხოვრობს 231 კაცი.²⁵ სოფელ ივლიტაში არსებობს შუასაუკუნეების განსაკუთრებული ძეგლი, რომელიც დავის საბაზი გახდა ერთი ერის ორი რელიგიის წარმომადგენელთა შორის. მხედველობაში გვყავს ს. ივლიტის მართლმადიდებლური და კათოლიკური მოსახლეობა. ხსენებული ტაძრის კუთვნილებასთან დაკავშირებით 2005 წ. საინტერესო წიგნი გამოცა თ. იველაშვილმა სახელწოდებით: „სოფელ ივლიტის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია“. ამ მოხსენებას დაუპირისპირდა არანაკლებ საინტერესო წიგნი ზურაბ კიკნაძის რედაქტორობით: „სიმართლისა და სამართლისათვის ივლიტის ეკლესიაზე“. ჩვენ შევეცდებით, რამდენადმე წარმოგიდგინოთ მთავარი მასალები არსებულ პრობლემასთან დაკავშირებით. ჩვენი საფუძველი კი საკითხის კვლევისას ხსენებული ლიტერატურა იქნება. ქ – ნ თ. იველაშვილი თავის წიგნში დასაწყისიდანვე შეახსენებს მკითხველს ქართველთა ბრძოლას მართლმადიდებლური სარწმუნოების დასაცავად. რელიგიური უთანხმოებანი ხშირი იყო ქართველი ხალხის ცხოვრებაში. სამცხე-ჯავახეთი ამ მხრივ ყველაზე ცხელი წერტილი აღმოჩნდა, სადაც დაპირისპირება ახლაც არსებობს. ხსენებული ისტორიკოსის აზრით, სამცხე-ჯავახეთში იგზავნებინ კათოლიკე პადრები. სწორედ მათ მიაწერს სოფელ ივლიტაში წარმოშობილ განხეთქილებას წიგნის ავტორი. თუმცა, საჭიროა დასაწყისიდან მივყვეთ, ს. ივლიტა მოხსენიებულია „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“: „სოფელი ივლიტა მეორე სახელი ორსოლა ცარიელი რეყაიასაგან, ჯამი მარცვლეულისა და სხვათაგან 3500.“²⁶ როგორც ჩანს ეპიდემიების შედეგად ივლიტის ძირძველი მოსახლეობა განადგურდა, ნასოფლარად იქცა. შემდეგში აქ მეზობელი სოფლებიდან სახლდებიან. როგორც აღვნიშნეთ, ს. ივლიტის მნიშვნელოვან კულტურულ ძეგლს წარმოადგენს ღვთისმშობლის სახელზე აგებული ეკლესია. ეს ეკლესია არაუგვიანეს მე-13 საუკუნისა უნდა იყოს აგებული. ამას გვაფიქრებინებს ნაგებობის საძირკველი, მისი განლაგება.²⁷ ეკლესიას ეტყობა მრავალჯერადი გადაკეთების კვალი. ამას მოწმობს გ. ბოჭორისეული გამოკვლევა: „სოფელ ივლიტის ეკლესია ბანიანი შენობაა, დამყარებულია 6 ხის სვეტზე, ზომით არის 15X8.8 მ. იგი განახლებულია 1912წ.“²⁸ როგორც ადგილობრივების გადმოცემიდან ჩანს „დღევანდელი ივლიტის ტერიტორიაზე იდგა ოთხი ეკლესია: კლუბის ადგილას, გიქოშვილებს რომ ყანა აქვთ, დღევანდელი მოქმედი ეკლესია, რომელზედაც დავაა და

²⁵ ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. V, გვ. 95, თბ., 1980 წელი.

²⁶ „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“, II, თბ., 1941, გვ. 37.

²⁷ თ. იველაშვილი; „სოფელ ივლიტის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია“; თბ., 2005; გვ. 5.

²⁸ გ. ბოჭორიძე; მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში, თბ., 1992, გვ. 45.

სოფლის ქვეშ მდინარის პირას. რკინიგზის გაყვანამდე ამ უკანასკნელი ეკლესიის ნანგრევები კიდევ იყო, რკინიგზის გაკეთებისას კი დაიკარგა – მასზე რკინიგზის ხაზმა გაიარა.“²⁹. წმ. ივლიტას სახელობის ეკლესიის შესახებ ინფორმაცია დაცული ზ. ჭიჭინაძის გამოკვლევებშია. მისი მოსაზრებით, ივლიტის ტაძარი „პირველად ქართველთა გააშენეს XII საუკუნეს, ოცხეს წყლის ნაპირას“. XVII საუკუნეში ხსენებული ტაძარი დაუნგრევიათ ბექა ათაბაგის ბრძანებით. როგორც ჩანს, ბექა ათაბაგი მოსახლეობას ძალით ამაჰმადიანებდა, რის გამოც სოფლის ქართველთა ნაწილმა მიატოვა სამყოფელი. მათ მაგივრად ქართველი კათოლიკეები მომრავლდნენ. კათოლიკეებმა აღადგინეს 1640 წლისთვის ხსენებული ტაძარი. ეკლესიის განახლების საქმეში დიდი წვლილი მიუძღვოდათ ახალციხელ მეფისაშვილებს.³⁰ ჭიჭინაძისეული გამოკვლევა ცხადყოფს, ეკლესიაში „ძველის დროიდან ხან ლათინის წესს–რიგის პატრები განაგებდნენ და ხანდახან სომხის წესს–რიგის ხუცები. წირვა ლოცვა და ქადაგება უმეტესად ქართულს ენაზე სწარმოებდა... ძველთაგანვე ივლიტაში ქართული ენა მეფობდა.“ ამდენად, ცხადი ხდება, რომ მთლიანობაში ტაძარს ქართველები განაგებდნენ. რამდენიმე ძირითადი არგუმენტი წამოაყენა იველაშვილმა ხსენებულ ნაშრომში ტაძრის მართლმადიდებლური ისტორიის დასასაბუთებლად. სოფლის მოსახლეობის წარსულის საკვლევად სასაფლაოების აღწერა–შესწავლა მიღებული მეთოდია. ს. ივლიტის ძველი სასაფლაო, დღესდღეობით მიტოვებული, აღუწერია გ. ბოჭორიძეს. კვლევა –ძიებამ ცხადყო, რომ აქ ცხოვრობდნენ შემდეგი გვარები: მჭედლიშვილები, მაქანდარაშვილები, ბატონჯანაშვილები, კოსტანაშვილები, მეფისაშვილები, ცერამიშვილები. სავარაუდოდ, ამ გვარის მოსახლეობა შავი ჭირის ეპიდემიას ემსხვერპლა. დღეს უკვე სახეზეა, განსხვავებული გვარის მოსახლეობა, რომლებიც მეზობელი სოფლებიდან გამოსახლებულან XIX–XX სს–ში მათ შორის: ჩილინგარაშვილები, გიქოშვილები, აფრიაშვილები, გვირჯიშვილები, ლაზარაშვილები, მექოშვილები და სხვ. ზოგიერთი საფლავი უსახელოდ არის დატოვებული, ზოგიერთ მათგანს კი ცხვრის ფორმის ქანდაკება ადგას. ცნობილია, რომ გარდაცვლილთა საფლავებზე საფლავის ქვად ცხვრის ქანდაკების დადგმა ქართული ტრადიცია იყო. „საფლავის ქვად ცხვრის ქანდაკება ახასიათებთ მხოლოდ მართლმადიდებლებს“³¹. ამ არგუმენტს მიხედვით, იველაშვილს მიაჩნია, რომ ივლიტის ეკლესია მართლმადიდებლურია. საფლავის ქვები გ. ბოჭორიშვილის გამოკვლევების შემდეგ დაზიანებულია. მას მოჰყავს კონკრეტული ფაქტი, რომლის მიხედვით:” 2004 წლის აგვისტოში სასაფლაო დავათვალიერეთ, ვნახეთ ძველი წარწერიანი საფლავის ქვა, რომელსაც შუაზე მსხვილი მავთული ჰქონდა მოხვეული და წასაღებად იყო გამზადებული“.³² თუმცა, ჩვენი მოკრძალებული აზრით, მხოლოდ ეს ფაქტი ვერ გაგვარკვევს რომელიმე მხარის დანაშაულში ანდა უდანაშაულობაში. ივლიტის ეკლესია, სავარაუდოდ, ორჯერ მაინც არის გადამწვარი. თუმცა, რა პირობებში მოხდა არ არის ცნობილი. მ. თამარაშვილი მოგვითხრობს პეტრე მღვდლის შესახებ, რომელიც რომში თხოვნას აგზავნის „ეკლესიის ტრაპეზისთვის შენ(დ)ობის განახლებისთვის“.³³ იველაშვილი ამ ფაქტს შემდეგნაირად ხსნის, მას სჯერა რომ თუ ამ დრომდე არსებობდა კათოლიკური ტაძარი მაშინ ხომ უკვე ნაკურთხი იქნებოდა ტრაპეზი. ამდენად, ავტორს ეს საკმაოდ თამამ განაცხადს ათქმევინებს. „იქნებ სწორედ ამ მღვდლის მითითებით ან ჩარევით მოხდა ეს ხანძარი რათა სრულიად წაეშალათ მართლმადიდებლობის კვალი და მოეხდინათ მისი აღდგენა კათოლიკური ეკლესიის სახით.“ ჩვენ გავეცანით მღვდელ გაბრიელე ბრაგანტინის პუბლიკაციას „პასუხად მართლმადიდებლობის დამჩემებელ ისტორიკოსებს“, სადაც ხსენებულ ბრალდებას ეხმაურება ავტორი. მისი თქმით, ბრალდება უსაფუძვლოა. იგი უარყოფს და სრულიად გაუგებარად მიაჩნია ტერმინი :“შენდობის განახლება“. საგულისხმო კორექტივიც შემოაქვს. შესაძლოა,

²⁹ თ. იველაშვილი; სოფელ ივლიტის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია; თბ., 2005; გვ. 6.

³⁰ ზ. ჭიჭინაძე, კათოლიკეთა ეკლესია საქართველოში. გვ. 19–21.

³¹ თ. იველაშვილი; სოფელ ივლიტის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია; თბ., 2005; გვ. 7–8.

³² თ. იველაშვილი; სოფელ ივლიტის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია; თბ., 2005; გვ. 26.

³³ მ. თამარაშვილი; ისტორია კათოლიკობისა საქართველოში, თბ., 1902, გვ. 438.

ორიგინალში იკითხება შენობა და არა შენდობა. ამდენად, მღვდელი გაბრიელეს მიხედვით, მამა პეტრე ტაძრის განახლებას ითხოვდა. ასევე სტატიაში ავტორი ხაზს უსვამს შემდეგ ფაქტს: მართლმადიდებლური სიწმინდეები კათოლიკეებისთვისაც სიწმინდეებია და ამდენად, მღვდელი პეტრე ამ მიმე დანაშაულს ვერ და არ ჩაიდენდა.³⁴ ასევე, თუ პეტრე მღვდელს სურდა წაეშალა კვალი, სრულიად უსაფუძვლო მიზანია, ვინაიდან მღვდელი გაბრიელე ბრაგანტინის მიხედვით კათოლიკეთათვის დაბრკოლებას არ წარმოადგენს მართლმადიდებლურ ტაძარში წირვის ჩატარება.ამავე საკითხთან დაკავშირებით ნ.პაპუაშვილს მოჰყავს შემდეგი მაგალითი: “მღვდელმოწამე გრიგოლ ფერაძე საზოგადო და კერძო ღვთისმსახურებას ხშირად არამცთუ კათოლიკურ, არამედ მეთოდისტების, ე.ი. პროტესტანტების, ეკლესიაშიც ატარებდა. მის მართლმადიდებლობაში ეჭვს ვერავინ შეიტანს.”³⁵ ”ზემოთ ხსენებულ ფაქტების გარდა იველაშვილი კიდევ ერთ პრობლემას აყენებს. 1962 წ.ტაძარი დაიწვა კიდევ ერთხელ, მისი აღდგენა სოფელმა მოახერხა. მათ აქტიურ დახმარებას უწევდნენ მეზობელი სოფლები. მათ შორის განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ ს.სხვილისის სომეხი კათოლიკეები.”რა თქმა უნდა სომეხი ხელოსანი ეკლესიას ისე აღადგენდა, როგორც მათთვის იყო დამახასიათებელი,მაგრამ ვერაფერი მოუხერხა კედლებს. ”აცხადებს ავტორი. ამდენად ხსენებული ფაქტის საფუძველზე დაასკვნის იველაშვილი, რომ მავანთა და მავანთა სურვილი იყო ტაძრის აღდგენის დროს დაკარგულიყო მართლმადიდებლური ტაძრისთვის დამახასიათებელი ნიშნები. მთლიანობაში ხსენებული ნაშრომები საკითხს ორი განსხვავებული კუთხით წარმოგვიდგენენ. თ. იველაშვილის თხრობას თან გასდევს მოტივი – ბრძოლა ქართული–მართლმადიდებლური სარწმუნოების დასაცავად. ავტორის აზრით, ბოროტი ძალები ცდილობენ მართლმადიდებლურ ეკლესიას გამოჰკლიჯონ კუთვნილი ტაძრები და მიითვისონ. ასევე ავტორი აღნიშნავს, რომ ადგილობრივი კათოლიკე წინამძღვრები არ ჰყოლიათ საქართველოში. თუ რატომ ხდებოდა ასე ამის პასუხი შემდეგნაირად ჟღერს წიგნში: კათოლიკობის ისტორიას ქართულ სამეფო კარზე საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს. თუმცა, ქართველი ხალხი კათოლიკე პადრებს სულიერ მოძღვრებად კი არ მიიჩნევდა არამედ, მკურნალებად. მან განაპირობა აღნიშნული ფაქტი. სწორედ, ეს აზრია გავითარებული თ. იველაშვილის თხრობაში. მის საწინააღმდეგოდ, მღვდელ გაბრიელე ბრაგანტინეს მოჰყავს ქართველი, კათოლიკე მღვდლები, რომლებმაც თავი გასწირეს კათოლიკური რწმენისთვის. მათ შორის მღვდელი ბრაგანტინე ასახელებს ძმა დიმიტრი თბილელს, რომელიც მოწამეობრივად აღესრულა ინდოეთში 1321 წ. ასევე, თეატინელი მამა ანდრეა ლიპომანი, ასევე მოწამეობრივად აღესრულა კ. გოაზე 1642 წ.³⁶ ნ.პაპუაშვილი კიდევ უფრო შორს მიდის და ქართველ ერს ფილეთიზმში ადანაშაულებს. ეკლესიური ფილატელიზმი გაგებულია როგორც ეკლესიური ნაციონალიზმი, „ნაციონალური პრინციპით ეკლესიების დაყოფა“.

დაპირისპირებული მხარეების არგუმენტების მოყვანა შეიძლება გაგრძელდეს უსასრულოდ. ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს გამოვყოთ რომელიმე მხარე და მას მივანიჭოთ უპირატესობა. რა თქმა უნდა, არა. ჩვენ გვსურს ფართო საზოგადოება დავაინტერესოთ მიმდინარე საკითხით. ვფიქრობთ, საუკეთესო გამოსავალი არსებული პრობლემიდან ერთადერთია: ჩატარდეს სპეციალური კვლევა, რომელიც გაარკვევს თუ ვის საკუთრებას წარმოადგენდა ტაძარი თვდაპირველად და კანონით, ვის ეკუთვნის მისი ფლობა. საკითხზე, შორიდან საუბარი ჩვენი მხრიდან არასწორად მიგვაჩნია. ვფიქრობთ, მიზანშეწონილი იქნება ტაძრის ისტორიის გაცნობაც. ამასთანავე, მიგვაჩნია, რომ ხსენებული ძეგლები საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვან ფურცელს წარმოადგენს. ძეგლთა შესწავლის შემდეგ შესაძლებელი გახდება დაიგეგმოს საინტერესო ტურისტული მარშრუტები რეგიონის მასშტაბით.

³⁴ ნ. პაპუაშვილი, მღვდელი გაბრიელე ბრაგანტინი; სიმართლისა და სამართლისათვის ივლისიტის ეკლესიაზე. თბ., 2006. გვ.10.

³⁵ იგივე. გვ. 42.

³⁶ ნ. პაპუაშვილი, მღვდელი გაბრიელე ბრაგანტინი; სიმართლისა და სამართლისათვის ივლისიტის ეკლესიაზე. თბ., 2006. გვ. 14.

დასკვნის სახით უნდა ითქვას შემდეგი, განხილულ ტაძართაგან თითოეულის საკუთრების დადგენა არ წარმოდგენს ჩვენს პრეროგატივას. ჩვენ ვეცადეთ, დაგვეხატა მესხეთის ისტორიული წარსული რელიგიურ ფონზე, რამდენიმე ტაძრის მაგალითით. კვლევა, აშკარად, დაგვარწმუნებს, მესხეთის ხსენებული ტაძრები ქართველთა კუთვნილებაა და ვფიქრობთ, კონფესიურ თვალსაზრისს ნაკლები ყურადღება უნდა მიექცეს. ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანია, გააზრებულ იქნას, ხსენებული ძეგლების მნიშვნელობა და მეტი ყურადღება დაეთმოს მათი შესწავლის საქმეს. ასევე, ცნობილია, რომ მესხეთის მოსახლეობამ კათოლიკური სარწმუნოების მიღებით შეძლო შეენარჩუნებინა ქართული ეროვნება. თუმცა, XIX საუკუნეში, სომხური ტიპიკონის ეკლესია ცდილობდა კათოლიკე მოსახლეობისთვის გვარები შეეცვალა და ამით წაეშალა მათი ეროვნება. თუმცა, ეს სულ სხვა საკითხია და ჩვენს კომპეტენციაში არ თავსდება. ვფიქრობთ, მიმდინარე კვლევამ ნათლად დაადასტურა მესხეთი მიუხედავად სხვადასხვა კონფესიური ერთობებისა, წარმოადგენს ქართულ-ისტორიულ მხარეს, რომლის მოსახლეობაც ძირძველი სამცხის შვილები არიან.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბერიძე 1974; ვ.ბერიძე: ძველი ქართული ხუროთმოძღვრება თბილისი 1974.
2. ბერიძე 1997 ბერიძე მ. (სერიის ავტორი) ; სამცხე-ჯავახეთის ძეგლები.ახალციხე 1997.
3. ბოჭორიძე 1992; გ. ბოჭორიძე: მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში თბილისი 1992.
4. გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, II ,თბ., 1941.
5. ზაქროშვილი 2012 ; ს.ზაქროშვილი: ვალე 1000 თბილისი 2012.
6. თამარაშვილი 1902; მ. თამარაშვილი: ისტორია კათოლიკობისა საქართველოში თბილისი 1902.
7. იველაშვილი 2005 ; თ. იველაშვილი; სოფელ ივლიტის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია თბილისი 2005.
8. პაპუაშვილი; ნ. პაპუაშვილი, მღვდელი გაბრიელე ბრაგანტინი: სიმართლისა და სამართლისათვის ივლიტის ეკლესიაზე თბილისი 2006.
9. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. V, გვ. 95, თბ., 1980 წელი.
10. <http://www.dzeqlebi.ge/statiebi/arqiteqtura/qristianuli-bazilikis-arqiteqturuli-tipi>.
11. <http://www.catholicchurch.ge/index.php/ge/parrochie/2014-02-18-09-50-55>

არაქართველთა განათლების პრობლემა საქართველოში

საქართველო დემოკრატიული, მრავალეთნიკური ქვეყანაა. დღესდღეისობით ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები (გარდა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონისა) დაახლოებით ქვეყნის 16 პროცენტს შეადგენენ.

მათი დიდი ნაწილი - უმეტესად ეთნიკური სომხები და აზერბაიჯანელები კომპაქტურად არიან დასახლებულები ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთის ტერიტორიაზე.

საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკა გულისხმობდა ეთნიკური ჯგუფების მოწყვეტა და ცალკე განსახლებას, რამაც შემდგომში განაპირობა ინტეგრაციის დაბალი ხარისხი.

საქართველოს სხვა რეგიონებში ცხოვრობენ ათობით შედარებით მცირე ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები, რომლებსაც ინტეგრაციის მაღალი ხარისხის გამო საკუთარი თვითმყოფადობის შენარჩუნების პრობლემა აქვთ. მიუხედავად ამ კუთხით გაწეული მუშაობისა, ჯერაც არადაამკმაყოფილებელია ეთნიკური უმცირესობის ინტეგრაციის და მათი უფლების დაცვის ხარისხი.

საქართველოში საგანმანათლებლო პოლიტიკა სწორი მიმართულებით ვითარდება, თუმცა მიუხედავად ამისა, ბევრი პრობლემა ჯერაც მოუგვარებელია და სახელმწიფომ ამ მხრივ უნდა მიიღოს მიზანმიმართული გადაწყვეტილებები.

ჩვენი აზრით, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა, რომ რაიონებში არაა ან ძალიან ცოტაა საბავშვო ბაღები. მოგეხსენებათ, რომ ქართულ სკოლებში თბილისსა და დიდ ქალაქებში პირველ კლასში არც იღებენ მოსწავლეებს საბავშვო ბაღის გავლის გარეშე, აქედან გამომდინარე სადავო აღარაა ის, რომ სკოლაში წასვლამდე ბავშვის საზოგადოებრივი ცხოვრების ჩაობისთვის აუცილებელია სკოლამდელი განათლება. ჩვენმა მთავრობამ უნდა გამოეყო ბიუჯეტში თანხები საბავშვო ბაღებისთვის, რომ აზერბაიჯანელმა, სომეხმა, ქართველმა თუ სხვა ეროვნების საქართველოს შვილმა თანაბარ პირობებში შეძლოს განვითარება, იმის მიუხედავად, მთის სოფელში ცხოვრობს იგი თუ დედაქალაქში. 5-6 წლის ასაკიდანვე მარგინალიზაცია უარყოფითად აისახება მოზარდზე.

განსაკუთრებული ყურადღება გვინდა მივაქციოთ სახელმწიფო ენის სწავლებას არაქართულ სკოლებში. საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრო ამ კუთხით ახორციელებს ორ მნიშვნელოვან პროექტს: „ასწავლე ქართული, როგორც მეორე ენა“ და „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“. პირველი პროექტი გულისხმობს სერტიფიცირებული, კვალიფიციური ქართულის მასწავლებლების გაზრდას არქართულ სკოლებში. საქართველოში ორასზე მეტი არქართული სკოლაა და პროგრამაში ჩართულია 80 პედაგოგი, რაც ნამდვილად არ ჰყოფნის სკოლების ნახევარსაც კი. ამ დროს ისევ ხდება პროფესიონალი კადრების გარეშე დარჩენილი სკოლების მარგინალიზაცია. პროგრამა „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“ გულისხმობს დამხმარე მასწავლებლების შესვლას ქართული ენის და სხვადასხვა საგნის პედაგოგებთან და ისინი 1-6 კლასებში, დაწყებით საფეხურზე მუშაობენ. დაახლოებით 150-მდე ახალგაზრდაა ჩართული. უყურადღებოდ რჩება მეშვიდე კლასის ზევიტკლასები. ამ პროგრამიდან 2-3 დამხმარე პედაგოგია სკოლებში, ხოლო პროფესიონალი თითო, ამიტომ დიდ სკოლებს ვერ სწვდებიან, საჭიროა, როგორც პროფესიონალის, ისე დამხმარე მასწავლებლების რაოდენობის გაზრდა.

კატასტროფულია სახელმწიფო ენის შესწავლის საქმე, სადაც არც დამხმარე მასწავლებელია და არც პროფესიონალი კადრი. საგანს ასწავლიან საშუალო განათლების ქართველები, რომლებიც ვერ ფლობენ

სწავლების მეთოდებს და ნული შედეგები აქვთ ან არა ქართველი ადგილობრივი კადრები, რომლებიც საუკეთესო შემთხვევაში ფლობენ სალაპარაკო ქართულს, ვერ წერენ და არ იციან გრამატიკა, უმრავლეს შემთხვევაში არ იციან ენა, რომელსაც ასწავლიან. რაიონი უფრო შეკრულია და სხვა კულტურულ-თემური ურთიერთობა აკავშირებს კოლექტივს ერთმანეთთან, ამიტომ სკოლის დირექტორი არ ათავისუფლებს უცოდნარ მასწავლებელს და მიუხედავად მრავალგზის ჩატარებული კვლევისა თუ ტესტირებისა, ისინი რჩებიან სკოლებში. ჩვენი რეკომენდაციაა, ისინი ჩაანაცვლონ ახალგაზრდებმა, რომლებიც ახლა ამთავრებენ უმაღლესს, თუ ჩამოყალიბდება ისეთი პროექტი, სადაც სტუდენტებთან გაფორმდება ხელშეკრულებები დაახლოებით ორწლიანი გარკვეული პირობებით, საკადრო კატასტროფა იქნებ ასეთი მასშტაბების არ იყოს.

არის რამდენიმე პრობლემაც, რომლის მოგვარების გზა რთულად გვესახება. შემოწმება არ ხდება საგნობრივი სასწავლო გეგმების, პედაგოგები არ გადიან ტრენინგებს (შეგიძლიათ გადახედოთ გატრენინგებული მასწავლებლების სიას მასწავლებლის სახლში), შესაბამისად, სახელმწიფომ არიცის, რა ხდება არაქართულ სკოლებში საგნებზე. საატესტატო გამოცდებიც აჩვენებს, რომ მოსწავლეები იჭრებიან მშობლიურ ენაზე ჩატარებულ ტესტირების დროს და არა ქართულსა და ინგლისურში, რაც ადასტურებს ამ მხრივ მომუშავე სახელმწიფო პოლიტიკის გარკვეულ შედეგებს.

ზოგადად, ქვეყნის და განსაკუთრებით არქართული სივრცის პრობლემაა წიგნიერება. ბავშვები არ კითხულობენ მშობლიურ ენაზე მხატვრულ ლიტერატურას, ვინაიდან არ არსებობს სკოლებში კარგი ბიბლიოთეკა ეროვნული უმცირესობების ენაზე, არ იცნობენ თანამედროვე თუ მეოცე საუკუნის პოპულარულ ნაწარმოებებს, არ აქვთ მსოფლიოს მიერ საკაცობრიო მნიშვნელობის მქონე ნაწარმოებებზე ინფორმაცია, არ სწავლობენ საფუძვლიანად მშობლიურ ენას, რადგან არ სჭირდებათ გამოცდებზე, ამიტომ ვერხდება მათი ინტელექტუალური განვითარება.

მნიშვნელოვანი პრობლემაა რაიონებში არსებულ რამდენიმე ქართულ სკოლაში უამრავი არქართველის მოხვედრა. კლასში როდესაც არის 23 მოსწავლე და 20 არაქართველი, დაწყებითის პედაგოგი უნდაფლობდეს მათი სწავლების მეთოდებს, რისი ფუფუნებაც ჯერჯერობით არ გაგვაჩნია, ბავშვები არ სწავლობენ მშობლიურ ენაზე წერა-კითხვას, ვერ სწავლობენ სახელმწიფო ენაზე წერა-კითხვას, რადგან მასწავლებელი ვერ უზრუნველყოფს ჯანსაღ სასწავლო გარემოს და საბაზისო საფეხურზე ვიღებთ უვიც თაობას, როგორც ქართველ, ისე არქართველთა დიდი რაოდენობით.

რეკომენდაცია: სასწავლო მასალის არქონის გამო არაქართულენოვან სკოლებში მე-12 კლასი თითქმის უფუნქციოა. ამ სიცარიელის შესავსებად კარგი იქნებოდა თუ აბიტურიენტები მე-12 კლასიდანვე დაიწყებენ უნივერსიტეტის ატმოსფეროში შესვლას. ანუ ქართულ ენაში მომზადება იმავე საუნივერსიტეტო პროგრამით დაიწყო, გაკვეთილები ატარებდეს ლექცია-სემინარის ხასიათს, დამატებით გაიარონ ტერმინოლოგიის კურსები, ასევე მოეწყობა შემეცნებითი ექსკურსიები უნივერსიტეტებში ან პროფესორების სკოლებში. აბიტურიენტებს თავიდანვე უნდა ჰქონდეთ თავიანთი მიზნები განსაზღვრული და ინფორმაცია მომავალი პროფესიის შესახებ.

მივმართოთ აზერბაიჯანის და სომხეთის სახელმწიფოებს, რომ ჩვენს სახელმწიფოსთან ამ მხრივ გააფორმონ ხელშეკრულება და გარკვეული შეთანხმების მერე შეიქმას ბიბლიოთეკები სკოლებში. მოხდეს უნივერსიტეტ დამთავრებულ ახალგაზრდა კადრების გაცვლა.

ჩამოყალიბდეს აზერბაიჯანულენოვანი და სომხურენოვანი მოდულის ჯგუფი, რომლებიც შეიმუშავებენ პროგრამებს და ჩატარებენ ტრენინგებს საგნებში.

ითარგმნოს მეთოდური ლიტერატურა და სასერტიფიკაციო ტესტები არქართველთა ენას, რათა პედაგოგებმა შეძლონ სერტიფიცირება, თან ეს უნდა გახდეს სვალადებულო. ჩატარდეს სისტემატური მონიტორინგი ყველა საგანში, მათშორის მშობლიური ენის კუთხით, რადგან პიროვნების ჩამოყალიბება ხდება მის ენაზე.

ქართულ სკოლებში სასწრაფოდ უნდა გადამზადდნენ დაწყებითის პედაგოგები ან მოხდეს მათი ჩანაცვლება სერტიფიცირებული, პროფესიონალი კადრებით.

შემდეგი საფეხური არის უმაღლესი განათლება

უმაღლესი განათლების სისტემა

უმაღლესი განათლების საფეხურები

საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემა შედგება სამი საფეხურისაგან:

- პირველი საფეხური - ბაკალავრიატი (240 კრედიტი)
- მეორე საფეხური - მაგისტრატურა (120 კრედიტი)
- მესამე საფეხური - დოქტორანტურა (180 კრედიტი)

პირველი საფეხურის ფარგლებში არსებობს დიპლომირებული სპეციალისტის პროგრამა (120-180 კრედიტი). ამასთან, სამედიცინო, სტომატოლოგიური და ავეტერინარიული განათლება (300-360 კრედიტი) არის ინტეგრირებული განათლება და თავისი სწავლის შედეგებით უთანაბრდება მაგისტრატურას.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახეები

საქართველოში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებია: კოლეჯი, სასწავლო უნივერსიტეტი და უნივერსიტეტი.

- კოლეჯი – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს პირველი საფეხურის, ბაკალავრიატის, საგანმანათლებლო პროგრამას და ასევე პირველი საფეხურის ფარგლებში არსებული კვალიფიკაციის, დიპლომირებული სპეციალისტის პროგრამას.

- სასწავლო უნივერსიტეტი – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამას (გარდა დოქტორანტურისა). სასწავლო უნივერსიტეტი აუცილებლად ახორციელებს მეორე საფეხურის – მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამას

- უნივერსიტეტი – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც უმაღლესი აკადემიური განათლების სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებს;

ხარისხის უზრუნველყოფა. უმაღლესი განათლების გარე ხარისხის უზრუნველყოფა ხორციელდება აკრედიტაციის გზით. აკრედიტაციას ახორციელებს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

სახელმწიფო აღიარებს მხოლოდ აკრედიტებული და ან მასთან გათანაბრებული უმაღლესი საგანმანათლებლო და წესებულების მიერ გაცემულ დიპლომს.

არაქართულენოვან სკოლებში სახელმწიფო ენის შესწავლის პრობლემაა და თავისთავად არაქართულენოვანი სკოლის დამთავრების შემდეგ აბიტურიენტი ვერ აბარებდა უმაღლეს საწავლებელში. ისინი მიდიოდნენ საზღვარგარეთ, კერძოდ აზერბაიჯანელები აზერბაიჯანში, სომხები კი სომხეთში. აბიტურიენტები იძულებლნი იყვნენ უმაღლესი განათლების მისაღებად გადასულიყვნენ სხვა სახელმწიფოში. თავიანთ ქვეყანაში თავის რეალიზების შანსი არჰქონდათ. ცხადია როცა სტუდენტი სხვაენაზე სხვა სახელმწიფოში სწავლობდა საქართველოში სამსახურს ვერ იშოვიდა, რადგან არიცოდა სახელმწიფო ენა, რჩებოდა იქ, სადაც ამთავრებდა უმაღლესს.

შემდგომ განათლების სამინისტრომ შეიმუშავა ახალი პროგრამა და ეს პროგრამა, რომელიც უკვე 4 (ოთხი) წელია არსებობს „1+4“-ია, რომელიც გათვალისწინებულია არაქართველი მოქალაქეებისთვის.

ამ პროგრამის მიხედვით სტუდენტები თავიანთ ენებზე აბარებენ ზოგად უნარებს ამით ხდებიან მოსამზადებელი კურსის სტუდენტები. ერთი წლის განმავლობაში სწავლობენ სახელმწიფო ენას. კრედიტების რაოდენობა არის 60. ერთი წლის მერე შიდაგამოცდებით სასურველი ფაკულტეტის სტუდენტები არიან.

აბიტურიენტები აბარებენ ერთ გამოცდას, ზოგად უნარებს, თავიანთ ენაზე, ამიტომ კონკურენცია არის მხოლოდ ეროვნულ უმცირესობებში.

მათ არ მოეთხოვებათ სახელმწიფო ენის ცოდნა.

ამ მიზეზების გამო მოსამზადებელი კურსის სტუდენტების უმრავლესობამ არ იცის სახელმწიფო ენა.

ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ მოსამზადებელ კურსზე ლექტორების უმრავლესობა არ ფლობს მეთოდიკას, როგორ ასწავლოს ქართული, როგორც მეორე ენა არაქართველ სტუდენტს. უნივერსიტეტები ცდილობენ მიიზიდონ სტუდენტთა დიდი რაოდენობა და ამიტომ კურსზე ძალიან ცოტა იჭრება შემაჯამებელ გამოცდებზე. შესაბამისად, როცა ფაკულტეტის სტუდენტი ხდებიან, ირიყებიან საერთო სივრციდან. მოსამზადებელი კურსის საუკეთესო სტუდენტიც კი იღებს ფსიქოლოგიურ სტრესს, როცა ხვდება ისეთ კონკურენტულ გარემოში, სადაც ეროვნული გამოცდებით ოთხ საგან ჩაბარებული თანატოლები არიან. ის ვერ უწევს კონკურენციას ქართულ სკოლა დამათავრებულ კურსელს და უკანა პლანზე იწევს, მიუხედავად მანამდე კარგი ნიშნებისა. მეორემხრივ, არსებობენ ისეთი სტუდენტებიც, რომლებსაც 6 (ექვსი) საგნებიდან 4-5 აქვთ ჩარჩენილი (ყველაზე სავალალო მდგომარეობა), რადგან მოსამზადებელზეც იყვნენ ენის არმცოდნენი და ერთწელიწადში ვერ დაძლიეს პროგრამა.

ერთერთი მოსაგვარებელი პრობლემა არის ის, რომ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების არ არსებობა. ქვეყანა, რომელიც ითვლება გარდამავალი განვითარების ქვეყანად, მას სჭირდება სწორედ ამ დარგის განვითარება, რომელიც ხელს შეუწყობს იდუნსტრიის განვითარებას.

რეკომენდაციები: პროგრამა 1+4-ში ზოგადუნარებთან ერთად, სასურველია, სტუდენტმა ჩააბაროს სახელმწიფო ენა მინიმალურ დონეზე მაინც. ფაკულტეტებზე მომუშავე კოლექტივს უნდა მიეწოდოს ინფორმაცია, რას ნიშნავს რამდენიმე ენოვან ჯგუფში პროფესიული მუშაობა. მოსამზადებელი კურსის ლექტორები აუცილებლად უნდა გადამამზადდნენ ამ მიმართულებით. რეგიონებში გაიხსნას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები.

ბიორგი ბაროშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი

წყალმცენარეებიდან ბიოდიზელის მიღება

ჩვენს საუკუნეში ტექნოლოგიური პროგრესი საგრძნობია. ადამიანი აქტიურად მოიხმარს ბუნებრივ რესურსებს და განუწყვეტლივ ვითარდება. შედეგად, ხშირად საფრთხე ექმნება ჩვენივე არსებობისთვის საჭირო ბიომრავალფეროვნებას. ტექნიკის გამონაბოლქვი დიდ ზიანს აყენებს პლანეტას. ამიტომ, საჭიროა, რომ გადავდგათ ქმედითი ნაბიჯები ბუნების დასაცავად, რაც ამ კონკრეტულ შემთხვევაში ნავთობ დიზელის ბიოდიზელით ჩანაცვლებას გულისხმობს.

ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის დასაწყისში რუდოლფ დიზელი ამბობდა, რომ მალე ბიოდიზელი ისეთივე მნიშვნელოვანი გახდებოდა, როგორც ნავთობ პროდუქტებიდან მიღებული საწვავი. ფაქტია, რომ მისი სიტყვები მართლდება. დღეს უფრო და უფრო აქტიურად მიდის მუშაობა ეკო-მეგობრული საწვავის განვითარებასა და ფართოდ დანერგვაზე.

ბიოდიზელის მიღება შესაძლებელია მრავალი მცენარიდან, მაგრამ აქ წყალმცენარეთა როლი ყველაზე დიდია. მაგალითად, თუ სოიოს ერთი ჰექტრის მოსავალი 118 გალონ ბიოდიზელს გვაძლევს, წყალმცენარის შემთხვევაში ეს ციფრი 26 417-ამდე იზრდება.

წყალმცენარეები საკმაოდ გავრცელებული ორგანიზმები არიან. ცნობილია მათი 17 000-ზე მეტი სახეობა და ასობით ფორმა. მიეკუთვნებიან პროტისტების სამეფოს, არა აქვთ დიფერენცირებული ფესვი, ღერო და ფოთოლი და ავტოტროფულად იკვებებიან. სიცოცხლის ევოლუციის სხვადასხვა ეტაპზე მათ დიდი როლი ითამაშეს ჯერ ატმოსფეროში ჟანგბადის დაგროვებაში და შემდეგ სიცოცხლის მიერ ხმელეთის ათვისებაში.

გარდაქმნის მარტივი გზა კი შემდეგნაირია: პირველ ეტაპზე ხდება წყალმცენარის ზრდა. გარკვეული პერიოდის შემდეგ კი ამ წყალმცენარეს საკვები უწყდება და ხდება მისიდან ცხიმების გამოყოფა. ბოლო ეტაპზე ეს გამოყოფილი ცხიმები გარდაიქმნება სატრანსპორტო საწვავად.

ბიოდიზელი ნავთობდიზელთან შედარებით არის ბევრად ეკოლოგიური, ამიტომაც მას “ეკო-მეგობრულ” საწვავს ეძახიან (eko-friendly). მისი კიდევ ერთი უპირატესობა ისაა რომ მუდმივად განახლებადია და არ არის ამოწურვადი. მსოფლიოს აქვს საინტერესო გამოცდილება ნავთობდიზელის ბიოდიზელით ჩანაცვლებასთან დაკავშირებით. მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ ცენტრალური და ჩრდილოეთ ევროპა. 1994 წელს ავსტრიის ქალაქ გრაცში „ეკო-მოდრაობა“ დაიწყო. მოსახლეობა გამოყენებულ სამზარეულოს ზეთს აბარებდა ბიოდიზელის ქარხნებში, სადაც მისგან ბიოდიზელს იღებდნენ. ეს ყველაფერი კი იქამდე მივიდა, რომ მალე მუნიციპალური ტრანსპორტი ბიოდიზელის მოხმარებაზე გადავიდა. დღეს ამ ქალაქის ჰაერი ისეთივე სუფთაა, როგორც ავსტრიის ნებისმიერი კურორტის ჰაერი. ავსტრია ერთადერთი ქვეყანა არ არის სადაც მსგავსი პროექტი განორციელდა. მაგალითად სტოკჰოლმში 2011 წელს ავტობუსების 60% ბიოდიზელს მოიხმარდა.

საერთო პროცესებს არც საქართველო ჩამორჩა. თბილისში 2010 წლის 20 მაისს ისტორიული მოვლენა მოხდა, ოღონდ ამ მოვლენამ უჩუმრად ჩაიარა და პრაქტიკულად მხოლოდ მეცნიერთა ვიწრო წრისთვის გახდა ცნობილი. ამ დღეს პირველად თბილისის ქუჩებში გამოჩნდა ავტომობილი, რომელიც ჩვეულებ-

რივი ნავთობპროდუქტის ნაცვლად, ბიოდიზელზე მუშაობდა. მანქანამ ქალაქში ჩვეულებრივ იმობრავა და დაახლოებით 200 კმ გაიარა. ილიას უნივერსიტეტის მეცნიერების ამოცანა იყო არა მარტო ბიოდიზელის წარმოების ტექნოლოგიური მხარის დამუშავება, არამედ საქართველოში ბიოდიზელის მასშტაბური წარმოების სრული ციკლის მოდელირება და როგორც ტექნოლოგიური, ისე აგროეკონომიკური პარამეტრების გამოთვლა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. სტატია: forbes.ge (ირაკლი ფანცულაია „ ბიოდიზელი: მომავლის საწვავი“ 2013. 25.04)
2. წიგნი: „ბიომრავალფეროვნება და კონსერვაცია“-არნოლდ გეგეჰკორი, მაკა მურვანიძე, შამილ შეთეკაური. გვ 77. 2011. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
3. საიტი:<https://biowesleyan.wordpress.com/algae-a-third-generation-biofuel>

ნათელა ზადგენიძე

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი
ხელმძღვანელი: პროფესორი რომან ხარბედა*

სადაზღვევო ბიზნესი საქართველოში

თანამედროვე ბიზნესს ფუნქციონირება მეტად რთულ და მოულოდნელობებით აღსავსე გარემოში უწევს. მისი წარმატება, რომელიც დიდწილად განსაზღვრავს საზოგადოების კეთილდღეობის საფუძველს, ემყარება ყოველმხრივ აწონ-დაწონილ და რისკების შეფასებაზე დამყარებულ გადაწყვეტილებას. აქედან გამომდინარე, თანამედროვე ბიზნესში განსაკუთრებულ როლს დაზღვევა თამაშობს. სადაზღვევო ბაზრის განვითარება ქმნის იმ აუცილებელ და ნოყიერ ნიადაგს, რომელიც იცავს ბიზნესს არასასურველი და ჰმოულოდნელი რისკებისგან. სადაზღვევო ბიზნესი მეტად სარისკო ბიზნესია, მზღვეველი კი - რისკებით მოვაჭრე ბიზნესმენი.

დაზღვევა არის ურთიერთობა, რომელიც ყალიბდება ფიზიკური და იურიდიული პირების პირადი ქონებრივი ინტერესების დაცვის პროცესში. მათსადაამე, დაზღვევა რისკ-მენეჯმენტის ფორმაა, რომელიც შეიძლება განმარტებულ იქნას, როგორც მცირე გარანტირებული დანაკარგი, შესაძლო დიდი დანაკარგის თავიდან ასაცილებლად.

როცა ვამბობთ, რომ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით წარმოიშვა სადაზღვევო ბიზნესი, უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ბიზნესმა დიდი გზა განვლო. დაზღვევის წარმოშობა უკავშირდება საზოგადოების განვითარების საწყის ეტაპებს, რადგანაც რისკების გადანაწილების პრაქტიკის უძველესი მეთოდები გამოყენებულ იქნა ჩინელი და ბაბილონელი მოვაჭრეების მიერ ჯერ კიდევ ძვ.წ. მე-3 - მე-2 საუკუნეებში.

საქართველოს სადაზღვევო ბიზნესის წარმოშობა 90-იანი წლების რეფორმებმა განაპირობა. 90-იანი წლების დასაწყისში საქართველოში დაწყებული ეკონომიკური და სოციალური რეფორმების ოგანულ ნაწილსა და გაგრძელებას წარმოადგენდა ქვეყანაში ცივილიზებულ პრინციპებზე დაფუძნებული სადაზღვევო სისტემის ჩამოყალიბებისა და შემდგომი განვითარების პროცესი. უნდა აღინიშნოს, რომ საწყის ეტაპზე დროის მოკლე პერიოდში შეიქმნა დაზღვევის მარეგულირებელი აუცილებელი პირველადი საკანონმდებლო ბაზა, რომლის არსებობის გარეშე შეუძლებელია თანამედროვე სტანდარტებთან მიახლოებული სადაზღვევო ინფრასტრუქტურის ფორმირება და ფუნქციონირება.

საქართველოს სადაზღვევო ბაზარმა განვითარების ორი ეტაპი განვლო. პირველი ეტაპისთვის (1988-1996 წწ.) ძირითადად დამახასიათებელი იყო მომგებიანი მომსახურების ექსტენსიური განვითარება. აღნიშნულ ეტაპზე სადაზღვევო კომპანიების ძირითადი აქცენტი გადატანილ იქნა მსხვილი კლიენტების მეშვეობით ე.წ. „მუქთი ფულის“ მოზიდვაზე. სადაზღვევო ბაზრის განვითარების მეორე ეტაპისთვის (1997 წლიდან დღემდე) დამახასიათებელია სადაზღვევო სისტემის შექმნა. მზღვეველების კომერციული ძალისხმევა უპირველეს ყოვლისა, მიმართულია პროდუქციის გასაღების გაფართოების, რეკლამის, საზოგადოებასთან კავშირების გაძლიერების, პროდუქტის გასაყიდი ქსელის განვითარებისა და მისი სტიმულირებისკენ.

სადაზღვევო ბაზრის სრულყოფისათვის აუცილებელია სადაზღვევო ზედამხედველობის განხორციელება.

საქართველოში 2009 წლის 1 დეკემბრიდან სადაზღვევო ბაზარზე ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს ეროვნული ბანკი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული

კანონის, „დაზღვევის შესახებ“ და „არასახელმწიფო საპენსიო დაზღვევისა და უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონების საფუძველზე. სადაზღვევო ბაზრის რეგულირების კუთხით საქართველოს ეროვნული ბანკის მიზანია სადაზღვევო ბაზრის განვითარების ხელშეწყობა კონკურენტუნარიანობისა და სამართლიანობის პრინციპებზე დაყრდნობით, სადაზღვევო საქმიანობის გამჭვირვალობისა და საიმედოობის უზრუნველყოფა, სადაზღვევო კომპანიების გადახდისუნარიანობის კონტროლი. ასევე, საქართველოს ბანკის მიზანია დაიცვას მზღვეველთა, დამზღვევთა და დაზღვეულთა ინტერესები, რაც ერთობ მნიშვნელოვანია.

სადაზღვევო ზედამხედველობის მიზნების ეფექტურად განხორციელებისა და საერთაშორისო პრაქტიკის დანერგვის კუთხით, საქართველოს ეროვნული ბანკი გაწვევრიანებულია დაზღვევის ზედამხედველთა საერთაშორისო ასოციაციაში, აქტიურად მონაწილეობს საერთაშორისო კონფერენციებში, სემინარებსა და ტრენინგებში.

საკანონმდებლო და სარეგულაციო სისტემის მოწესრიგება მიმზიდველ გარემოს ქმნის სადაზღვევო კომპანიებისთვის, რომლებიც აქტიურად ერთვებიან ყველა იმ სერვისისა და მომსახურების შეთავაზებაში, რაც დამახასიათებელია სადაზღვევო ბაზრისთვის. საქართველოს წამყვანი სადაზღვევო კომპანიები თავის მომხმარებლებს სთავაზობს დაზღვევის 15-მდე პროდუქტს. საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე 1990 წლიდან ნელ-ნელა ჩნდება სხვადასხვა სადაზღვევო კომპანიები. საქართველოში უმსხვილესი სადაზღვევო კომპანია არის „ალდაგი ბისიი“. ის ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი კომპანიაა, რომლის აქციების 100%-ის მფლობელი არის საქართველოს ბანკი, მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ „ალდაგი ბისიი“ 80-მდე ტიპის დაზღვევას სთავაზობს, როგორც ინდივიდუალურ, ასევე კორპორატიულ მომხმარებლებს. „ალდაგი ბისიი“ პირველი სადაზღვევო კომპანია იყო ბაზარზე, რომელმაც დაიწყო ინდივიდუალური სადაზღვევო პროდუქტების გაყიდვა.

კომპანია დაზღვეულებს სთავაზობს შემდეგი ტიპის ინოვაციურ მომსახურებებს: „ჩემი ოჯახის კლინიკის ქსელი“, მასტიმულირებელი აქციები: ყველა ვინც კუთვნილი ავტომობილისთვის შეიძენს ავტოდაზღვევის სრულ პაკეტს ვისოლის ყოველ 1ლიტრ საწვავზე მიიღებს 7 თეთრ ფასდაკლებას (ვისოლის და ალდაგი ბისიის ერთობლივი აქცია), იურიდიული მომსახურების დაზღვევისას დაზღვეულს შეუძლია ისარგებლოს უფასო იურიდიული მომსახურებით (კონსულტანტი, ოჯახის ადვოკატი).

2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ. ახალმა მმართველმა გუნდმა არსებული სახელმწიფო დაზღვევის მოდელი გრძელვადიან პერსპექტივაში არაეფექტიანად ჩათვალა და ახალი, ფართომასშტაბიანი რეფორმის მომზადებას შეუდგა. 2013 წლის თებერვლიდან „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ სახით დაიწყო. უნივერსალურ ჯანდაცვის სისტემაზე გადასვლის პროცესი, რომლის ფარგლებშიც, ამავე წლის ივლისიდან განხორციელდა, საქართველოს ყველა იმ მოქალაქის მინიმალური პაკეტით დაზღვევა, რომელიც მანამდე არ იყო დაზღვეული. ახალ პროგრამას სახელმწიფო, სადაზღვევო კომპანიების ჩარევის გარეშე, სოციალური მომსახურების სააგენტოს საშუალებით ახორციელებს. შედეგად, დღეის მდგომარეობით, საქართველოს თითოეული მოქალაქე სხვადასხვა ტიპის სადაზღვევო პაკეტით არის აღჭურვილი, ხოლო არსებული მდგომარეობის განსაკუთრებული იხაა, რომ სახელმწიფო პროგრამების მართვა ერთდროულად სხვადასხვა კერძო და სახელმწიფო ინსტიტუტის მხრიდან ხორციელდება.

ყველაფერი ზემოთ აღნიშნული ქვეყნის სახელისუფლებო შტოების მიერ სამართლებრივად არის უზრუნველყოფილი, რაც გულისხმობს შესაბამისი საკანონმდებლობაზის შექმნას. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ძალიან ბევრი პრობლემა იჩენს თავს. ცხადია, რომ ქვეყანაში, სადაც 70 წლის განმავლობაში დაზღვევის მექანიზმი თითქმის არ ასრულებდა თავის ფუნქციას, არ არსებობდა სადაზღვევო ტარიფის აგების მეთოდოლოგია, ვერ იქნება სათანადოდ განვითარებული, მაგრამ დღეს, როდესაც, როგორც სოციალურ, ისე ეკონომიკურ სფეროში მომატებულია რისკები, მისგან დასაცავად აუცილებელია

ქვეყანაში ფუნქციონირებდეს სრულყოფილი სადაზღვევო ბაზარი, რომელიც თავის მხრივ ხელს შეუწყობს:

1. რეალური ეკონომიკის განვითარებას; მოსახლეობის დანაზოგების დაცვას ეკონომიკური და სხვა სახის რისკებისგან; მოსახლეობის დანაზოგების დაბანდებას გრძელვადიან სიცოცხლის დაზღვევაში და მათ ინვესტირებას ეკონომიკის პროგრესულ დარგებში.

2. მოსახლეობისადმი მრავალი სახის დაზღვევის მიწოდებას.

საქართველოს სადაზღვევო ბაზრის შესწავლა იმ პრობლემების დანახვის საშუალებას იძლევა, რომლებიც აფერხებს ბაზრის განვითარებას კერძოდ, მოსახლეობის დაბალშემოსავლიანობა, რას საშუალებას არ აძლევთ მათ დაზოგონ თანხა დაზღვევის ტარიფის გადასახდელად; სადაზღვევო კომპანიის მიერ დაწესებული მაღალი სატარიფო განაკვეთი, რომლის შემცირება რისკების მაღალი ხარისხის გამო შეუძლებელია; მოსახლეობის უნდობლობა გრძელვადიან სიცოცხლის და საპენსიო დაზღვევისადმი, ქვეყანაში სწრაფად ცვლებადი პოლიტიკური და ეკონომიკური რისკები - სახელმწიფოს მხრიდან ხელშემწყობი ღონისძიებები არ უნდა აისახოს დაბალფასიანი შეკვეთების მიცემაში, რაც კომპანიებს ასუსტებს და არასაიმედოს ხდის დადგენილი სადაზღვევო ტარიფის გადამხდელი კლიენტების მომსახურებას. სათანადო ღონისძიებები უნდა გატარდეს ბაზარზე მონოპოლიური მდგომარეობის აღმოფხვრის მიმართულებით, რათა გაიზარდოს კომპანიების რაოდენობა და მოხდეს სადაზღვევო ტარიფის ოპტიმიზაცია.

სადაზღვევო ბაზრის განვითარებაში არსებული პრობლემების აღმოფხვრა შესაძლებელია სახელმწიფოსა და სადაზღვევო კომპანიების კოორდინაციით საკანონმდებლო აქტების შემუშავებაში, კადრების მომზადება-გადამზადებაში, ბაზრის მონოპოლიისგან დაცვაში, კომპანიების მოზიდული საშუალებების ინვესტირებისათვის აუცილებელია საფონდო ბაზრის განვითარება, რაც მათ საშუალებას მისცემს გაზარდონ კაპიტალი და აღებული პასუხისმგებლობა შეასრულონ მაქსიმალურად.

სადაზღვევო კომპანიების რაოდენობა და მათი მდგრადობა განსაზღვრავს ბაზარზე კონკურენციის დონეს. ბუნებრივია, როცა ბაზარზე მოქმედებს ბევრი სადაზღვევო კომპანია, კონკურენციისდონე მაღალია. კონკურენციის საზომი არის კლიენტებზე მიწოდებული სადაზღვევო პროდუქტი. როდესაც ყოველი კომპანია მომხმარებელს სთავაზობს მომსახურების მხოლოდ საკუთარ განსხვავებულ პაკეტს, კონკურენცია ბაზარზე დაბალია, და პირიქით, როცა ერთნაირი მომსახურების პაკეტის მიწოდება ხდება, კონკურენცია მაღალია. ეს, რა თქმა უნდა, არის უკიდურესი შემთხვევები. პრაქტიკულად საქართველოს სადაზღვევო კომპანიები მნიშვნელოვნად არ განსხვავდებიან ერთმანეთისგან სადაზღვევო მომსახურების პაკეტით და აქედან გამომდინარე, კონკურენციაც უნდა იყოს მაღალი.

სადაზღვევო პროდუქტის გავრცელება შესაძლებელია ძირითადად ორი გზით: 1) კლიენტების ადგილზე მომსახურება; 2) საბროკერო მომსახურება. პირველი გზა კომპანიისგან მოითხოვს შესაბამისი ინფრასტრუქტურის არსებობას, საოფისე და მენეჯერის მომსახურების ხარჯების გაწევას, ამ შემთხვევაში გარიგების დადების ალბათობა მაქსიმალურია, რადგან კლიენტი თავისი სურვილით მიდის კომპანიაში. მეორე შემთხვევაში, საბროკერო მომსახურება გულისხმობს ბაზრის კარგად მცოდნე, გამოცდილი შუამავლის მიერ კორპორატიული კლიენტებისათვის ადგილზე სადაზღვევო პროდუქტების შეთავაზებას და გარიგების დადებას. ეს უკანასკნელი ყველაზე მისაღები გზაა სადაზღვევო პროდუქტების გასაღებისათვის, მაგრამ მაღალკვალიფიციური კადრების არარსებობის გამო ეს მეთოდი ჯერ სათანადოდ არ არის განვითარებული.

თანამედროვე პირობებში განვითარებულ ქვეყნებში ფართოდაა გავრცელებული სადაზღვევო პროდუქტების რეალიზაციაში ინტერნეტის გამოყენება, თუმცა საქართველოში ეს სიახლე სრულყოფილად ვერ დაინერგა და სადაზღვევო პროდუქტების გაყიდვის ყველაზე მისაღები გზა კლიენტთან პირდაპირი მოლაპარაკების მეთოდია პერსპექტივაში, როცა სადაზღვევო კომპანიები დაიმკვიდრებენ ფინანსურად

ძლიერი კომპანიების სახელს, ამდღება მოსახლეობის სადაზღვევო კულტურა, გაძლიერდება სახელმწიფოს მხრიდან კონტროლი კომპანიების მიერ აღებული ვალდებულებების შესრულებაზე, მისაღები გახდება ინტერნეტის გამოყენება დაზღვევაში, რაც საგრძნობლად შეამცირებს კომპანიების აკვიზიციურ ხარჯებს.

ყველა წარმოქმნილი სერიოზული პრობლემის დაძლევიტ საშუალოვადიან პერსპექტივაში საქართველოს სადაზღვევო ბაზარს შეუძლია მოზიდული პრემიების სახით 1 მილიარდ ლარიანი ზღვრის მიღწევა. ამ შესაძლებლობის გამოყენება დამოკიდებულია ქვეყნის ეკონომიკაზე, სოციალურ მდგომარეობაზე, ე.წ. სადაზღვევო კულტურაზე და სადაზღვევო კომპანიათა სიძლიერეზე.

აქვე დავძენ, რომ სადაზღვევო ბაზრის განვითარებას მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ეკონომიკის შემდგომი აღმავლობა და მოსახლეობის შემოსავლების ზრდა (სოციალური ფონის გაუმჯობესება), რაც მოზიდული პრემიების ზრდის და შესაბამისად, მეტი სადაზღვევო პროდუქტის დანერგვის საფუძველი გახდება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბიზნესის საფუძვლები. უშანგი სამადაშვილი. თბ. 2013.
2. რისკები და დაზღვევა. ნანა ბენიძე, ნანა შონია, ჯამბულ ბიწაძე. თბ. 2010.
3. სტატია - „სადაზღვევო მომსახურების ეკონომიკურ-სტატისტიკური ანალიზი საქართველოში“. მათა გორგობიანი, აბესალომ გაბრიჭიძე.
4. „საქართველოში ჯანდაცვის 2006-2013 წლების რეფორმის ფინანსური გავლენის პროგნოზი კერძო სადაზღვევო კომპანიებზე - „აღდაგი ბისიას“ შემთხვევა“. ავტ: გორგი ხიშტოვანი.
5. წერილი: „საქართველო, დაზღვევა 2013“. ავტ: გორგი გიგოლაშვილი.
6. „აღდაგი ბისიაი ოფიციალური ვებგვერდი. გამოყენებული ბმული: aldagibci.ge
7. ბლოგი: <https://daezgvie.wordpress.com>

ნა დოლიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი, დოქტორანტურა
ხელმძღვანელი: პროფესორი თამარ პაიჭაძე

სიზმრის მხატვრული ფუნქცია მხატვრულ ტექსტში

სიზმრის მხატვრული ფუნქცია მხატვრულ ტექსტში მრავალგვარია, პერსონაჟის სულიერი მდგომარეობის წარმოჩენიდან დაწყებული, დასრულებული - მისი (პერსონაჟის) წინასწარმეტყველებითი უნარით, მაგრამ ყველა შემთხვევაში სიზმარი მაპროვოცირებელია ნარატივის განვითარების. სიზმარი განსაკუთრებით საინტერესოა რომანის მხატვრულ სტრუქტურაში, რადგან ამ შემთხვევაში მას იდეის წარმოჩენის მთავარი ფუნქცია არ აკისრია და ხელს უწყობს მწერლის ცალკეულ სათქმელთა რეალიზებას. ამ თვალსაზრისით შევისწავლეთ კონსტანტინე გამსახურდიას რომანები და მივედით ერთ მნიშვნელოვან დასკვნამდე - სიზმარი არა მხოლოდ თავსდება მწერლის მიერ გამოყენებულ მხატვრულ მეთოდში, არამედ ხელს უწყობს ამ მეთოდის „გამოყენებას“, წარმოჩენას; ანუ, თუ სიზმარი რეალისტური მხატვრული მეთოდის პროდუქტია, მან ხელი უნდა შეუწყოს ნაწარმოებში რეალური ცხოვრების ასახვის პერსპექტივას (მასში უნდა დავინახოთ ნარატივის ის გაგრძელება, რომელის გადმოცემასაც მწერალი ნაწარმოების დასაწყისიდანვე ცდილობს), ხოლო, თუ სიზმარი არარეალისტური მხატვრული მეთოდის პროდუქტია, ის ხელს უწყობს რეალურად არარსებული სამყაროს წარმოჩენას, რითაც თავად განაპირობებს ასახვის არარეალისტრობას. კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებამ საშუალება მოგვცა, წარმოვაჩინოთ როგორც სიზმრის ფსიქოსემანტიკური ანალიზი, ასევე დავაკვირდეთ მას, როგორც მხატვრულ ხერხს, რომელიც მწერლის მხატვრული მეთოდის განმსაზღვრელადაც გვევლინება.

მწერლის შემოქმედებიდან ავარჩიეთ ოთხი რომანი: „დიონისოს ღიმილი“ (1924-1925) - საქართველოში ერთ-ერთი პირველი მოდერნისტული რომანი, „მთვარის მოტაცება“ (1936), რომელშიაც შერწყმულია რეალისტური და მოდერნისტული ხელოვნების შემოქმედებითი თავისებურებანი, „ვაზის ყვავილობა“ (1951-1955) - სოციალისტური რეალიზმის ამსახველი საუკეთესო ნიმუში და „დიდოსტატის მარჯვენა“ (1938-1939) - ისტორიული რომანი.

„დიონისოს ღიმილის“ ფორმა - 13 ქება და 52 ნოველა - უკვე თავისთავად მიუთითებს არარეალისტურ მეთოდზე; ის მოითხოვს რიტმულობას პროზაში. ამიტომაც აღნიშნავს ავტორი, რომ „დიონისოს ღიმილი“ მრავალი წლის ფორმალურ ძიებათა მიღწევათა ნაყოფია“ (გამსახურდია 1961: 952). ამ რიტმულობის დანახვა და თხრობის მუსიკალურობის აღქმა უბრალო მკითხველისთვისაც მისაწვდომია. ამავე დროს თვალში საცემია საგნებისა და მოვლენების მიღმა ამოსაკითხი აზრი; სიზმარი, როგორც მწერლის მიერ გამოყენებული მხატვრული ხერხი, ამჟღავნებს მიღმური საყაროსაკენ ლტოლვას და წარმოაჩენს მწერლისა თუ პერსონაჟის დახვეწილ ესთეტიზმს, ხელს უწყობს, როგორც მწერლის იდეალისტური ფილოსოფიის წარმოჩენას, ასევე იდუმალი აზრის მოწოდებას, რომლის ამოცნობაც უნდა მოხდეს, ანუ ის ნარატივის მაპროვოცირებელი საშუალებაა.

ნაწარმოებში პირველ რიგში თვალშისაცემია მწერლის ლინგვისტური ძიებანი, რომელთაც ის მუდმივად მიმართავს შემოქმედებითი პროცესის დროს, მაგრამ ჩვენთვის საინტერესოა ის სიტყვათქმნადობა, რომელიც სიზმრის სემანტიკურ აღქმას უკავშირდება. კონსტანტინე გამსახურდია ხშირად იყენებს სიზმარს, როგორც ლექსიკურ ერთეულს, სიტყვას, რომელსაც სხვადასხვაგვარი მხატვრული დატვირთვა ენიჭება. მაგალითად, ნაწარმოების დასაწყისში, „პრელუდიაში“, რომანის წერის დაწყება და „თეთრფთიანი ცეპელინის ფრიჰდრიჰს-ჰაფენიდან ნიუორკში გადაფრენა“ ერთმანეთს უკავშირდება და სიზმრის ახდენით აიხსნება:

„ამგვარად, სიზმარი აუხდა წითელ კანიან მონადირეს, სამი ათასი წლის წინად რომ ეზმანა აღმოსავლეთიდან მომფრინავი თეთრი კაცი“ (გამსახურდია 1961: 625).

სიზმარი წარმოადგენს ნიშანს, რომელიც უნდა ახდეს. ახდენილი სიზმარი ახალი ეპოქის დასაწყისია, რომელსაც პოეტი „ფრთიანი სიტყვით“ ეხმაურება. ამრიგად, სიზმარი რამდენიმე მოვლენის დამაკავშირებელი ხდება და დაკავშირების ჯაჭვის ბოლო - ახალ ეპოქასთან გამოხმინება ქებით - რიტმული პროზითაა წარმოდგენილი. ახალი ფორმა გადახვევაა ტექსტის რეალისტური მდინარებიდან. არარეალისტური მეთოდი შინაარსობლივად იკვეთება: საგნებსა და მოვლენებში ჩადებულია იდუმალი აზრი, რომლის ამოცნობაც სუბიექტური ხედვით უნდა მოხდეს, რაც სიმბოლიზმის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია.

სიზმარი, როგორც განსაკუთრებული სახის მოვლენა, და აგრეთვე მისი თვისებები, საშუალებას აძლევს მწერალს, გამოხატოს თავისი მსოფლმხედველობითი შეხედულებები და პოეტური ფანტაზიები: აქციოს სიზმარი შედარების ობიექტადაც („მე გადავიკარგე სხვის ქვეყანაში, როგორც სიზმარს გადაყოლილი ლანდი“ (გამსახურდია 1961 : 904) და შეარჩიოს იმავე შინაარსობრივი დატვირთვის ეპითეტებიც - „ვწყველი იმ დღეს, როცა სიზმარს გადაყოლილმა ჭაბუკურმა ოცნებამ მე უცხოეთში გადამიტყუა“ (გამსახურდია 1961 : 927). მწერალი „მტკნარს“ უწოდებს სიზმარს, როცა მასთან ცხოვრების გარდასული ეტაპების ანუ წარსულის შედარებას ახდენს. „მტკნარი სიზმარი“ მოვლენათა გაბუნდოვანების მანიშნებელია; „მტკნარი“ სულხან-საბას განმარტებით შესქელებულს ნიშნავს, ანუ ისეთს, რომლის დანახვა და აღქმა ძნელია:

„მე გულდამშვიდებული ვუცქერი ჩემს წარსულს. თვალს რომ დავხუჭავ, იგი კინემატოგრაფიულ კადრებს უფრო წაგავს. ცხოვრებაში ხომ ყველაფერი წამიერი ხილვაა, სხვა დანარჩენი: მოგონებაა და სიზმარი მტკნარი“ (გამსახურდია 1961: 657).

ეს წარსულის მოგონება და სიზმარი ძალიან ბევრს ნიშნავს პერსონაჟისთვის. ის ამ მოგონებით ცოცხლობს და მომავლის იმედსაც მასში ხედავს. მისი მოგონება ყოველთვის წარმართ მორდუს უკავშირდება, სამყაროს, სადაც „ყველაფერს იდუმალი, გრძნეულების ძალა და მნიშვნელობა ჰქონდა მირწყული“ (გამსახურდია 1961: 660). ჭეშმარიტების მიუწვდომლობა და სამყაროს იდუმალების ინტუიციური აღქმაც სიმბოლიზმის ერთ-ერთი ნიშანია. ამ სამყაროს შვილად რჩება ევროპაში განათლებამიღებული, „ყველაფრის მცოდნე“ სავარსამიძე. როცა ღრუბლებს უყურებს, რას არ ამსგავსებს მათ. ჩამონათვალში ქალწულის უცოდველი სულიცაა ნახსენები, „აღს რომ გადაჰყვება სიზმარეთში განთიადისას“ (გამსახურდია 1961: 661). ამ წარმართულ, არარეალისტურ სამყაროში ცხოვრობს ალი, რომელშიაც ადამიანის სული მხოლოდ სიზმრით შეიძლება მოხვდეს და ამიტომაც იმ არარეალურ ქვეყანას სიზმარეთი ჰქვია. ეს წარმოდგენა სიზმარეთისა, როგორც სამყაროს ნაწილისა, სადაც სულთა საუფლოა, წარმართული რწმენა-წარმოდგენებიდან მოდის და რომანის მიმდინარეობისას ხშირად წარმოჩნდება, როგორც ამ სამყაროს მხატვრული განსახოვნების ხერხი.

სიზმარეთი მხოლოდ მხატვრულ წარმოდგენაში არსებობს; ზოგადად კი სიზმარი, მთავარი პერსონაჟის თვალთახედვით, სულის თავისუფლებაა, რაც საფუძველია წარმოსახვის თავისუფლებისაც. რომანის ერთ-ერთ თავში - „თეთრი ტყეები“ სწორედ ამგვარ თავისუფლებაზეა საუბარი. ბერლინთან ახლოს მდებარე სოფელ კორინხენში, მეგობრის, იოჰანესის პატარა ქოხში ნებიერად წევს კონსტანტინე სავარსამიძე და თვლემს. თავის მდგომარეობას ამ პროცესში, თვლემის დროს, მთხრობელი შემდეგნაირად აღწერს: „ჩემი სული გაეპარა თითქოს ჩემს სხეულს“ (გამსახურდია 1961 : 857). სხეულს დამორებული სული იმ ქვეყნისაკენ მიდის, სადაც მას ყოფნა უხარია, ეს ქვეყანა მისი სამშობლოა: „მიგჰყვები სიზმარს იმ ქვეყნისაკენ, სადაც შუა ზამთარში ნარინჯები ჰყვავიან მზვარეში, სად არც თოვლია, აღარც თეთრი, ვერცხლის ტყეები, ცაზე ვარსკვლევებს ჯავრისაგან არ ეძინებათ, სადღაც სოფელში ქალი ზის მარტოკა ქართული ოდის რიკულებიან აივანზე; ვინ იცის, ეგებ დაღვრემილი მელოდეს, თუ როდის მივალ და

ვეტყვი: „მიყვარხარ, თინა“ (იქვე). ამგვარი სიზმარი, რომელსაც **სიზმარ-მონატრებას** დავარქმევთ, ხშირად მეორდება რომანში.

შესაძლებელია სიზმრის ტექსტი არც კი გამოიყენოს ავტორმა, ისე შექმნას სიზმარ-მონატრების ასოციაცია, რაც კვლავ არაა დამახასიათებელი რეალისტური ტექსტისთვის. საოცარ კონტრასტს ქმნის მწერალი „მსოფლიო ქალაქის“ - ბერლინის ცენტრალურ ქუჩაზე - უნტერ დენ ლინდენზე - ავტომობილების ქარავანში გამოფარფატებული ლიმონისფერი პეპელის სახით. და ეს პეპელა მას ბავშვობის ტკბილ სიზმრებს უღვიძებს, **„განსაზღვრულად საყვარელსა და შორეულს“** (გამსახურდია 1961: 866). მწერალი გვთავაზობს ასოციაციას, რომელსაც სიზმრის სახე აქვს და მიანიშნებს არა მომავალზე, არამედ წარსულზე, ბავშვობაზე, სულის სიწმინდეზე, რომელიც ყოველთვის მატერიალურზე წინ დგას თუნდაც სულიერად დაცემული პერსონაჟისთვის.

მწერლის ლინგვისტური ძიებებიდან მომდინარეობს აზრი, რომ **„ადამიანური ლექსიკონი ძალიან ღარიბია. ძილსა და სიცხადეს, სიკვდილსა და სიცოცხლეს, ზნელსა და ნათელს შორის კიდევ არის რაღაც მესამე“** (გამსახურდია 1961 : 868) და მას შემოაქვს ახალი სიტყვა - ორძილი, რომლითაც სწორედ მდგომარეობას - ცხადის სიზმარში, რეალურის ირეალურში გადასვლის მომენტს გამოხატავს. **„ბუდეგამოფუკული კრახანებივით ირევიან ჩემი ფიქრები, ორძილში ვბორგავ დღისით და ღამით. გაცოფდა ჩემი ფამტაზია და აღარ ვიცი, რაც გუშინ მოხდა, ცხადია თუ სიზმარი?“** (გამსახურდია 1961 : 937) - ფიქრობს კონსტანტინე სავარსამიძე და მძიმე სულიერ მდგომარეობაში მყოფს ვერ გაურჩევია სინამდვილე სიზმრისგან.

პირველი სიზმარი, რომელიც რომანში გვხვდება, ბაბუის დასაფლავებაზე მოსული მღვდლის გარეგნულ ნიშნებს უკავშირდება: მის ჩაცმულობას, გარეგნობასა და რელიგიურ საგნებს: **„მღვდლის ბრჭყვიალა ყვითელი ფილონის დანახვაზე ოდნავ გავყურდი: მომეწონა, რომ თეთრწვერიანი, სათნო სახის მოხუცი მაინც არა სტიროდა, ხელში დიდი საცეცხლური ეჭირა და ამ საცეცხლურმა ბაბუას მიმინოების ევენების ჟღარუნე მომაგონა“** (გამსახურდია 1961: 664). ბუნებრივია, რომ ბავშვის გარემოსათვის უჩვეულოს ხილვა მოქმედებს მის ფანტაზიაზე და სიზმარშიც იჩენს თავს: **„იმ ღამეს მესიზმრა: დიდი ვიყავი. თეთრ ღრუბლებზე ფეხი მედგა, ბრწყინვალე ფილონი მეცვა, ხელში ოქროს საცეცხლური მეჭირა და მთელ ქვეყანას სურნელოვან ალოეს ვაკმევდი“** (იქვე). ეს არ არის არარეალისტური სიზმარი (თუმცა სიზმარი თავისი არსით ყოველთვის არარეალისტურია), რადგან ხელს უწყობს რეალური ცხოვრების აღქმას. ეს ბავშვის ფანტაზიის სიზმრისეული ხატებაა, რომელიც შეიძლება ნებისმიერ ბავშვს, აღწერილ სიტუაციაში მყოფს, დაესიზმროს. ესაა ფროიდისეული წინა დღის სიტუაციის გავლენა ბავშვის არაცნობიერზე, ეს არის **სიტუაციური სიზმარი**.

ბავშვის მეორე სიზმარშიც სუჯუნას წმინდა გიორგის დღეობაზე მიღებული შთაბეჭდილებაა ასახული, ის, რაც რეალობაშიც საშინელ სიზმარს წააგავს: **„დასაკლავი ბატკნების ბღავილი, გამოსალოცად მოყვანილი ბავშვების ღნავილი. გალავნის გარშემო დაბმული ცხენების ჭიხვინი, ურიცხვი მლოცველების ტაშფანდურა. ყველაფერი ეს კომმარული სიზმრის შთაბეჭდილებას ჰქმნიდა“** (გამსახურდია 1961: 666). ბავშვს უკვირს, რაში სჭირდება წმინდა გიორგის ამდენი ხალხის წვალევა და ამდენი ბატკნის დაკვლა. დღეობიდან დაბრუნებული სიცხიანი სავარსამიძე სიზმარ-ცხადად ხედავს, როგორ იძირება საგნები ბურუსიან, რძისფერ ნისლში. მის გვერდით მაღალი კუბოა, ანთია მაღალი თეთრი სანთლები. თეთფრთიანები უახლოვდებიან და ფრთებს აშრიალებენ. ის ხმამაღლა ყვირის: **„არ დაკლათ, არ დაკლათ, წ. გიორგი გაწყრება“**. ნისლს, როგორც ვაჟასთან, გამსახურსიასთანაც აქვს, ორი სამყაროს - ამქვეყნიურისა და იმქვეყნიურის გამყოფის მისია, სწორედ თავისი თვისების გამო. ის თვალით ხედავს უშლის ხელს, აბუნდოვანებს სურათს. ეს არის **სიზმარი-შთაბეჭდილება**.

სამშობლომონატრებულ კონსტანტინეს დედა ესიზმრება. ამ სიზმარს ის კარგს უწოდებს. ინდოეთში მიმავალი (რაზედაც რეალობაშიც ოცნებობს) დედას პირდება, რომ მალე დაბრუნდება, ცოლს შეირთავს,

12 შვილი ეყოლება, ყველა ქართულად ილაპარაკებს და არცერთი უცხოეთში არ წავა. სიზმარი გამოხატულებაა იმ სიწმინდისა, რომელიც მრავალი ცოდვის მქონე ადამიანის სულს მაინც წრფელად და უცოდველად ტოვებს, რადგან მისი ნატვრა სწორედ ასეთი სუფთა იყო. და მიუხედავად სავარსამიდის განვლილი ცხოვრებისა, რომანის ბოლომდე მკითხველი მისი თანამგრძნობია სწორედ ამის გამო, რომ მთავარ გმირს სიზმარში მაინც აქვს დიდი სურვილი სამშობლოში დაბრუნებისა და წესიერი ცხოვრების დაწყების, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს სურვილი პერსონაჟს რეალურად აქვს. მწერალიც უთანაგრძნობს თავის გმირს. სიზმარი ასახავს გმირის მიერ თავისი ცხოვრების წარმართვის იდეალურ ვარიანტს, იმას, რაც რეალობაში ვერ განხორციელდა. ჩვენ ასეთ სიზმარს ვუწოდებთ **სიზმარი-იდეალი**, თუმცა ისიც არ მიეკუთვნება არარეალისტური მეთოდით აღწერილ სიზმარს, რადგან ემსახურება პერსონაჟის სულიერი სამყაროს წარმოჩენას.

ხანდახან პერსონაჟს რეალური ყოფა ესიზმრება და ეს სიზმარი წარმოდგენილია დიდი ქალაქის ხმაურით: „დგანდგარით, ზანზარით, ქშეილით, რახრახით, ზმუილით“ და ნიაღვარივით მოქანებული „მდინარებით“. რასაკვირველია, გმირი განიცდის, რომ ამ ნაკადში ისიც ინთქმება და სიზმარიც გამოხატავს იმ სულიერ ტრაგედიას, რომელსაც ურბანისტული სამყაროს სიცივეავითარებს პერსონაჟის ცხოვრებაში. ასეთი სიზმარი **სიზმარი-რეალობა**, რომელშიც რეალობა ასოციაციით აღიქმება.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ რომანის მხატვრული მეთოდი სცილდება რეალისტურს. შეიძლება ითქვას, რომ რეალისტურიდან არარეალისტურში გადადის და ეს შესამჩნევია სიზმრის ტექსტის მიმდინარეობისას. მეოთხე ქებაში, რომელსაც სახელად „ვენახი“ ეწოდება და იწყება დიდი ქალაქის ხმაურიანი სიზმრით, აღწერილია კონსტანტინე სავარსამიდის მიერ ებრაელი ვიტენზონის გამოქომაგება, იუველირთან მისვლა და მისი დანამუსება. ნარატივი ისე გადადის სიზმარში, რომ მკითხველი მხოლოდ ირეალური სახეებით ხვდება, რომ ეს ცხადს არა ჰგავს. ამ შემთხვევაში სიზმარი **სარკიდან** მომდინარეობს. სარკეა მხატვრული სიმბოლო, საგანი, რომელშიაც მისი ბუნებიდან გამომდინარე, არეკლილია სიზმრის იდუმალი ნარატივი. პერსონაჟი სარკეში ხედავს, როგორ მოხუცებულა, მატყლივით სპეტაკი თმა აქვს. პირიდან ორღესული მახვილი ამოსდის და თავის სახეში ძე-კაცის მსგავს ხედავს. ემხოზა სარკის წინ და თავისავე ლანდს სცემს თაყვანს. სიზმარი უსაშველოდ გრძელდება. ის ზღაპარი უფროა, ვიდრე ადამიანის ცხოვრებასთან რაიმე კავშირში მყოფი ირეალობა. აქ აღწერილია ზღაპრული მოგზაურობა მითოლოგიურ (თანაც საშიშ) სამყაროში და ბოლოს საქართველოში დაბრუნება. ჩანს, რომ მგზავრი ვერაფრით ეხმარება თავის ქვეყანას. ის მეკვლეა, რომელსაც სინათლე მოაქვს, კარზე აკაკუნებს და არ უღებენ. სიზმარში შემოდის რეალური სამყარო. თამარაშენში სავარსამიძე თავის თანამოსანგრე ყარამან მინდელს შეხვდება. ისინი წარსულს იგონებენ, თბილისის სახეცვლილებაზე მსჯელობენ, საქართველოს მომავალზე. ის და ჯენეტი მცხეთის ახლოს ერთ პატარა სახლში იწყებენ ცხოვრებას. ცხრა ვაჟი და ერთი ქალი ჰყავთ. დახატულია მათი შვილების მომავალი, ყველასი სათითაოდ. სავარსამიძეს დედაც ცოცხალი ჰყავს და უხარია მისი ხილვა თავად სიბერეში შესულს. ჯენეტი თავისი დიდების მსგავსად სამთავროს მონასტერში მონაზვნად აღიკვეცება. კონსტანტინე სავარსამიძეს შრომა უფასდება და ქართული აკადემიის პრემიას ელოდება. ვენახიდან შემოსული თანხით სვეტიცხოვლის სახურავს ანახლებს...

ამ უზარმაზარ სიზმარს ასრულებს „საშინელო“ ზარების რეკვა და, რა თქმა უნდა, პერსონაჟის გამოფხიზლება. ის ისევ პარიზშია, კუბოსავით ცივ ოთახში. იხატება კონტრასტი სიზმარსა და რეალობას შორის, რაც მთელ, სიზმრისათვის უჩვეულო, ნარატივში არ ჩანს და მკითხველს მხოლოდ სიზმრის დასაწყისში აღწერილი ზღაპრული გარემო მიანიშნებს, რომ ეს არ არის სინამდვილე. თუმცა კი სიზმარის მეორე ნაწილში იმდენად რეალურად არის აღწერილი მინდელთან შეხვედრა და საუბარი განახლებულ საქართველოზე, რომ დაეჭვებას იწვევს, ისევ სიზმარია, თუ თხრობა ცხადში გადავიდა. ეს არის სიზმარში განვლილი მთელი ცხოვრება - **ცხოვრებისეული სიზმარი**, რომელშიც აისახება არა მხოლოდ წინა დღეების შთაბეჭდილება და განცდა, არამედ წარმოდგება ადამიანის მთელი ცხოვრება პერსონაჟისთვის

საუკეთესო ვარიანტში. ამ შემთხვევაში სიზმარს რეალური ყოფისუარყოფისა და მისი კრიტიკის ფუნქცია ეკისრება, რაც სიმბოლიზმის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია. სწორედ ამ მიმდინარეობით უნდა აიხსნას სავარსამიძის ამ კონკრეტული სიზმრის უჩვეულო წყობაცა და ხანგრძლივობაც. ეს არის ინტერტექსტი, რომელშიც გაერთიანებულია როგორც მითოლოგიური პერსონაჟები და კოდები, ასევე რეალური ყოფა; წინა კულტურის ტექსტი და გარემომცველი ყოფის ამსახველი ტექსტი ერთმანეთს ანაცვლებს; ამოუცნობი თუ ყოფითი კონტექსტები პერსონაჟის ბიოგრაფიული ფაქტებიდან, მიგვანიშნებს სიზმრის ტექსტზე, როგორც, თავისთავად, არარეალისტურ ფენომენზე, და ასევე ასახვის არეალისტურ მხატვრულ მეთოდზე.

მეექვსე ქებაში, რომელსაც „რეტდასხმული კურდღელი“ ეწოდება, თვალნათლივ წარმოჩნდება სიმბოლიზმის ერთ-ერთი ძირითადი ნიშანი - საგნებსა და მოვლენებში ჩადებული იდუმალი აზრის სუბიექტური სიმბოლოს საშუალებით ამოცნობა. **„ვინა სთქვა საგნებს ზეგავლენა არა აქვთო!? - ამბობს სავარსამიძე, - „ყოველ საგანში სულია. ამიტომაც ძლიერ ფრთხილად ვარ... ყოველთვის უნდა ვიცოდე, სადა ვარ...“ (გამსახურდია 1961: 774).** ის იხსენებს თავისი მორდუს, ტაია შელიას, ნათქვამს: **„ყოველი ადამიანი, ყოველი ცხოველი, ყოველი საგანი სახიფათოა, დროს გააჩნია მხოლოდ“ (იქვე).** „ორძილი“ ეწოდება თავს, რომელშიც აღწერილია სავარსამიძისა და ალბანოს ტბის ნაპირას მცხოვრები ბარონენსას დამხმარე ქალის, ბიანკას, საუბარი. არც ბიანკა და არც ბარონესა არ არიან გაუნათლებლები, მაგრამ ნიშნების ამოცნობით ცხოვრება მათთვის ჩვეულ ყოფად ქცეულა; ამიტომაც სავარსამიძის მოულოდნელ სტუმრობას სასწაულად აღიქვამენ. ბიანკასა და სავარსამიძის საუბარი ცდება ყოფით საკითხებს და ფილოსოფიური მსჯელობის სახეს იღებს. ისინი საუბრობენ ადამიანის სულზე, რომლის შესახებაც ძალიან ცოტაა ცნობილი. ბიანკა ეკითხება სავარსამიძეს: **„განა შეუძლია ადამიანს რაიმეს ცოდნა, დოქტორე?“** ის პასუხობს: **„არა მგონია, სინიორა ბიანკა, რომ ადამიანს ჭეშმარიტების მიღწევა შეეძლოს...“** მისი პასუხი პირდაპირ მიუთითებს სიმბოლიზმის ერთ-ერთ ნიშანზე, რომ ადამიანის გონებისათვის ჭეშმარიტება მიუწვდომელია, ამიტომ უფრო ინტუიციას უნდო ენდო, ვიდრე გონებასა და ლოგიკას. სავარსამიძე აგრძელებს: **„ნეტარ იყვნენ მგლოვიარენი სულითა, რადგან მათთვის სიზმარია დღევანდელითა“.** სახარებისეული ტექსტის დამახინჯებითა და ინტერპრეტაციით იგი სიზმრის სიმსუბუქეზე მიგვითითებს რეალობასთან შეპირისპირებით. ბიანკას მორიგ კითხვაზე - **„განა თქვენ მართლა გჯერათ სინამდვილე, დოქტორე?“** სავარსამიძე აყალიბებს სიმბოლისტებისათვის ტიპიურ იდეალისტურ მსჯელობას სამყაროს ირეალურობის შესახებ: **„მე სიზმარსაც და სინამდვილესაც ორძილს ვეძახი, სინიორა ბიანკა. ხშირად სიზმარში უფრო კარგად ვერკვევი. სიზმარში ვხედავ მოსალოდნელ სიმძიმისა და სიხარულსაც. განა ჩვენი სინამდვილე თვით სიზმარზე უსიზმარესი არ არის?!“ (გამსახურდია 1961: 780).**

ალბანოში ცუდ სიზმრებს ნახულობს სავარსამიძე: ის და ჯენეტი წვანან ოთახში. უშველებელი, სავარცხლიანი გველი ამოდის მათ საწოლზე. ჯენეტი ლოგინიდან ვარდება. სავარსამიძე მორდუსგან ნასწავლ შელოცვის სიტყვებს წარმოთქვამს. ფრთები ესხმება ქვეწარმავალს და შრიალით მიფრინავს. სავარსამიძე ბიანკასაგან იგებს, რომ ამ ოჯახში, სადაც ისინი ღამეს ათევენ, გველების კულტი ყოფილა. ისინი ოჯახის მფარველ სულელებიან. სასახლის ოთხი ოთახი გამოკეტილი აქვთ, რადგან სწორედ იქ ბინადრობენ ქვეწარმავლები. ამ ფაქტით მკითხველს საშუალება ეძლევა სიზმარი წინასწარმეტყველებითი სიტუაციით ახსნას, მაგ., გველების კულტით ამ ოჯახში, ან ასოციაციურად განწყობის მოვლენათა დამძიმებისკენ, რაც მართლაც ხდება. ე. ი. სიზმრის ახსნა და მისი სიღრმის ძიება წმინდა სუბიექტური მოვლენაა, რომელსაც ინდივიდუალურად იაზრებს ყოველი მკითხველი. მწერალი არ გვამლევს მის საბოლოო განსაზღვრულობას.

ბიანკა თავის სიზმარს უამბობს კონსტანტინეს ბარონესასთან მისული მწირის შესახებ, რომელსაც ქალბატონმა ფეხები დაბანა, რადგან მასში ძე კაცისა ამოიცნო. სწორედ ამიტომაც მიიღო უკარება ბარონესამ თავის სახლში ასეთი მოწიწებით სავარსამიძე. ბიანკა უჩვენებს მას თავის ნახატს, რომელზედაც

გამოსახულია კონსტანტინეს გალურჯებული სხეული შავი ძელის ჯვარზე გაკრული. წელზე უშველე-ბელი გველი აქვს შემორტყმული. პერსონაჟი საგნებსა და მოვლენებს სუბიექტურად აკავშირებს მათში ჩადებული იდუმალი აზრის ამოცნობით და ახსენდება ბავშვობა, როცა ძიძიშვილებმა თამაშის დროს ჯვარზე გააკრეს. ამ დაკავშირებაშიც, რომელიც შემდგომ თავებშიც გრძელდება, პერსონაჟის ავადმყოფური ინდივიდუალიზმი წარმოჩნდება, რომელიც ამხედრებს მას რელიგიის წინააღმდეგ და სხვადასხვა ცოდვისკენ უბიძგებს. თუმცა კონსტანტინე გამსახურდია მხოლოდ სავარსამიძის ფანტაზიის ნაყოფად არ თვლის საგნებისა და მოვლენების ასეთ კავშირს, მას ბიანკას ექსტაზითაც ხსნის, რაც პერსონაჟის, სავარსამიძის, მართლაც გამორჩეულობაზე მიგვითითებს. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის სცენა, როცა სავარსამიძე ცრუ ქრისტეს ეტლს გაიტაცებს. მას დაედევნებიან, დაიჭერენ და როცა ცრუ ქრისტე სილას გააწნავს, სავარსამიძე კი მეორე ლოყას მიუშვერს; თუმცა შემდეგ ამ ყველაფერს ექსტაზში მომხდარ ამბავს უწოდებს.

საინტერესოა იტალიაში დაპატიმრებული, კამერაში მჯდომი სავარსამიძის მიერ სიზმრის, როგორც ფსიქოლოგიური მოვლენის, ახსნაც: **„მენტრება სიზმარი, რადგან მხოლოდ სიზმარში ვცხოვრობ. სიზმარში ჩემი სული თავისუფალია, ხან საქართველოში ვარ დედასთან სოფელში, ხან ბერლინში, მე და ჰერბერტი სადაც მივემგზავრებით, ხან ინდოეთს მივდივარ. მომბეზრდა წოლაც, ჯდომაც, კამერაში წრიალიც“ (გამსახურდია 1961: 812).** ამ სიტყვებში ნათლად ჩანს, რომ სიზმარში ცხოვრება გამოსავალია ამქვეყნიური რეალობიდან თავის დაღწევის, რაც სიმბოლიზმისთვის დამახასიათებელია, მაგრამ აქ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამას ფიქრობს გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილი პერსონაჟი, რომლისთვისაც ზოგადად სიზმარი ცხოვრების იდუმალი გზების შეცნობის საშუალებაა. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ მწერალი ძალზედ რეალისტურად ასახავს თავისი ბუნებით სიმბოლისტი პერსონაჟის ფსიქიკურ მდგომარეობას და ფილოსოფიურ აზროვნებას.

რომანში გვხვდება წმინდა წინასწარმეტყველებითი სიზმრებიც, რომელთაც მაშინვე მოჰყვება ის შედეგი, რომელიც სიზმარში ენიშნა პერსონაჟს. ასეთია ფოლადისმუზარადიანი ჰერბერტის ნახვა სიზმარში, რომელსაც სახე უშავდება, არ რჩება კონსტანტინე სავარსამიძესთან და მისი თხოვნის მიუხედავად, მინც მიდის. მეორე დღეს კონსტანტინე ჰერბერტის ბრძოლაში დაღუპვის ამბავს იგებს. ამ თავის სათაურადაც სიზმრისეული ხატება გამოდის - „ფოლადის მუზარადი“, რაც ნიშნის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე მიგვითითებს.

ხანდახან საოცარ სიზმარს ნახულობს პერსონაჟი. „საოცარი“ ნიშნავს ისეთს, რომელიც მას კონკრეტულ ნიშანს არ აძლევს, მაგრამ უქმნის გარკვეულ განწყობას. კონსტანტინეს ესიზმრება, რომ ის და ფარვიზი აბასთუმნის გზაზე მოდიან. ერთ-ერთ სერზე ჰამიდი (ფარვიზის ამხანაგი, რომელიც კონსტანტინეს სძულს მისი გარეგნული თუ შინაგანი ნიშან-თვისებების გამო) საშინელი ხმით „ყვივს“. ეს ხმა გველის წიწილის ხმას წააგავს. ჰამიდს წელზე გველი არტყამს, ხელშიც გველები უჭირავს და ესვრის გზაზე მომავალთ. ერთი გველი კისერზე მოხვდება ფარვიზს და თვალის დახამხამებაში მოგუდავს ბავშვს. სიზმარი ისე შეაშინებს სავარსამიძეს, რომ სასწრაფად ჩამოდის აბასთუმანში სწორედ ფარვიზის სანახავად. რომანის მიმდინარეობა გვიჩვენებს, რომ ეს არ ყოფილა „საოცარი“ სიზმარი, ეს არის წინასწარმეტყველური სიზმარი, რომელსაც პერსონაჟი ვერ ამოხსნის, რადგან ფანტაზიით ვერ წარმოიდგენს და ვერც ნიშანს დაუკავშირებს რეალობას.

ნაწარმოების მთავარი არსი, ჩვენი აზრით, იხატება ერთ პატარა სიზმარში, რომელსაც დაწვრილებით არც კი გადმოსცემს ავტორი, მაგრამ მიგვითითებს, რომ ის ხშირად მეორდება. პერსონაჟს ეზმანება ვენახი. სიზმარი დაკავშირებულია როგორც რეალობასთან, ასევე მასში ჩადებული სიმბოლოს ამოცნობასთან. რეალობა ასეთია: სავარსამიძის წინაპრები „ვენახებიანი პროვინციებიდან“ იყვნენ გადასულები სამეგრელოში, სადაც ღვინო არ მოდის. კონსტანტინეს მამის ოცნება - გაეშენებინა ვენახი, თუნდაც ტყუილად „გაფანტული“ ახალგაზრდობის სანაცვლოდ, შვილისთვის გაუგებარი აღმოჩნდა, ამიტომაც შეიძულა იგი

მამამ - „მე შევძულდი მას, რადგან მე არ მესმოდა მისი საოცარი ოცნება ვენახზე“ (გამსახურდია 1961 : 832). და მხოლოდ მაშინ, როცა პერსონაჟმა ნახევარი ცხოვრების გზა გალია, მიხვდა, რომ მისი ტანჯვის მიზეზი მამის ანდერძიდან გადახვევაა, ამიტომაც უჩნდება მისთვის უცნაურად მიჩნეული სურვილი, დაბრუნდეს საქართველოში, მოძებნოს მამის ნასახლარი და ვენახი გააშენოს. ეს არის სურვილი მამასთან შერიგების, წინაპრის გაგების და დაფასების; მაგრამ, მეორე მხრივ, შეუძლებელია ამ ტექსტში არ დავინახოთ ბიბლიური პარალელები: სავარსამიძე „უძლები შვილია“, რომელმაც მამის მიწები ევროპაში მგზავრობას მონადგო, „სიჭაბუკის საუკეთესო სისხლი კი ევროპელ ქალებს შეაღია“ და ამიტომაც დაემსგავსა „უნაყოფო თხემლას“; გვიან იგრძნო დანაშაული წინაპრების წინაშე; უნაყოფო ადამიანი კი, როგორც „უნაყოფო ლედვის ხე“, უნდა მოიჭრას; ამიტომ უნდა გააშენოს სავარსამიძემ ვენახი, რომ არ იყოს უნაყოფო, რომ შეძლოს ზეციურ ვენახზე ფიქრი. ტექსტი - სიზმარი ვენახზე - თავიდან ბოლომდე სიმბოლურია, მიუხედავად იმისა, რომ მასში სიზმარი-ოცნებაც შეიძლება დავინახოთ.

ამ ტექსტის გაგრძელებას, როგორც თემატურად, ასევე - ასახვის თვალსაზრისით, წარმოადგენს რომანის ბოლო თავი - „ჯოჯოხეთად ჩასვლა კონსტანტინე სავარსამიძისა“. რეალისტური ტექსტი მეორე აზრით სრულდება: „ჩემს გარშემო მდებარე საგნები რძისფერ ბურუსში იძირებიან, ნელ-ნელა ვეყრები სინამდვილეს და უკვე მარტოობაც არ შემიძლია. ღამით სიზმრები მახრჩობენ, დღისით - ადამიანების ლაპარაკი... და აღარ მაკვირვებს ჩემი ნადრევი საკვდილის გამოცხადება...“ (გამსახურდია 1961 : 937). ამ სიტყვებით იწყება „გარდაცვლილი“ პერსონაჟის ჯოჯოხეთში „მოგზაურობა“ - ჩასვლა. ჯოჯოხეთის ხილვას მსოფლიო ლიტერატურაში სხვადასხვაგვარი ფუნქცია აქვს: ჯოჯოხეთში ჩასვლით გაიზარება შეცდენილი სულისთვის ჭეშმარიტება, ასევე - ჯოჯოხეთში ჩადის პერსონაჟი სხვის გადასარჩენად (ამგვარი გააზრება იშვიათია). კონსტანტინე სავარსამიძისთვისაც ჯოჯოხეთში ჩასვლა მთელი მისი ცხოვრების გააზრებაა, ამის მაჩვენებელია თუნდაც ის ფაქტი, რომ ცხოვრებაში შემხვედრი ყველა პერსონაჟი იქ იყრის თავს და თუ ისინი ცხოვრებაში „რელიზმის პრინციპების საფუძველზე მოქმედებდნენ“, ჯოჯოხეთში ამ პრინციპებისგან თავისუფალნი არიან. შემთხვევითი არაა, კონსტანტინეს ოთახში წითელი მამლის შემოჭრა, რადგან ანტიკურ მითოლოგიაში მამალი მიწისქვეშეთს უკავშირდება, როგორც ქტონური ფრინველი. სიზმარში ყოველ დეტალს სიმბოლური მნიშვნელობა აქვს, რომელთაც მკითხველი შეიძლება მთელი სიზუსტით ვერ აღიქვამს, მაგრამ ასოციაციურად ხვდება მთავარი გმირის სულიერ ცვლილებებს, რომელიც ჯერ შავ ვეშაპს სჭრის თავს, შემდეგ მოთეთროს, მერე ენდროსფერს შეულოცავს. სამ მინდორს გადაივლის, სამ მთას, სამ ველს. სამ ცხენს ნახავს, ერთს - შავს, ერთს - თეთრს, ერთს - ენდროსფერს. ძმად გაეფიცება რაინდებს, რომლებიც მისი ამქვეყნიური მეგობრები იყვნენ - ხალილ ბეი და ჰერბერტ შტუდერსი. ცხენებს ინაწილებენ: ხალილს თეთრი ერგება, ჰერბერტს შავი (რადგან უკვე გარდაცვლილია), კონსტანტინეს კი ენდროსფერი ულავი. ცხენთა ფერები გმირთა სულიერი მდგომარეობის შესატყვისია. კვლავ გადაივლიან სამ ველს, სამ მინდორს, სამ მთას. მიადგებიან კომპს. კომპი ერთდროულად განასახიერებს უარყოფითისა და პოზიტივის შერწყმას. კომპში ჩადებული უარყოფითი ენერგია: „ამბიცია, სხვათაგან გამორჩეულობა, აღმატებულობა, რომელიც წინაარმდეგობრივად უპირისპირდება კომპის პოზიტიურ სიმბოლოთა მწკრივს: ზეადსვლას, ძალას, განდგომას, სიფხიზლესა და უმანკოებას. ამიტომაც, მიუხედავად პოზიტიურ სიმბოლოთა სიმრავლისა, მაინც შესაძლებელია ზეატყორცნილი კომპის დაცემა“ (აბზიანიძე, ელაშვილი 2011: 113). სავარსამიძეც დაცემულია თავის ამბიციათა გამო. მასაც პრეტენზია აქვს გამორჩეულობისა და აღმატებულობის, მაგრამ ამავე დროს - წინსვლისა და განვითარების; ფესვებმონაწივეტილი კაცისთვის თავისი ეროვნება და წინაპართა სისხლი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ის მტერია რუსის, სლანსკის, არა მარტო იმის გამო, რომ ის პროვოკატორია და ქურდი, არამედ ის მთელი საქართველოს სიმდიდრის - თამარის ალმასის, დედის ალმასის - ხელში ჩამგდება. შემთხვევით არა აქვს მას მონღოლის სახეც; სიზმრის ტექსტში ის სავარსამიძის პირადი მტერია. სავარსამიძე თუმცა ვაჟკაცობით სჯობნის, მაგრამ სლანსკის სიზმარშიც ვერ ამარცხებს, შელოცვით მია-

მინებს, როგორც ტაია შელია გველს. გამოღვიძებული, სავარსამიმეს პირდება მიჯნურთან მიმავალი გზის სწავლებას სიცოცხლის ფასად. სავარსამიმე ყელს გამოჭრის მას და მის სისხლს სვამს. ეს ბარბაროსული ანგარიშსწორებაა. ამას ამჩნევს სიზმრის კიდევ ერთი პერსონაჟი - იესო ქრისტე, რომელიც ამოიცნობა „ფერდებზე და ხელის გულებზე მოლიბრო ნამსჭვალებით“, ზუსტად იმ ხატებით, რომელიც პირველად სოფლის ეკლესიაში ნახა პერსონაჟმა, ჯვარზე გაკრული. იესოს ჯოჯოხეთში წარმოდგენა უარის თქმა ძველ ფასეულობებზე; ძველი ფასეულობების ირონიული გადაფასებაა.

ენდროსფერი ნადირი ცხვირზე რქით აპოკალიფსური წითელი მხეცი უნდა იყოს; წელზე გველ-შემორტყმული და გველების მსროლელი სახეა ჰამიდის, ფარვიზის ამხანაგის (ამ სახით ის წინა სიზმრიდან შემოდის); გამხმარი თხმელები უნაყოფო ადამიანებს წარმოადგენენ; ჩაუქრობელი ცეცხლი, რომელიც ამ თხმელებსა და ეწერს უკიდია, ქმნის ჯოჯოხეთში ჯოჯოხეთს, რომელშიც ცოდვილი სულები იწვიან. მათ კრაზანები, მატლები და მლილები ეხვევათ. ამ ადამიანებშიც სულ ნაცნობები არიან: „მევახშეები, ქურდები, კაცის მკვლელები, უნამუსოდ გამდიდრებულები, მეძავეები და ქალების მოვაჭრენი, გაყიდული ჟურნალისტები და მწერლები, კალამს და სიტყვას რომ ჰყიდდნენ, ოქროში სცვლიდნენ“ (გამსახურდია 1961: 944). ეს სიტყვები მკაცრი კრიტიკაა საბჭოთა მწერლებისადმი გამოთქმული. ჯოჯოხეთში ვხედავთ ღმერთის მგობელ ადამიანებს, მათ შორის იტალიელ ცრუ ქრისტეს, სავარსამიმემ რომ ეტლი მოსტაცა. და ბოლოს, ერთ მღვიმეში კონსტანტინე ხვდება მამას, რომელსაც მუხლზე კონსტანტინეს პირველი სატრფო უზის - მზეხარი. მისი სახელი მთელი ჯოჯოხეთის სიბნელის ფონზე შესამღებელია იმას მიანიშნებდეს, რომ სამშობლოში, მამის წიაღში იყო კონსტანტინესთვის მზე, რომელიც მან დაკარგა და ჯოჯოხეთში მოგზაურობა გახდა საჭირო, რომ პერსონაჟს თავისი დანაშაული შეეგრძნო, ფეხქვეშ ჩავარდნოდა მამას და პატიება ეთხოვა. გარდაცვლილმა მამამ საიქიოდან ვეღარ დალოცა მონანიე, „უძლები“ შვილი.

მთელი საიქიოს შემოვლის ფასად მგზავრი კონსტანტინე მოხვდება სამოთხეში; ეს ის ვენახია, რომელიც ცხოვრების მანძილზე ვერ გააშენა მგზავრმა. ეს არის „სინათლის ვენახი ფისონის ნაპირას! და ხეებს წითელი რუბინი მოუსხამთ, და ვენახი ასულა პინიის ხეებზე. ვენახის ლერწებზე ლაპის ლაზულის ფოთლები. სმარაგდის მტევნები. დაფნა და სურო ჰყავის აქა-იქ და ხეივანში აყვავებული მაგნოლიები, აკაციები, ცაცხვები და ჭანდრის ხეები. ფულუროებიდან ველური თაფლი მოჟონავს მზისგან გამდნარი. ცაცხვის ძირას სპილოს ძვლის ტახტზე დამჯდარა თვითონ ჰელიოს-ღმერთი. ირისეს სარტყელი უშვეენებს წელს“ (გამსახურდია 1961 : 946). ღმერთი-ჰელიოსი საყვედურობს მგზავრს, რომელსაც კაცის სისხლი სცხია. გამსახურდიას ვენახი ძალიან წააგავს ვაჟა-ფშაველას „სიყვარულის სამეფოს“, სადაც მაღალ ტახტზე სიყვარულია დაბრძანებული და კითხვაზე - „სატრფოვ, სადა ხარ?“ ტახტზე დაბრძანებული პასუხობს: „მე თვით გახლავარ ეს შენი სატრფო“ (ვაჟა). ვენახში მოხვედრილი კი სთხოვს ჰელიოსს, ნუ განიკითხავს, რადგან თავისი სისხლის სიყვარულმა გააგიჟა. „სისხლის სიყვარული“ თუ ერთი მხრივ კარგია და ეროვნულ ნიშანზე მიუთითებს, ამავე დროს სოციალური უპირატესობის მაჩვენებელიცაა და ამ უპირატესობის შეგრძნებამ შეიძლება პერსონაჟი დაცემამდე მიიყვანოს. აქაც ზღაპრულ ირეალობაში იკვეთება სატრფოს სახე. ის ამურების მკლავებზე გადასვენებული ფარვიზია. თუ ვაჟასთვის სიყვარულია სამყაროს წარმმართველი, კონსტანტინე გამსახურდია სილამაზეს ანიჭებს უპირატესობას, რადგან სიყვარული სილამაზესთან ერთად კვდება. რატომ? იმიტომ, რომ „ჩვენზე სივრცე მოქმედობს, ჩვენზე დრო მოქმედობს, ჩვენზე საგნები მოქმედობენ. ჩვენ ვეღარ ვამჩნევთ როგორ ვიცვლებით“ (გამსახურდია 1961 : 917). ქალი, რომელიც პერსონაჟს ოდესღაც უყვარდა, აღარ აინტერესებს. ინტერესის საგანი ხდება მისი შვილი, ჯერ კიდევ „პირშიშველა ჭაბუკი“ ფარვიზი, რომელიც მშვენიერია, ღვთაებრივი სილამაზის კონსტანტინე მას დიონისოდ, ღმერთების მარადიულ სატრფოდ აღიქვამს. ამგვარი ესთეტიზმი, დახვეწილი, მაგრამ უკიდურესად ზღვარდადებული, იწვევს ძველი ღირებულებების გადაფასებას და

ტექსტის მრავალგვარი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას, რაც ზოგადად მოდერნისტული ლიტერატურისათვის არის დამახასიათებელი.

ამრიგად, კონსტანტინე გამსახურდია თავისი რომანით „დიონისოს ღიმილი“ გამოეხმაურა დასავლეთ ევროპის მწერლობას, რომელიც მე-20 საუკუნის დასაწყისში მოდერნისტულია და ნაწარმოებში დასმულ საკითხთა მიმართულებით ქართული მწერლობის ინტერესები ევროპულს გაუთანაბრა. მოდერნიზმის მიზანი იყო ლიტერატურასა და ხელოვნებაში ახალი, არატრადიციული ფორმების დამკვიდრება, წინა პერიოდის მხატვრულ-ესთეტიკური გამოცდილების უგულვებელყოფა, რაც ადვილად მოახერხა მწერალმა ნაწარმოების სიუჟეტში რეალური და სიზმრისეული ტექსტების მონაცვლეობით. სიზმარი თავისთავად არარეალისტური ფენომენია, არარეალისტურ სამყაროში გადამყვანი; მასზე დაყრდნობით შესაძლებელია ტაბუსა და საზღვრებზე უარის თქმა და ინტერტექსტუალობა; ასე რომ, მას მრავალი ფუნქცია აქვს მხატვრულ ტექსტში, მაგრამ ამ კონკრეტულ რომანში სიზმარი შეიძლება დაეყოს რეალისტურ და არარეალისტურ სიზმრად. რეალისტურია ისეთი სიზმარი, რომელიც, მიუხედავად მასში ასახული უცნაურობებისა, შესაძლებელია, რომ პერსონაჟმა ნახოს; მისი საშუალებით მწერალი ასახავს რეალურ ცხოვრებას. არარეალისტური სიზმარი ეს მწერლის არარეალისტური ტექსტია, რომელსაც, თუ პერსონაჟი ნახავს, ვერ დაიმახსოვრებს, ანუ რომელიც თავისი მოცულობითა და დატვირთვით არ ჰგავს სიზმრის ტექსტს, მისი საშუალებით მწერალი რეალურ ცხოვრებას ვერ ასახავს, ამიტომმას არარეალისტური ნარატივის ნაწარმოებში შემოტანის ფუნქცია აკისრია. ასეთებია სიზმარი ვენახზე და „ჯოჯოხეთად ჩასვლა კონსტანტინე სავარსამიძისა“.

ამრიგად, „დიონისოს ღიმილში“ სიზმარს აქვს შემდეგი სემანტიკური და ფუნქციონალური დატვირთვა:

1. სიზმარი მწერლის ფორმალურ და ლინგვისტურ ძიებათა წარმომჩენია. ის, როგორც ნიშანი, ორ, ერთმანეთთან დაუკავშირებელ მოვლენას აერთიანებს. (მაგ., რომანის წერის დაწყებას და ცეპელინის ნიუორკში გადაფრენა); ის, როგორც ტროპის ობიექტი, მოვლენის ხატოვანი განმსაზღვრელია. სიზმრის თვისებათა გამოყენებით მწერალი ქმნის ტროპის სახეებს: ეპითეტს, შედარებასა და მეტაფორას;

2. სიზმარი ნიშანია, რომელსაც მოჰყვება მისი ამოცნობა; ანუ მხატვრული ნაწარმოების სტრუქტურაში მას თავისებური პროგნოზისტული ფუნქცია აკისრია, რომელიც უშუალოდ უკავშირდება ავტორისეულ ინტენციას (სიზმარი ჰერბერტზე, სიზმარი ფარვიზზე, რომელთაც მოსდევს პერსონაჟის გარდაცვალება);

4. სიზმარი წარმართული ფილოსოფიური მსოფლალქმის საშუალებაა, რომლის ფუნქციაა მოვლენის წარმოდგენა განუმეორებელი ინდივიდუალობით;

5. სიზმარი პერსონაჟის იდეალური ცხოვრების სარკეა, რომელშიაც ჩანს ცხოვრების საუკეთესო გზა, რაც რეალობაში ვერ განხორციელდა;

6. სიზმარს აკისრია არარეალისტური ნარატივის ნაწარმოებში შემოტანის ფუნქცია და მკითხველის ვანტაჟისა და აზროვნების წარმართვა სიმბოლოსა და ნიშნის ამოცნობისკენ.

სიზმრის ჩამოთვლილი ფუნქციები საშუალებას გვაძლევს, რომ კონსტანტინე გამსახურდიას მოღვაწეობის საწყისი ეტაპი, მისი შემოქმედებითი სიახლეები დაუკავშიროთ დასავლურ ინტელექტუალურ სამყაროში პოპულარულ მხატვრულ-მეცნიერულ ნააზრევს (ნიცშე, შოპენჰაუერი, შტიინერი, ფროიდი, ბერგსონი და სხვები), რაც მწერლის შემდგომდროინდელი ლიტერატურული მოღვაწეობისთვისაც განმსაზღვრელ ფაქტორად დარჩა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გამსახურდია კონსტანტინე, რჩეული თხზულებანი, რვატომეული, ტ. I, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი 1958.
2. გამსახურდია კონსტანტინე, რჩეული თხზულებანი, რვატომეული, ტ. II, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი 1959.
3. გამსახურდია კონსტანტინე, რჩეული თხზულებანი, რვატომეული, ტ. V, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი 1961.
4. დანელია დ., ირაციონალისტური ფილოსოფია და მოდერნიზმი, თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“, 1993;
5. ზიგმუნდ ფროიდი, ფსიქოლოგიური თხზულებები, გამომცემლობა „პეგა“ , თბ. 2014; 6. 3. Зигмунд Фрейд, Толкование сновидений, изд. «Астрель», Москва, 2011

ნათია ბობაქოველი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი
ხელმძღვანელი: პროფესორი თათია ცხადაია

ზაქარია ჭიჭინაძე ძველი ქართული მწერლობის კვლევის სათავეებთან

ყველა ფუნდამენტურ მეცნიერებას თავისი საწყისები და განვითარების საფეხურები აქვს. ყოველი ერი, რომელიც თავისი ლიტერატურის ისტორიით დაინტერესებულია, სასულიერო მწერლობას შესაფერის ადგილს უთმობს მეცნიერული კვლევა-ძიების სფეროში. ასევე შეუძლია მოიქცეს ქართველსაც, რომლის სასულიერო მწერლობაც ერთ-ერთ მნიშვნელოვანი კულტურული მონაპოვარია.

ძველი ქართული ლიტერატურის კვლევას დიდი ხნის ისტორია აქვს. ამ სფეროთი დაინტერესდნენ უცხოელებიც, მაგრამ მხოლოდ მას შემდეგ, რაც 1902 წელს აღმოსავლეთში, იერუსალიმსა და სინას მთაზე, იქ არსებული ქართული ლიტერატურული ძეგლების შესასწავლად იმოგზაურეს აკად. ნიკო მარმა და ივანე ჯავახიშვილმა; 1903 წელს ნ. მარმა გამოსცა რუსულ ენაზე მოკლე წინასწარი ანგარიში ამ მოგზაურობის შესახებ. როდესაც ეს ანგარიში გაიცნო ძველი საქრისტიანო მწერლობის ავტორიტეტულმა მკვლევარმა ჰარნაკიმ, პრუსიის მეცნიერებათა აკადემიაში ამგვარად შეაფასა: „ამ ანგარიშიდან ნათლად ჩანს, რომ უძველეს ხალხთა უდიდეს ბერძნულ ქრისტიანულ ოჯახს ეკუთვნიან ქართველებიც. ეს „საუნჯე“ ყველასათვის მნიშვნელოვანია იქამდის, რომ დღეს არ შეიძლება ძველი ლიტერატურის ისტორიიდან დამუშავება არც ერთი საკითხისა, თუ სათანადო ანგარიში არ გაეწია ქართულ ლიტერატურულ ძეგლებს“ (კეკელიძე, 1980:14).

მაგრამ რა იყო მანამ, სანამ ძველი ქართული მწერლობა ასეთი დაინტერესების საგანი გახდებოდა? ნუთუ საქართველოში ვერ აფასებდნენ მას და არც მკვლევარი ჰყავდა?

რა თქმა უნდა, საბედნიეროდ, ჩვენს ქვეყანაში ყოველთვის იყვნენ ადამიანები, რომლებსაც გააზრებული ჰქონდათ საკუთარი მწერლობის სიდიადე და ფასი. მე სწორედ ასეთ ადამიანზე, ზაქარია ჭიჭინაძეზე, მსურს გესაუბროთ. მისი ბიოგრაფიიდან ცნობილია, რომ ადრეული ასაკიდანვე გატაცებული იყო ქართული ლიტერატურის კითხვითა და ძველი ხელნაწერების შეგროვებით. მისი ინტერესი ძველი ქართული ლიტერატურის მიმართ სწორედ აქედან დაიწყო. აღსანიშნავია, რომ იგი ძირითადად მუშაობდა უშუალოდ პირველწყაროებზე. ხშირ შემთხვევაში ამა თუ იმ ძეგლის პირველადმოჩენადაც კი გვევლინება. მეხოტბენი და რუსთაველი, „ვისრამიანი“, „ამირანდარეჯანიანი“, „როსტომიანი“, „დილარიანი“, „ნარგიზოვანი“ და სხვა მრავალი ძეგლი მისთვის საინტერესო და საჭირო შესასწავლია (მახათაძე, 1978: 57).

ზაქარია ჭიჭინაძე კარგად იცნობდა თავისი დროის ქართველოლოგიის მიღწევებს, ხშირად ეყრდნობოდა მათ და თავის დამოკიდებულებასაც ამჟღავნებდა ცალკეული შეხედულებების მიმართ. მაგალითად, მკვლევარი არ ეთანხმებოდა პლატონ იოსელიანის ცნობებს არსენ ბერის მოღვაწეობის პერიოდთან დაკავშირებით. როგორც ცნობილია, იოსელიანი მას მე-13 საუკუნის მოღვაწედ არ მიიჩნევდა. დღეისათვის საეჭვო აღარ არის, რომ არსენი სწორედ მე-13 საუკუნის მოღვაწე იყო. მიუხედავად ამ უტყუარი ცნობებისა, ჭიჭინაძეს შემდგომი პერიოდის მკვლევრები მაინც ეჭვის თვალით უყურებენ. მაგალითად, კორნელი კეკელიძე ზაქარია ჭიჭინაძის ერთ ცნობასთან დაკავშირებით აღნიშნავს: „ზ. ჭიჭინაძის გადმოცემით, არსენს დაუწერია კიდევ თითქოს კრება, რომელიც შეიცავს მსოფლიოთა და ადგილობრივთა კრებათა ისტორიას, და ბრწყინვალე კვირა, მაგრამ, ჯერ ერთი, ასეთი თხზულებანი არ ვიცით არსენიდან, მეორე და უმთავრესი: აღნიშნულ შრომებს სხვა თავის თხზულებებში ჭიჭინაძე სულ

სხვა მწერლებს მიაკუთვნებს (კრებას - მიხეილ კათალიკოსს, ხოლო ბრწყინვალე კვირას - აბრამ ეპისკოპოსს). ასე რომ, ეს ცნობა ჩვენ საექვოდ მიგვაჩნია“ (მახათაძე, 1978: 58). ამასთან დაკავშირებით უსათუოდ გასათვალისწინებელია, რომ ცნობათა ამგვარ წინააღმდეგობაში ბრალი მიუძღვის არა ზაქარია ჭიჭინაძეს, არამედ იმ სხვადასხვა წყაროს, რომელთაც იყენებს იგი და რომელთაგან დღეს ბევრი შემორჩენილიც არ არის. საფიქრებელია, რომ მას, როგორც კოლექციონერს, ხელთ ჰქონდა ზოგიერთი ისეთი კატალოგის ნუსხა, რომელიც დღეს აღარ მოგვეპოვება. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ეს კატალოგები შეიძლება ყოფილიყო გამალიაელ გამრეკელის მიერ შედგენილი ძველი წიგნების ნუსხა, ისაკ მწიგნობრის და ტრიფილე არხიმანდრიტის ნუსხები. მას ასევე შეიძლება ხელთ ჰქონოდა სოლომონ დოდაშვილის ძალიან საინტერესო კატალოგი.

აქვე აღვნიშნავ ზაქარია ჭიჭინაძის, როგორც ქართული მწერლობის მკვლევრის, დამოკიდებულებას ლიტერატურის მისიის მიმართ. ფაქტია, რომ მისი რჩეული ლიტერატურული მიმდინარეობა რეალიზმია. ეს შემდეგი ციტატიდანაც ჩანს: „მეთვრამეტე საუკუნეში, როდესაც საქართველო ათასწიერ გასაჭირ მდგომარეობაში იყო ჩავარდნილი, რაზედაც ქართველი მისტორიენი გვარწმუნებენ, ამ დროის პოეტებს კი ამ სამგლოვიარო დროების შესახებ სიტყვაც არ დაუძრავთ და, ვარდის, ბულბულის და წითელი ღაწვების გარდა, ვერას შეჰხებია“ (მახათაძე, 1978: 64).

როგორც ვხედავთ, მისთვის ლიტერატურას უდიდესი დანიშნულება ჰქონდა და მწერლის თუ პოეტის მისიაც ისე ესმოდა, როგორც ილიას:

„მისთვის არ ვლერ, რომ ვიმდერო
ვით ფრინველმა გარეგანმა,
არა მარტო ტკბილ ხმათათვის

გამომგ ზავნა ქვეყნად ცამან“ (ჭავჭავაძე, 1977:)

სწორედ ამიტომაც ატარებდა იმ იდეოლოგიას, რომელსაც - სამოციანელები. მასზე წერდნენ: „ის ცოცხალი მატიანეა ჩვენი მწერლობის და ვისაც სურს გაიგოს ჩვენი აზრის განვითარების ისტორია, ის ზაქარიას ვერ ასცდება“. მაგრამ რამდენიც არ უნდა დაიწეროს ზაქარია ჭიჭინაძეზე, მის მოღვაწეობას მაინც ვერავინ შეაფასებს ისე ზუსტად, როგორც ეს თვითონ შეძლო: „მე ბევრ რამეში შეიძლება გასაკიცხი და საგმობიც ვიყო, მაგრამ გაუბედავ და იმასაც ვიტყვი, რომ ბევრს გმობასა და კიცხვასთან ის მაინც უნდა იყოს საყურადღებო, რომ ვბეჭდავ ზოგიერთ ისეთ ხელნაწერებს, რომელთა აღდგენა კი არა, მოპოვებაც ძნელია. ამგვარი იშვიათი წიგნები ოღონდ დაიბეჭდონ, ოღონდ დედანი გაჩნდეს და მერე მის სინამდვილით აღდგენა ისე ძნელი აღარ იქნება სხვათათვის მომავალში, როგორც ეს დღეს არის“ (მახათაძე, 1978: 66). დიახ! სწორედ რომ, ამ შემკვიდრეობამ მოამზადა ნიადაგი იმ დონის კვლევებისა და შედეგებისათვის, რომლებიც ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიაში გვაქვს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კეკელიძე კ., ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, I ტომი, გამ: „მეცნიერება“, თბ., 1980.
2. მახათაძე ნ., ზაქარია ჭიჭინაძე და ძველი ქართული მწერლობის საკითხები, «მაცნე. ენისა და ლიტერატურის სერია», 1978, №1;
3. ჭავჭავაძე ი., ქართული პოეზია, VII ტომი, გამ: „ნაკადული“, თბ., 1977.

მარიამ აზირაშვილი, ნინო გიგინეიშვილი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი
ხელმძღვანელი პროფესორი: ნინო მინდიაშვილი

ქალი შიო არაგვისპირელის შემოქმედებაში

ქართულ სალიტერატურო დისკურსში შიო არაგვისპირელი აღიარებულია ქართული ფსიქოლოგიური ნოველის მამამთავრად. თუმცა, ის არ ყოფილა ამბიციური პიროვნება. შიო თავის დღიურებში აღნიშნავდა კიდეც, "ჩემი ნოველების მხატვრული დამუშავებისთვის დრო სად მქონდა მე პროფესიით მწერალი არ ვყოფილვარ და ნოველებს მხოლოდ თავისუფალ დროს ვწერდიო."

მიუხედავად მწერლის ასეთი აღსარებისა, ვერ ვიტყვით მის ნოველებს არ აქვს თავისებური ხიბლი, მკითხველზე ზემოქმედების ძალა, მის ნოველებში თითოეული პერსონაჟი გაცოცხლებული რეალობაა, ცხოვრებისეულ სამოსში გახვეული, რომელთა სულის ინტიმური ხვეულები ძალზე ღრმა და ამოუწურავია.

აკაკი წერეთელი შიო არაგვისპირელზე წერდა: - ახალ მწერლობაში განსაკუთრებით საინტერესოა ბატონი შიო არაგვისპირელი თავისი ფსიქოლოგიური ეტიუდებით, ქართულ ლიტერატურაში მან ლამის სკოლა შექმნაო."

ბოლო პერიოდში გენდერული საკითხები აქტუალურია საზოგადოებაში. ვფიქრობთ, საინტერესოა ამ ორი ფენომენის ლიტერატურისა და გენდერის გადაკვეთა და ანალიზი. ამ მხრივ საყურადღებოა შიო არაგვისპირელის ზოგიერთი ნოველა, შესამჩნევია, რომ მისი ნოველების მიღმა დგას კაცი, მაშინ, როცა შიოსთან ქალი ცალკე ფენომენია, მწერალი ქალს წარმოაჩენს სხვადასხვა რაკურსით.

ჩვენი ინტერესის საგანი სწორედ ესაა, თუ რა ადგილი უკავია ქალს, როგორც ცალკე აღებულ პარადიგმას არაგვისპირელის შემოქმედებაში და როგორია მწერლის დამოკიდებულება ქალის ფენომენტთან დაკავშირებით. ჩვენ შევჩერდებით შიოს ისეთ ნოველებზე, რომლებშიც, ჩვენი აზრით ჩანს ქალის სახე, ქალის პრობლემათა თავისებურება. რაღა თქმა უნდა გენდერი მხოლოდ ქალთა პრობლემების კვლევას არ გულისხმობს, მაგრამ შიოსთან ქალი ცალკე ფენომენია, თავისი ღირსებებითა და ნაკლოვანებით. ჩვენი მიზანია წარმოვაჩინოთ, როგორია შიო არაგვისპირელს დამოკიდებულება ქალის სახესთან დაკავშირებით, სხვადასხვა ნოველის განხილვით წარმოვაჩენთ ქალს ზნეობრივ-მორალურ, მენტალურ-ნაციონალურ, ფსიქოლოგიურ პრობლემათა ასპექტში. "უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ მწერლობაში არავის უწერია ამდენი და ესეოდენი გზნებითი სიყვარულის უარსაყოფად, თითქოს და აღსდგა თეოლოგიური შეგონება ქალის მაცდურ ბუნებაზე "იმ ღვთისმსახური შვილის არსებაში, რომელსაც სასულიერო სემინარია ჰქონდა დამთავრებული" (ლალი თიბილაშვილი).

შიო, როგორც შემოქმედი, თავისი ეპოქის შვილი იყო და იმ დროის სოციალური ტკივილების თავისებური სეისმოლოგი ბურჟუაზიული ქალაქის ყოფით აღშფოთებული მწერალი ვერ მშვიდდება, უნდა უფრო ღრმად შეიჭრას მის ცხოვრებაში მეტი სისრულით დაანახოს მკითხველს მისი უმსგავსო, ადამინთა გახრწნილი პირობები. სწორედ ასეთი პირობების ფონზე შიო თავის ფსიქოლოგიურ ეტიუდში "მომილოცნია ახალი წელი" გვიჩვენებს ბნელ, ნესტიან სარდაფში, დროზე ადრე დაბერებულ, წელში ორად მოხრილი, ჩულის ნაგლეჯებში გახვეული დედაბრის სახეს. მიტოვებული, ცხოვრებისაგან დაჩაგრული "დედაბერი მწარე ფიქრებს მისცემია. მწერალი აღგვიწერს ჩამომდნარ ქალს, სახე ხან გაეშლებოდა ხან ჩაუნაოჭდებოდა". მისი ეს ტანჯვა გამოწვეული იყო მწარე ცხოვრებისგან. ეს იყო ქალი, რომელსაც ცხოვრება დაუმახინჯეს ჯერ კიდეც ახალგაზრდა უსამართლოდ გაწირეს "ჩემი გულწრფელი გრძნობა უსინდისოდ შემილახესო", ამბობს - ახლა უკვე მეძავად ქცეული ქალი ის, როგორც ფიზიკურად, ისე სუ-

ლიერად იტანჯება. მძიმე რეალბამ ქალი იქამდე მიიყვანა, რომ ის არამცთუ ღმერთზე ხელს იღებს, არამედ სიკვდილსაც კი ნატრობს. "ჩემი წარსული ცხოვრებისათვის მარგუნე ეს დღე?... ჩემი წარსული ცოდვად მიგაჩნია და იმისთვის მსჯი? უმანკო 16 წლის ქალს რა უნდა მომეგვარებინაო" ასე მიმართავს ქალი ღმერთს. ის არაფერს აღარ ელის წუთი-წუთ მომსვლელი ახალი წლისგან და იქამდე მიდის, რომ თავს იკლავს "ხა, ხა, ხა მომილოცნია ახალი წელი" და თვითონაც ცეცხლს მისცა თავი.

ნოველაში "აზრეშუმის ცხვირსაცოხი" მწერალი კიდევ ერთხელ ააშკარავებს ადამიანთა ჭიდილს. ბურჟუაზიული ყოფის დამხოვის აუცილებლობას ნოველის მიხედვით, უპატრონო ბავშვი თამრო იშვილეს, არა კაცთმოყვარეობის არამედ ბავშვის არაადამიანური, უსინდისო ექსპულატაციის მიზნით. 16 წლამდე უპატრონო თამრო "დედობილის" ხელში ყოველივე მძიმე საქმეს აკეთებს მისთვის უცხოა "დედობილის" მხრიდან სითბო და ალერსი. დედაბერმა თამროს აღარც ეს აკმარა, როდესაც გოგონა 16 წლის გახდა სხეულის ვაჭრობისკენ უბიძგა. თამრო თავისი უმანკოებისგან, გამოუცდელობისგან გამომდინარე სურვილის მიუხედავად, ვერ შეებრძოლა დედაბრის მზაკვრულ გეგმას "ამიხვიეს პირი, რომ აღარ მეყვირა, გამიკრეს ხელები, შემკრეს მაგრა... ხომ ხედავ მე სიცოცხლის ღირსი აღარ ვარო" გულის ტკივილით ამბობს საბრალო ქალი.

მწერალმა ნოველაში ორი სახე გვიჩვენა ქალისა: ერთი თამროს სახით, რომელიც უუფლებო, ხელმოცარული არსება იყო კაპიტალისტური ცხოვრების პირობებში, რომელიც სულ ახალგაზრდა ეზიარა იმ მძიმე განაჩენს, რომელსაც სხეულით ვაჭრობა გულისხმობდა. მეორე კი - "თამროს დედობილი" რომელიც სოციალური ყოფის მძიმე სურათის ერთ-ერთი უსინდისო შემოქმედი იყო. მოძალადე, უმანკო, გამოუცდელ ადამიანზე რომელსაც არაერთი თამროსთანა ეწირებოდა.

ნუთუ ძალიან განსხვავდება სხეულის ვაჭრობისგან შიო არაგვისპირელის ეტიუდში "სულ ერთია!" წარმოდგენილი სიუჟატი რომელსაც ისევ და ისევ ფეოდალთა წრის წარმომადგენლები ჰქმნიდნენ.

ნოველის მთავარი გმირი თეკლა მაღალი წრის თავადის ქალის ტიპიური სახეა. ის თავდავიწყებით უყვარს კიკოს, თავის მხრივ თეკლაც არ არის გულგრილი კიკოს მიმართ, მაგრამ გრძნობა მეორეხარისხოვანია ფეოდალთა წრეში, თეკლასთვისაც უპირველესი წოდება იყო, რომელსაც, თავადთა შეფასებით, წინ ვერაფერი აღუდგება. უყვარს, მაგრამ თეკლა ვერ გახდება კიკოს ცოლი. თეკლას სახე კარგად ვლინდება მისივე ფიქრებში: "ოხ რა უცნაური გვარია ხეველი. ახ, რატომ ეს გვარიც ისე არ ბრწყინავს, როგორც მამაჩემისაო...! აი ეს იყო მთელი უბედურება ის ჩატეხილი ხიდი, წოდებათა შორის, რომელმაც მრავალი თეკლასთანა შობა. თეკლა ხომ მამის მხრიდან უკვე მაღალი წოდების კაცისათვის იყო გამზადებული რომელთანაც ვერ მოიპოვა თავადის ქალმა ბედნიერება, მაგრამ უკვე გვიანი იყო, აღარ აღმოჩნდა კიკოს მისი გრძნობის გამზიარებელი. შიომ თეკლას მაგალითზე გააშიშვლა ფეოდალთა პატივმოყვარე სული.

შიოსთან ლამის გაუცხოვებულია ადამიანთა რომანტიკული დამოკიდებულება ზოგიერთ მის ნოველაში სიყვარული მხოლოდ პოეტური თავის მოტყუებაა, ერთგულებისა და ღალატის თავგანწირული ბრძოლა. ამგვარი ურთიერთობის კრედოს მწერალი კიდევ უფრო აღრმავებს ნოველაში "ხითხითებს და ხითხითებს". ანა, თავადი ქაიხოსროს ცოლი მოღალატეა. ის ღალატობს ქმარს ისე, რომ ქაიხოსროს ეჭვი არ ეპარება ცოლის ერთგულებაში. ანა თავად ამბობს: "ქაიხოსრო ისეა დარწმუნებული, რომ ერთ საბანქვეშაც რომ გვნახოს სიამოვნებით გაიცინებს და სრულებითაც არ შემოიტანს ეჭვს ჩემზეო". მწერალმა გვიჩვენა მძიმე რეალობა, ოჯახური სიმტკიცის რღვევა, რომლის თავი და თავი ნოველაში ქალია, ანას სახით.

"ზუუ! კვნესით შემომზუზუნა შემოდგომის ცივმა და სასტიკმა ქარმა და თან კარებსა და სარკმელის ჩარჩოებს რაკრაკი დააწყებინა".

თითქოს ბუნებაც გრძნობდა ბათოსა და ტიტკოს უბედურებას. მწერალმა ფსიქოლოგიურ ეტიუდში "ქარი კი ამ დროს ზუოდა. კვნესოდა და გმინავდა" გვიჩვენა, ერთი შეხედვით, უწყინარი, ერთგული, სიყვარულზე დაფუძნებული ოჯახი. ცოლზე - უსაზღვროდ შეყვარებული ქმარი - ტიტკოს სახით, რო-

მელიც მომაკვდავი ცოლის ზღურბლთან ზის, სიცოცხლის ბოლო წუთებს უთვლის ფერმიხდილ ბათოს, როგორი ღრმა და უსაშველოა მისთვის ეს ტკივილი, მაგრამ ცოლის სიკვდილის მოლოდინზე უფრო მწარე მისთვის კარზე ის საბედისწერო ზარი აღმოჩნდა, რომელიც ამხელს ბათოს დალატში. ტიტკო უცნობის წერილისგან გაიგებს ცოლის დალატის შესახებ. შეიტყობს, თუ როგორ ატყუებდა ბათო მას. თამაშობდა ერთგულებას მაშინ, როცა ბათო ღრმად იყო ცოლის ერთგულებაში დარწმუნებული. მწერალმა სოციალური ყოფის მიმღე სურათის ფონზე შექმნა მოდალატე ქალის სახე. საბოლოოდ კი, მისი ფიზიკური განადგურებით, ვფიქრობთ, განაჩენი გამოუტანა დალატს, როგორც უდიდეს დანაშაულს იმ დიდი საგანძურის წინაშე, რომელსაც წმინდა ოჯახი ჰქვია.

ნოველაში "ბეჩა რადა მკლავ?" ქალი სულ სხვა რაკურსით არის წარმოდგენილი. ახალგაზრდა ქალი მოსთქვამს, იმის გამო, რომ ამ ქვეყანაზე ყველა მამაკაცი ცდილობს ქალის დაუფლებას, მაგრამ ეს მხოლოდ წუთიერია. მისთვის გაუგებარია, ბედნიერება რატომ არის ასეთი ძნელი მისაღწევი. თინასთვის ბედნიერება მხოლოდ ოცნებებში მოდის და ის ლანდად რჩება. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტი ის, რომ თინასთან ადამიანები მრავლად შემოერია ჩვენს გაუცხოებულ ყოფას.

მარტოობის თანდაყოლილი განცდა შიშის ზარს სცემს ადამიანს, ის ცდილობს, გაექცეს და თავი დააღწიოს ამას. ასეთ დროს ჩვეულებრივ ადამიანები მეორე ადამიანისკენ მიილტვიან. ასეთ გაუგებრობაში აღმოჩნდა ნოველის "მელოს დღიურებიდან" მთავარი გმირი მელო 23 წლის გოგონა, რომელსაც მარტოობამ დარია ხელი. ის მიილტვის იმისკენ, რომ იპოვოს ღირსეული მეორე ნახევარი, მაგრამ გული ერთს, გონება კი მეორეს კარნახობს. ეშინია წლების მატების "ნეტა, ეს რა მემართება? რაც დრო მიდის და ხანი მემატება, გულს რაღაც აკლდებაო". ეს შინაგანი უიმედობა მტკივნეულ ხასიათს იღებს და საბოლოოდ სასოწარკვეთაში აგდებს ახალგაზრდა ლამაზ ქალს. მელოსთან ქალი არც თუ ისე ცოტა იყო ძველად და არის ახლაც. ერს სიყვარული აკლია.

ამრიგად, რითი შეიძლება ყოფილიყო შიო არაგვისპირელის შემოქმედებაში ქალის პარადიგმის ასეთი ძლიერი წარმოჩენა განპირობებული? - სათუო არ არის ის, რომ მწერალი, როგორც შემოქმედი, სოციალური ყოფის იმ ნაკლოვანებებს, როგორც ბურჟუაზიულ ეპოქას ახასიათებდა. ადამიანთა გაწირვა, გაციებული სიყვარული, მტკიცე ოჯახის რღვევა. ამ ტკივილებით გამსჭვალულმა მწერალმა გვიჩვენა სულის სარკედ თავისი ნოველები. სწორედ სოციალური ყოფით შეძრწუნებული შიო წერდა იმ ნოველებს, სადაც ქალი, მსხვერპლად გვევლინება. ის ამავედროს, კარგად აცნობიერებდა იმას, რომ ყოველი ადამიანის ქვეცნობიერში ჩამალულია ბოროტი ვნებები, რომელებიც სუსტი ნებისყოფის ადამიანიაში იოლად იღვიძებენ და უწამლავს სულს. რიგ შემთხვევაში ქალთა მიმართ მწერლის არც თუ ისე ლოიალური დამოკიდებულება გამოწვეული იყოს იმით, რომ შიო სიყვარულში სვებედიანი არ ყოფილა, როგორც მისი ბიოგრაფიიდან ირკვევა, არაერთი ქალი ეტრფოდა შიოს, მათ შორის, შიო მღვიმელის ძმისშვილი თამარ ქუჩუკაშვილი, სწორედ თამარის თვითმკვლელობის გამო გული აიყარა ქართულმა საზოგადოებამ, შიოზე და მის შემოქმედებაზე. თითქოს და თამრომ შიოსგან უარყოფილი სიყვარული ვერ აიტანა და თვი დაიხრჩო. ეს შიოსათვის დიდი სულიერი ტრამვა იყო. საზოგადოების ასეთმა უდიერმა დამოკიდებულებამ შიოს საბოლოოდ ჩაუკლა გული. ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში ინახება შიო არაგვისპირელის ერთი ნაწარმოების ნაწყვეტი "მეარაკე მიტუას", რომლის ბოლოში მწერალს ფანქრით მიუწერია თავისი გულისტკივილი "ქალს არ უნდა დაუახლოვდე... თამროს თავის მოკვლა, საზოგადოების უსინდისო მოქმედება, ჩემი განდევნა..."

მართლაც მწარე რეალობამ, გაცრუებულმა გრძნობებმა შიოს სული მოუწამლა, ალბათ, არც გასაკვირია მისი ასეთი დამოკიდებულება ცხოვრებასა და ქალის ფენომენზე. თუ სადმე შიომ სიყვარულისთვის მებრძოლი ქალი გვიჩვენა, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ რეალობაში გაცრუებულმა ამაღლებული გრძნობის ძებნა მხატვრულ სამყაროში დაიწყო.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შიო არაგვისპირელს შესწევს ძალა, ჩასწვდეს ადამიანის სულის სიღრმეს, ერთი დეტალის მეშვეობით მოქსოვოს ადამიანის, კერძოდ კი, ქალის ხასიათი ისე, რომ ვიგრძნოთ არამარტო პერსონაჟის სული, არამედ ემპირიული სინამდვილე თავისი მრავალმხრივი ბუნებით. სწორედ ამიტომაც არის შიოსთან ქალთა პერსონაჟის ასეთი სიჭრელე. ქალი, როგორც მეუღლე, მოღალატე, მეძავი, მებრძოლი სიყვარულისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. შიო არაგვისპირელი „ერთტომეული“ თბილისი 1970.
2. ვიოლეტა ცისკარიძე „უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიის საკითხები“ თბილისი 1972.
3. რევაზ მიშველაძე „უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორია“ თბილისი 1998.
4. მიხეილ ზანდუკელი „შიო არაგვისპირელის ცხოვრება და შემოქმედება“ თბილისი 1966.
5. ვახტანგ კოტეტიშვილი „შიო არაგვისპირელის შემოქმედება“ თბილისი 1919.

ნინო სარსიძე, სოფო ყავრალიშვილი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი
ხელმძღვანელი: პროფესორი ნინო მინდიაშვილი

დარიანული ციკლის პარადიგმა

„ცისფერყანწელები“ ლიტერატურისმცოდნეობაში ქართული პოეტური ფორმების, პოეტური ესთეტიკის ნოვატორებად ითვლებიან. მათი მიზანი იყო, სიმბოლოების საშუალებით უხილავი სამყაროს წვდომა. ქართული პოეზიის განახლების გზით, მთელი ქართული კულტურის აღორძინება.

ისინი ეყრდნობოდნენ, რა ქართული პოეზიის საფუძველს, უთავსებდნენ ევროპული სიმბოლიზმის ნაკადს, ქართული პოეზიის ფორმებს. „ცისფერყანწელები“ სიმბოლიზმის საშუალებით, უპირისპირდებოდნენ რეალობას.

„ცისფერყანწელებმა“ ახალი სიტყვა თქვეს და ახალ საფეხურზე აიყვანს ქართული პოეზია, განსაკუთრებით საყურადღებოა პაოლო იაშვილის შემოქმედება. იგი ყოველთვის ბოლომდე ამბობდა თავის სათქმელს არ ეშინოდა სიახლის და არ გაურბოდა მას, ცდილობდა ყოველთვის ებრძოლა ცვლილებისათვის.

„ცისფერყანწელები“ თავისუფალი პოეტები იყვნენ, მათ არ ადარდებდათ საზოგადოების რეაქცია რომელიც არ დააყოვნებდა და მკაცრ რეაგირებას მოახდენდა მათ გაბედულ ნაბიჯზე. ეს იყო ახალი სიტყვა და გადატრიალება ქართულ პოეზიაში.საინტერესოა ის გარემოება რომ, ამ პერიოდში ლიტერატურულ დისკურში ჩნდება ახალი ლიტერატურული მისტიფიკაციის ფაქტი, რომელიც დღემდე საზოგადოებაში დავის საგანია, საუბარია „დარიანული“ციკლის ლექსებზე.

დარიანული ციკლის ლექსები პირველად 1915 წელს პაოლო იაშვილის კრებულში გამოქვეყნდა. ლექსებმა საზოგადოების უმეტეს ნაწილში უარყოფითი რეაქცია გამოიწვია.

„ელენე დარიანი სამიშია, მას ტემპერატურა აწეული აქვს... სულიერი საუნჯე ელენე დარიანს არ გააჩნია, მას არ მოეპოვება ქალური მოკრძალება, სინაზე. ტლანქია და ის ჩვენს პოეზია არაფერს მატებს.“ - ასე ტიპის სტატიები იწერებოდა გაზეთ „სამშობლოს“ რედაქციაში. როდესაც ამ ლექსებს პაოლო იაშვილი კითხულობდა, დარბაზი პროტესტის ნიშნად რამდენიმე ქალმა დატოვა.

მოწინააღმდეგე მხარესთან ერთად ამ საკითხს მომხრე მხარეც გამოუჩნდა. საზოგადოების აზრი გაიყო ორნაწილად, ნაწილი მიიჩნევდა, რომ ეს გარყვნილება იყო და მიუღებელი იყო მათთვის, მაგრამ ნაწილი, ძირითადად „ცისფერყანწელები“ მიიჩნევდნენ, რომ ეს ლექსები ახალი სიტყვა იყო ქართულ პოეზიაში.

გასული საუკუნის მიწურულს ლიტერატურათმცოდნე გ. ჯავახიშვილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ „დარიანული ციკლის“ ავტორი არა პაოლო იაშვილია, არამედ ელენე ბაქრაძეა. ლიტერატორმა მკვლევარმა გიორგი ჯავახიშვილმა მოიძია ელენე ბაქრაძის პირადი არქივი, სადაც მფლობელი ითხოვდა, რომ მისი გარდაცვალებიდან რამდენიმე წლის შემდეგ უნდა გაეხსნათ. „ელენე პირაპირ წერს, რომ დარიანული ციკლის ლექსები მას ეკუთვნოდა, სახელისა და გვარის შენიღბვას კი ასე ასაბუთებს, რამდენადაც ასეთი ლექსების ავტორი ქალი იყო. არ სურდა აღვიახსნილი ქალის სახელი ჰქონოდა . ის ერიდებოდა ხალხის ბასრი კალმის მსვერპლი არ გამდარიყო და კრიტიკის ქარცეცხლში არ გატარებულიყო. ელენე იმასაც აღნიშნავს, რომ რადგანაც მას არ უნდოდა საკუთარი ვინაობის გამხელა, ლექსებს პაოლო იაშვილს უგზავნიდა და აკითხებდა“.

საარქივო მონაცემების მიუხედავად, თანამედროვე ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში ერთი აზრი დომინირებს- არანაირი ელენე ბაქრაძე, დარიანული ციკლის ლექსების ავტორი პაოლო იაშვილია.

ლიტერატურათმცოდნეობის ნაწილი ლექსების ავტორად პაოლო იაშვილს მიიჩნევს. მკვლევარი თამარ პაიჭაძე წერს, რომ უთუოდ ამ ლექსებია ავტორი პაოლო უნდა ყოფილიყო, რადგან იგი არტისტული ბუნების იყო, შინაგანად ყველასაგან განსხვავებული ადამიანი, ჰქონდა გარდასახვის დიდი ნიჭი.

დარიანული ციკლის ავტორობის შესახებ საკმაოდ დიდი და მიზნელოვანი ლიტერატურული კვლევა ჩაატარაზენებ ლომჯარიამ და ასაბუთებს არგუმენტებით, რომ ავტორი პაოლო იაშვილია. იგი ამბობდა იმასაც, რომ ელენე ბაქრაძე პაოლოს გაუმართავ ლექსებას აწვდიდა, პაოლო კი უსწორებდა მას. თუმცა კრიტიკოსმა ლალი ავალიანმა ეს მოსაზრება უარყო და ამბობს, რომ პოეტი ამას არ იკადრებდა, რადგან არაფერი სჭირდა საამისო, რომ რედაქტირებით გაეთქვა სახელი.

წლების განმავლობაში მიმდინაორობდა დავა დარიანული ციკლის ავტორობის შესახებ. არამარტო ლიტერატურათმცოდნეებში იყო განსხვავებული აზრი, არამედ მათ შთამომავლებშიც. ეს დავა დღემდე არ შეწყვეტილა.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ პაოლო იაშვილი თავისი შემოქმედების იმდენად მაღალსაფეხურზე იყო, რომ არ სჭირდებოდა ვინმეს ლექსები მიეთვისებინა, თუმცა მას სჭირდებოდა, რომ ფსევდონიმს ამოფარებოდა. ეს თოთხმეტი ლექსი იყო ახალი სიტყვა ქართულ ლიტერატურაში, რომელმაც საზოგადოების აღელვება, აღფოთება და ზოგიერთ შემთხვევაში აღფრთოვანებაც კი გამოიწვია. ეს იყო თამამი განაცხადი XX საუკუნის 20-იან წლების ქართულ პოეზიაში. საინტერესოა და თვალში საცემია ელენესა და პაოლოს ურთიერთობა „დარიანული ციკლის“ მიღმა.

ცნობილია ისიც, რომ პაოლოს სიყვარული არათუ უპასუხო არ იყო, არამედ ელენეც თავდავწყებით ეტრფოდა მას.

მიუხედავად ორმხრივი მგზნებარე სიყვარულისა, მათი დაქორწინება, რატომღაც, არ მომხდარა, ელენე მშობლებს გოგიბერიშვილზე გაუთხოვებიათ. ამის შემდეგ პრესაში მისი ლექსები ელენე ბერიშვილის სახელით იბეჭდებოდა. ბერიშვილთანანაცხოვრების პერიოდში ელენეს პაოლოსთან იდუმალი მეგობრობა არ შეუწყვეტია. გოგი ბერიშვილს დიდ ხანს არუცოცხლია, მაგრამ, როგორც ჩანს, ბერიშვილის მეუღლეობის პერიოდშია შექმნილი ცეცხლოვანი დარიანული ლექსები.

მართალია, ქართული მენტალიტეტისათვის მიუღებელია გათხოვილი ქალისა და დაოჯახებული მაკაცის იდუმალიმეგობრობა, მით უმეტეს მაშინ, თუ ისინი ყმაწვილობაში თავდავიწყებით ეტრფოდნენ ერთმანეთს, მაგრამ უსიყვარულოდგათხოვილი ელენე ამას არ დაგიდევდათ, მას უყვარდა პაოლო და მზად იყო, ამ სიყვარულისთვის ყველაფერი შეეწირა.

„დარიანული ციკლის“ შემოქმედება 14 ლექსისაგან შედგება, თიოეულში კარგად არის წარმოდგენილი ქალის სულიერი მდგომარება, შინაგანი სამყარო, ქალის ფსიქოლოგიის ღმა ცოდნა.

პაოლო იაშვილმა ამ ლექსებში ქალის ვნებები, განცდები, ლტოლვა მამაკაცისადმი, გააშიშვლა და ყოველგვარი შენიღბვისა და შეფუთვის გარეშე წარმოაჩინა. საზოგადოება მზად არ იყო მიეღო ასეთი ტიპის ლექსები და XX 20-იანი წლებისთვის მეხის გავარდნის ტოლფასი ისყო ამ ლექსების გამოშვიურება.

ლექსი „პირამიდებში“ 1916 წელს არის დაწერილი, ისევე როგორც ყველა დარიანული ციკლის ლექსში ამ ლექსშიც არის გატარებული სიყვარულის, ლტოლვის, ერთმანეთისკენ მისწრაფების სურვილი. ამას სწორედ ეს ციტატა მოწმობს „იქ სადაც სდუმან პირამიდები, მზის ქორწილის დროს მე დაწვეები მზისფერ სილაზე“.

„მაგრამ შემომხსნა ქმრის ხელებმა ტანზე ქამარი“ ეს ტაეპი ადასტურებს და ხაზს უსვამს იმ აღელვებულ მდგომარეობას, რომელსაც მწერალი განიცდის წერის დროს, ეს ლექსიც დაწერილია 1916 წელს, სახელწოდებით „უვერტიურა“.

პოეტი ასევე თავის მტანჯველ, მწველ სიყვარულზე საუბრობს და „წყევლის“ იმ ადამიანს, რომელმაც გაიმეტა სიყვარულის მონობისათვის, უიმედო სიყვარულისთვის. „ჩემს დამტანჯველს ღმერთი დასჯის, ქაჯად გადაგვარებით“.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ ლექსებიდან ჩანს თუ როგორ კარგად შეისისხლორცა პოეტმა გრძნობა, რომელსაც ქალი მამაკაცისადმი სიყვარულის დროს განიცდის. სატრფიალო, ვნებით სავსე ლექსები, საბოლოოდ ძალიან დიდ და თამამ სიტყვად აღიარეს.

ყოველივე ზემო თქმულიდან გამომდინარე ვფიქრობთ, რომ „დარიანულ ციკლის“ ლექსების დაბეჭდვა ქართული ლიტერატურაში პოზიტიური მოვლენა იყ, იმ თვალსაზრისითაც რომ არსად მანამდე წინ არ არის წამოწეული ქალის ინტიმური, სულიერი სამყარო და ამდენად ქალი სხვა რაკურსში არის წარმოჩენილი. რაც შეეხება ამ ლექსების ავტორის ვინაობას დავას, ჩვენ უდავოდ ვფიქრობთ, რომ ამ ლექსების ავტორი პაოლო იაშვილია და სრულიად ვიზიარებთ მკვლევარ თამარ პაიჭაძის მოსაზრებას ამ საკითხთან დაკავშირებით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. თამარ პაიჭაძე „ლიტერატურული წერილები“ თბილისი თსუ 2003.
2. ლალი ავალიანი „კვლევები პაოლო იაშვილზე“ თბილისი, 2008
3. პაოლო იაშვილის ლექსთა კრებული თბილისი 1989.

პოეტიკის ფუნქცია ვალერიან გაფრინდაშვილის „ლირიკის ელიზეუმის“ მიხედვით

ცისფერყანწელთა როლი ქართული ლექსისა და ზოგადად, ქართული კულტურის „ევროპული რადიუსით“ გამართვის საქმეში უდიდესია და დღეს ამაზე არავინ კამათობს. „სამშობლოს ჯვარზე პოეზიით დალურსმულემა“, როგორც მათ ნიკოლო მიწიშვილი იხსენიებდა, სალექსო ფორმის, რითმის, რიტმის რევოლუცია მოახდინეს. „უმთავრესად კი მაინც პოეტის, როგორც იდუმალ კოსმიურ სამყაროსთან ორგანულად წილნაყარი არსების, როგორც მისტიკური ქვეყნის დემიურგის, „ქიმერების ამორდიის“ როლის აღდგენა და წინ წამოწევა-ეს იყო „ცისფერი ძმობის“ შემოქმედებისა და მოღვაწეობის უპირველესი საფეხრალი“. [მ. ჯალიაშვილი]

„მე მეჯავრება პოეტისთვის რამე ხელობა.

მისთვის ვიწამე სამუდამოდ ეს კარიერა

სიგიჟე, ჭლექი, ალკოჰოლი და თვითმკვლელობა“

-წერს ვალერიან გაფრინდაშვილი-ცისფერი ორდენის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, ვინც სიმბოლიზმს სიცოცხლის ბოლომდე ერთგულად ემსახურა.

მოდერნიზმის ქარცეცხლში თავით-ფეხთამდე გახვეული ჭაბუკები ძალ-ღონეს არ იშურებდნენ, რათა ქართველ მკითხველს ერწმუნა, რომ მართალია, სიმბოლიზმი ევროპული მოვლენა იყო, მაგრამ ჩვენს ნიადაგზეც ფესვს ძლიერად მოიკიდებდა. ისინი იბრძოდნენ ძველ ღირებულებათა გადაფასებისა და ახალი აღმაფრენით ტკბობისათვის. „როგორც რუსთველის „მოწყვეტილმა“ სიტყვამ დაავგირგვინა უნივერსალური საქართველო, ასევე გვირგვინით უნდა შეემკო იგი ახალ სკოლას-სიმბოლიზმს. მას უნდა გაეცხოველებინა მდიდარი ფერები, სურნელოვანი ხმები, გაეხალისებინა ძველი, ობით დაფარული თუ დაჟანგული. სიმბოლიზმს უნდა აემაღლებინა ქართული ენის ემოციური მნიშვნელობა“. [მ. ჯალიაშვილი].

სიმბოლიზმის არსისა და მისი მშვენიერების უფრო ნათლად შესაგრძნობად, გარდა შესანიშნავი ლექსებისა, ცისფერყანწელები წერილებს, მანიფესტებს და სხვადასხვა სახის პუბლიკაციას აქვეყნებდნენ იმდროინდელ პერიოდულ პრესაში.

ჩვენი აზრით, სიმბოლიკური პუბლიცისტიკის შესწავლა საკმაოდ მნიშვნელოვანია, რათა ქართველ მოდერნისტთა ხედვას, მათ შემოქმედებით დისკურსს უფრო ფართოდ გავცნოთ, გავაცნობიეროთ მათი წერილების როლი და ღირებულება ქართული ლიტერატურისათვის. ასევე ვიმსჯელოთ, მოდერნისტული პუბლიცისტიკა მხოლოდ ავტორთა პოეტური შემოქმედების დანამატია, თუ დაუმოკიდებელი, თვითმყოფადი ფასეულობა გააჩნია.

ამის ნათელსაყოფად განვიხილავთ ვალერიან გაფრინდაშვილის წერილს „ლირიკის ელიზეუმი“, რომელიც 1923 წელს „მეოცნებე ნიამორების“ მე-9 ნომერში გამოქვეყნდა და ვფიქრობთ, პოეტის მსოფლმხედველობის შესწავლისთვის საკმაოდ მნიშვნელობისაა.

თავად წერილის სათაურს რაც შეეხება: როგორც ვიცით, ელიზეუმი ეს სამოთხე, არამიწიერი ნეტარების საუფლოა. როგორც ჩანს, პოეტს სურს, ჩვენთვის უცნობ, იდუმალ სამყაროში გვიმეგზუროს, ლირიკის საუფლოში, სადაც მხოლოდ შემოქმედი და მუზები ივანებენ. ვალერიანი თავის ლექსში „FATA MORGANA“ ამავე ელიზეუმს საკმაოდ ლამაზად და მისტიკურად აღგვიწერს:

„ათრთოლებული დაისი არის,
ელიზეუმი ნაცნობ ლანდების,
და აქვითინდენ სიმები ქარის,
და ქრიან ქარნი სარაბანდების“.

ახლა კი კვლავ წერილის შესახებ: „ეს შემდეგ: აპლოდისმენტები, ხმაურობა, აღტაცებული, ან მრისხანე სახეები. მაგრამ პოეტი შემოქმედების დროს ყოველთვის მარტოა“- ამ სიტყვებით იწყებს წერას ავტორი. თუ ზემოთ მოყვანილი ლექსის სტრიქონებსაც გავითვალისწინებთ, ლირიკის ელიზეუმში, იქ, სადაც ათრთოლებული დაისია, ნაცნობი ლანდები და ქარის სიმები ქვითინებენ, ამ ყველაფრის სრულად შესაგრძობად საჭიროც კია მარტოობა, რათა შეიქმნას ის საუთი, ინტიმური გარემო, რომელშიაც მხოლოდ პოეტი და მუზები ურთიერთობენ.

ასე ყალიბდება ლიტერატურული შედეგები, მაგრამ შემოქმედის ცხოვრებაში ზოგჯერ დუმილის დროც დგება, რადგან იბადება შეგრძნება, რომ სიტყვები ზედმეტია და მხოლოდ დუმილია ერთადერთი ჭეშმარიტება. „ჩვენ ვხედავთ, რომ არტურ რემბომ უკანასკნელად დადუმება არჩია. ლირიკული პოეზია ენათესავება სიჩუმესეპოსზე და დრამაზე უფრო. არა სიჩუმე სინამატოგრაფის ლანდების, არამედ სიჩუმე ცეცხლის, რომელსაც შეუძლია, როგორც ქარს, შექმნას ხმაურობის და გრიგალის ოპერა“- წერს ვალერიან გაფრინდაშვილი და თითქოს, თავის მომავალ ბედისწერას წინასწარმეტყველებს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, წერილი 1923 წელს არის დაბეჭდილი. სწორედ იმ წელს, როცა თავად ვალერიანმა გააცნო საზოგადოებას ლოზუნგი „მიწასთან დაბრუნების შესახებ“, რაც სიმბოლისტური ხანის დასასრულს გულისხმობდა და არა ლიტერატურის, არამედ მხოლოდ იმდროინდელი პოლიტიკური ვითარების გამოძახილი იყო. სწორედ ამ თეორიის თანახმად დადუმდა ვალერიანი სიცოცხლის ბოლო წლებამდე, თუმცა ახლა უკვე ადვილად სავარაუდოა, რომ მისი სიჩუმე იყო „არა სიჩუმე სინამატოგრაფის ლანდების, არამედ სიჩუმე ცეცხლის, რომელსაც შეუძლია, როგორც ქარს, შექმნას ხმაურობის და გრიგალის ოპერა“. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დიდი ხნის ნაგროვებმა სიჩუმემ ბოლოს კვლავ სიმბოლისტურ ლექსებად ამოხეთქა ვალერიან გაფრინდაშვილის შემოქმედებაში.

„ლირიკის ელიზეუმის“ ავტორი მუსიკას პოეზიის სიმაღლეზე აყენებს. ეს არც არის გასაკვირი, რადგან პოლ ვერლენის უკვდავი ფრაზა „მუსიკა უპირველეს ყოვლისა“ სიმბოლისტთა ერთგვარ ლოზუნგად იქცა. ისინი ლექსის მუსიკასაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. ვალერიან გაფრინდაშვილი მიიჩნევს, რომ ლირიკისა და მუსიკის მომწუსხველ ძალას ადამიანის ნირვანაში გადაყვანა შეუძლია. „ლირიკაში ისვენებენ ყველა ტრაგედიების გმირები: მეფე ლირი, ოფელია, მაკბეტი, დეზდემონა, თვით ბაირონი, თვით შელლი, და თვით ედგარ პო-ლირიკა სამოთხეა და ამ სამოთხეში შეხვედრა შორეული მიზანია ყველა ლიტერატურული გმირების“-წერს გაფრინდაშვილი.

პოეტი ლირიკის უსაზღვრო შესაძლებლობებზეც საუბრობს. „ლირიკას შესწევს ძალა ერთი აწეული სონეტით დაუკარგოს სიმძიმე როდენის სახელს და აქციოს ის მთავარანგელოსად“-ამბობს ის და პოეზიას ხელოვნების ყველაზე უნივერსალურ სახეობად გაიაზრებს. ლირიკის ელიზეუმის მეფედ კი ბოდლერს ასახელებს.

გაფრინდაშვილი იმასაც აღნიშნავს, რომ ჭეშმარიტ ლირიკოს შემოქმედს ხანგრძლივი და ია-ვარდით მოფენილი სიცოცხლე არ უწერია. აქ კვლავ მისი „ბოჰემის მონოლოგი“ გვახსენდება:

„დღეგრძელ მაღარმეს მირჩვენია ისევ ლაფორგი.
პოეტისათვის მე ვიწამე ეს კარიერა:
სიგიჟე,ჭლექი და თვითმკვლელობა“.
და ისევ:

„სამარცხვინოა პოეტისთვის დიდი წიგნები,
დიდი სიცოცხლე“!

ცხადია, რომ პოეტს ხანმოკლე, მაგრამ ვნებითა და ტკივილით აღსავსე, ქარიშხლიანი სიცოცხლე ხიბლავს, ბოჰემური, მტანჯველი, მაგრამ აზრიანი.

„ლირიკოსის კარიერა ჩქარია და ნერვიული“-წერს ვალერიანი, მაგრამ დასძენს: „ლირიკა არ არის მხოლოდ დაღუპვა, ლირიკის დაღუპული გმირები ისევ ლირიკაში პოულობენ თავშესაფარს. ვისაც თავისი თავი მიაქვს ლირიკის სამსხვერპლოზე, ისინი უფრო ადრე ეთხოვებიან სამყაროს, მაგრამ ლირიკა უთმობს მათ უძვირფასეს ტახტებს“.

გაფრინდაშვილი თავის წერილში იმასაც განმარტავს, რომ ლირიკა სავალდებულო არავისთვის არ არის. მას მხოლოდ საკუთარი ნებით უნდა მიუძღვნა თავი, რადგან პოეტის გზა ეს ეკლიანი გზაა გოლგოთისა და მისი ღირსეულად გავლის უნარი ყველა მოკვდავს არ შესწევს. ამიტომ არიან პოეტები გამორჩეულნი და მათი შრომისა და ტანჯვის საფასურიც განსაკუთრებულია. „ლირიკა არის დიდი ელიზეუმი გმირებისა და პოეტების, სადაც ნებივრობენ დიდებული ლანდები“-გვეუბნება ვალერიანი. ელიზეუმი-აი, უდიდესი საზღაური ლირიკოსებისა, მათი ამქვეყნიური ღვაწლის სანაცვლოდ.

ამ საინტერესო წერილით ვალერიან გაფრინდაშვილმა ეგრეთ წოდებულ „პოეტურ სამზარეულოში“ შეგვახედა, აღვიწერა ის განცდები და სირთულეები, რაც შემოქმედებით პროცესსსდევს თან. დაგვანახა, როგორი უნდა იყოს ჭეშმარიტი ლირიკოსი და ლექსის სამოთხეშიც გვამოგზაურა.

ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში მოდერნისტთა და ზოგადად, ჩვენთვის ცნობილ და საყვარელ შემოქმედთა პუბლიცისტიკის შესწავლა საკმაოდ მნიშვნელოვანია მათი პიროვნების, შემოქმედებითი პროცესისა და აზროვნების უკეთ შესაცობად, რაც საბოლოოდ მათი მხატვრული ტექსტების აღქმასა და გააზრებას გვიადვილებს, ეს კი ქართული ლიტერატურის უკეთ შესწავლის საქმისაკენ გადადგმული საკმაოდ ნაყოფიერი ნაბიჯია.

ჩვენს წერილს ვალერიან გაფრინდაშვილის „ლირიკის ელიზეუმის“ ბოლო სტრიქონებით დავასრულებთ, რომელიც ავტორმა რუს პოეტსა და დიპლომატს. თედორეტიუტჩევს დაუთმო:

„როგორც დეკემბრის ვეფხვი, მოვარდნილი სპარსეთიდან საქართველოში, ლირიკა ხშირათ დაიცხრილება ტყვიებით, მაგრამ მის განსასვენებლათ ვერ გამოდგება ურემი. საჭიროა შავი ბალდახინი ედგარის მორცენგერშტეინის ცხენებით. საჭიროა, როგორც პარტერი-დიდი ზღვა-დაისების ლოჟებით და უკანასკნელი ფარდით“.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ლიტერატურული ჟურნალები 1910-1920-იანი წლები; თბილისი, 2011.
2. „ქართული პოეზიის დენდები - ცისფერყანწელები“; მაია ჯალაიაშვილი; 2011.
3. „100 ლექსი“ ვალერიან გაფრინდაშვილი; თბილისი, 2010.

გრამატიკული სქესის გამოხატვის საკითხი ქართულ ენაში

როგორც ცნობილია, ქართულ ენაში სქესი გამოიხატება მხოლოდ ლექსიკურად, ისიც რამდენიმე ანტონიმური ერთეულის საშუალებით, მაგალითად, როგორცაა ხარი- ფური და სხვა. სალიტერატურო ენის განვითარების არც ერთ ეტაპზე ბუნებრივად არ არსებობდა ისეთი ენობრივი საშუალებები, რომლებიც გამოხატავდა სქესს გრამატიკულად(დანელია 1983: 94). ქართულ ენაში გრამატიკული სქესის გამოხატვის ცდა განაპირობა სასულიერო ლიტერატურის მთარგმნელობითმა გამოცდილებამ. კერძოდ, ელინოფილურ თარგმანებში ჩნდება ისეთი ფორმები, რომლებიც მდებდრობითი სქესის გამოხატველ სუფიქსებადაა გამოყენებული. ასეთებია -ა და -იდ სუფიქსები. ლექსიკური თვალსაზრისით სხვადასხვა პერიოდის ნაშრომებში გვხვდება შემდეგი ერთეულები: **მოაბელ-ა, იგ-ა, ჩჩვილ-ა, ნინველ-ა, ჭაბუკ-ა, მან-ა, წინასწარმეტყველ-ა, იგი-ა, ჭაბუკ-იდ-ი, ყრმ-იდ-ი, თითოეულ-იდ-ი**, და ა.შ. (დანელია 1983: 98- 106). მამრობითი და საშუალო სქესის სახელების შემთხვევაში არ გვაქვს სპეციალური ფორმები. ასეთი სახელები ითარგმნებოდა პირდაპირ, სქესის გამოხატველი აფიქსების დაურთველად. ერთი მხრივ, მდებდრობითი სქესის გამოხატველი ფორმები გრამატიკული თვალსაზრისით ადვილად გასაანალიზებელია, მაგრამ მნიშვნელოვანია საკითხისადმი კომპლექსური მიდგომა, იმ სხვაობათა და მსგავსებათა მეთოდურად გაანალიზება, რომლებიც კვლევისას წარმოჩნდება. ასევე განსასაზღვრია , რომელი პერიოდის ლიტერატურაში ჩანს ამგვარი ფორმები, როგორ ტექსტებშია მოცემული და დროთა განმავლობაში არის თუ არა ამ მხრივ, რაიმე ცვლილება. პირობითად შეიძლება გამოიყოს ორი ხაზი:

- 1) ეფრემ მცირისა და მისი შემდგომი პერიოდი (XI-XII ს.ს.);
- 2) ანტონ I კათალიკოსის მოღვაწეობისა და მისი შემდგომი პერიოდი (XVIII- XIX ს.ს.).

პირველი პერიოდი (XI-XII ს.ს.) გამოირჩევა მეტი სისტემურობითა და ფორმათა ქმნადობით. მდებდრობითი სქესის სახელთა ფორმები ხშირია ელინოფილური სკოლის თარგმანებში (დანელია 1983: 98). მეცნიერებაში მიღებული აზრის თანახმად, გელათისა და იყალთოს სკოლებში შესრულებულ შრომებს ჰქონდა უფრო მეტად ფილოსოფიური ფუნქცია, ვიდრე ლიტურგიკულად გამოყენებითი (კეკელიძე 1980: 420, 576), ამიტომ მოცემულ შემთხვევაში ავტორს შეეძლო, ელინოფილურ ტენდენციებს მიჰყოლოდა და ქრისტიანული შინაარსის ტექსტების ბერძნულიდან ქართულად თარგმნისას შინაარსობრივთან ერთად ფორმალური ეკვივალენტებიც შეენარჩუნებინა. აღსანიშნავია, რომ **ამ პერიოდში ჩანს სქესის გამოხატვისადმი კონცეპტუალური მიდგომა**, რადგან თარგმანებს ხშირად ურთავდნენ სქოლიო-კომენტარებს, რომლებშიც განმარტებული იყო ამგვარ ფორმათა მნიშვნელობა და დანიშნულება, ასეთი ნიმუშია თეოფილაქტე ბულგარელის „იოანეს სახარების განმარტების“ თარგმანის სქოლიო, რომელშიც წერია: „ცან, ვითარმედ ელლადელთა ჳმითა დედლად ითქუმის ესე სახელი [მარია] ვითარმედ ღმრთეება და მარია დედოფლად ითარგმანების, ებრაულისგან რა ელლზურად გარდამოიღებოდის“ (A-52, 91 b) (დანელია 1983: 100-101). შეიძლება ითქვას, ეფრემ მცირისა და მისი თანამედროვეების მიერ სქესის გრამატიკულად გამოხატვა ხორციელდებოდა მეტაენის სფეროში, რომელიც ნაკლებად იყო განკუთვნილი ეკლესიის რიგითი წევრებისთვის, ამგვარ ტექსტებს არ ჰქონდა (ან ნაკლებად ჰქონდა) პრაქტიკული ლიტურგიკული დანიშნულება. ამ პერიოდში მდებდრობითი სქესის გამოხატვა ხდებოდა მეცნიერული ტიპის ტექსტებში და მათი გამოყენება ექვემდებარებოდა გარკვეულ რეგულაციებს.

ქართულ ლიტერატურაში გრამატიკული სქესის გამოხატვის პირველი ნიმუშები დასტურდება ეფრემ მცირესთან. მას ელინოფილური სკოლის პრინციპთა გათვალისწინებით თავის ტექსტებში შეტანილი აქვს **ყრმაჲ, მდიდარაჲ, წინასწარმეტყველა, მეფეა** (დედოფლის მნიშვნელობით) და ამ ტიპის სიტყვები, რომლებიც გრამატიკულ სქესს გამოხატავენ, თუმცა ეფრემ მცირეს სქესის გამოხატვისთვის არ ჰქონდა მიცემული სისტემური სახე, შემოიფარგლებოდა მხოლოდ რამდენიმე ნიმუშით. ის ძირითადად ბინარულ სემანტიკას დებდა ამგვარ ფორმებში და სქესთან ერთად გამოხატავდა სხვა ისეთ კატეგორიას, რომელიც ბუნებრივი იყო ქართული ენისთვის. ამ მხრივ, უნდა აღინიშნოს გრიგოლ ღვთისმეტყველის 39-ე ჰომილია „ნათელთათვის“, რომელშიც მოხსენიებულნი არიან ტავროსის მკვიდრნი და საუბარია, რომ ისინი ქალღმერთ არტემის სცემენ თაყვანს. ამ ჰომილიის ეფრემისეულ თარგმანში წერია: „რომელთაგან პატივ-იცემების ღმერთაი და ესეცა **ქალწულაჲ**.“ აქ, ერთი მხრივ, აღნიშნულია, რომ საუბარია მდედრობითი სქესის საგანზე (როგორც „შეისწავებია“ მითითება), ხოლო, მეორე მხრივ სუფიქსი -ა გამოხატავს კნინობით ფორმას, რამდენადაც განსაზღვრებები ღმერთაჲ და ქალწულაჲ მიემართება წარმართულ, არაქრისტიანულ ღვთაებას. (ოთხმეზური 2011: 141) რაც შეეხება ჰომილიის ფუნქციურ დატვირთვას, მართალია, ის არის ლიტურგიაზე წარმოთქმული ქადაგება, მაგრამ ეფრემს ის უნდა ეთარგმნა ეგზეგეტიკურ-ფილოსოფიური ფუნქციის ტექსტად.

მე-20 საუკუნის ფილოლოგიურ კვლევებში აღნიშნულია, რომ მდედრობითი სქესის გამოხატველი სუფიქსები გვხვდება იოანე პეტრიწის თარგმანებშიც და ასეთად დასახელებულია თეოფილაქტე ბულღარელის „იოანეს სახარების განმარტება“ (დანელია 1983: 101), თუმცა დღეს მიცემული თარგმანის ავტორად აღარ მიიჩნევა იოანე პეტრიწი. დღესდღეობით მიჩნეულია, რომ იოანე პეტრიწს უდაოდ ეკუთვნის მხოლოდ ნემესიოს ემესელის თარგმანი „ბუნებისათვის კაცისა“ და პროკლე დიადოხოსის თარგმანი „კავშირნი ღმრთისმეტყველებითნი“ (მელიქიშვილი 1975: 6), ხოლო ამ ორ ტექსტში არც ერთგან არაა მარკირებული მდედრობითი სქესი. როგორც ვხედავთ, ელინოფილურ ტრადიციაშიც არ გვაქვს სქესის გამოხატვისადმი ერთგვაროვანი მიდგომა.

მიუხედავად ელინოფილური სკოლის კონცეპტუალური და გააზრებული დამოკიდებულებისა, ზოგ შემთხვევაში ბერძნულიდან თარგმნისას მდედრობითი სქესის მარკირების შედეგად მიღებული ფორმა ემთხვეოდა უკვე არსებულს და გაჩნდა ბინარული სემანტიკის მქონე სიტყვები. უნდა აღინიშნოს, რომ სიტყვა **წინასწარმეტყველა** გამოიყენებოდა ზოგ შემთხვევაში ზმნის ფუნქციით, ხოლო ზოგჯერ აღნიშნავდა ქალ წინასწარმეტყველს. „იოანეს სახარებაში“ კაიაფა მღვდელმთავარზე წერია: „ესე თავით თვისით არა თქუა, არამედ მღვდელთმოდლუარი იყო მის წელიწდისაი და **წინასწარმეტყველა**, რამეთუ ეგულეობდა იესუს მოსიკუდიდ ნათესავთათვის“ (იოანე 11; 51) ამ შემთხვევაში შეუძლებელია ფორმა **წინასწარმეტყველა** ან მდედრობით სქესს გამოხატავდეს ან კნინობით ფორმას, რადგან კაიაფა იყო მამაკაცი და საუბარია, რომ მან იწინასწარმეტყველა ღვთის ნებით, მიუხედავად პიროვნული უღირსებისა. ანტონ პირველისეულ „სადღესასწაულოში“ ძვ. სტილით 3 თებერვლის განგების თავში დართულია მითითება, რომელშიც წერია, რომ არის ხსენება: „წმიდისა და მართლისა სვიმეონ ღმრთისმომრქმელისა და ანნა **წინასწარმეტყველასი**“. ამ შემთხვევაში **წინასწარმეტყველა** გამოხატავს მდედრობით სქესს და გამოიყენებულია ქალი წინასწარმეტყველის სემანტიკით. ეს მაგალითი აჩვენებს, რომ ახალი ფორმების შემოტანა ძველ ქართულ თარგმანებში გარკვეულ სისტემურ პრობლემებს ქმნიდა. ამგვარი სირთულეები გარკვეულწილად გამოწვეული იყო სხვა, ბერძნული ენის მახასიათებლების (ამ შემთხვევაში გრამატიკული სქესის კატეგორიის) გადმოტანით ქართულში.

სულხან-საბას სქესის გამოხატველი ფორმების გამოიყენების შესახებ ჰქონდა თავისი ლინგვისტური კონცეფცია. ის წერდა, რომ სქესის გარჩევა გვხვდებოდა „ფილასოფოსთა მიერ“. (ორბელიანი 2013: 343), ამიტომ შეიტანა თავის ლექსიკონში, თუმცა ამანაც ვერ უზრუნველყო მდედრობითი სქესის წარმოების დამკვიდრება ქართულში.

XVIII- XIX საუკუნეებში არ შექმნილა ახალი ფორმები, მოხდა ელინოფილური სკოლის მიერ შემოღებული მდებრობითი სქესის სახელთა გამომხატველი ლექსიკური ერთეულების რეაქტულიზაცია. ამ პერიოდში არსებითია ის, რომ გრამატიკული სქესის გამომხატველი სახელები გამოიყენეს განსხვავებული ფუნქციის ტექსტში. ანტონ კათალიკოსმა პირველმა შეიტანა მდებრო. სქესის გამომხატველი ფორმები ისეთ პრაქტიკული დანიშნულების წიგნებში, როგორებიცაა „პარაკლიტონი“, „ჟამნი“, „სადღესასწაულო“ და სხვა. რუსული ენის მიზამდვით ტექსტებში ცალკეულ ფონემებზე შეინიშნება ცვლილებები: ვასილი; ხერუვიმი; ისაია; ილია და ა.შ. ასევე ანტონთან ხშირია სქესის გრამატიკულად გამოხატვის მცდელობა. ანტონ კათალიკოსის პერიოდის „პარაკლიტონში“ მე-3 ხმის „გერი“ იწყება სიტყვებით: **მაგდალინელა** რა მარიამ ახარებდა მკვდრეთით აღდგომასა...“ (პარაკლიტონი 1822: 664), 1-ლი ხმის „განმანათლებელში“ ვხვდებით შემდეგ ტექსტს: „ რწმუნებად ჩუენდა აღდგომისა მისისა და დიდებად შენდა, **ყრმააო**...“ (პარაკლიტონი 1822: 663) როგორც ვხედავთ, ანტონ კათალიკოსმა ლიტურგიკული ფუნქციის მქონე ტექსტებში შეიტანა სქესის განმასხვავებელი ფორმები, რომლებშიც მდებრობითს გამოხატავს -ა დაბოლოება, ხოლო მამრობითს ნულოვანი ნიშანი აქვს. ეს ფაქტი ცხადყოფს, რომ ანტონმა თავისებურად გადაიაზრა ლიტურგიკის მნიშვნელობათა იერარქია, ამ დარგისთვის უპირატესად მიიჩნია ეგზეგეტიკურ-დოგმატიკური მხარე და ამ ნაბიჯით სქესის გამოხატვა გარკვეულწილად მეტაენიდან ობიექტ ენაში გადავიდა. კორნელი დანელიას შენიშვნით, ამ პერიოდის სასულიერო ლიტერატურაში როგორც გრამატიკული სქესი, ასევე სხვა კალკები არის კულტურის სფეროში რუსოფილური მიმართულების, ასევე რუსიფიკატორული პოლიტიკის გაძლიერების შედეგი (დანელია 1983: 107).

ანტონ პირველს მხატვრული ფუნქციის ტექსტებშიც აქვს გამოყენებული სქესის გამომხატველი ფორმები, „წყობილსიტყვაობაში“ ქეთევან დედოფლისადმი წერს:

„**მეფა** მოწამე

ორიონ სამზო

წელეზ მტკიცისამ

ალო სუნნელი...“ (ანტონ კათ. 1853: 114)

როგორც ანტონ I-ის, ასევე მის შემდგომ პერიოდში, კერძოდ მე-19 საუკუნის მწერლობაში სქესის გრამატიკულად გამოხატვა იყო უსისტემო, როგორც ჩანს არ არსებობდა კონკრეტული ენობრივი ნორმები და სტილური მახასიათებლები. აღსანიშნავია, ერთი პერიოდის პოეტები განსხვავებულად უყურებდნენ ამგვარ ფორმებს. გრიგოლ ორბელიანი ყოველთვის არ იყენებდა მდებრობითი სქესის ფორმებს. საილუსტრაციოდ გამოდგება შემდეგი მონაკვეთები ლექსიდან „სალომეს ბეჟანა მკერვალის მაგიერ“:

„ ნუ გწყინს, ვარდო, ყვავილთ **მეფევ**,

რომ ზოგჯერ იასაც ვსუნთქავ...“ (ორბელიანი გრ. 2013: 37),

თუმცა, „სადღეგრძელოს“ ერთ-ერთ რედაქციაში ვკითხულობთ:

„შენა ხარ **მეფა** მშვენიერების“, თამარ მეფეს მიმართავს.

მეორე მხრივ, იმავე პერიოდის ლიტერატურაში, ნიკოლოზ ბარათაშვილთან ვხვდებით სქესის გამომხატველი სუფიქსი, რომელიც გყენებულია ქალი სატრფოსადმი მიმართვისას:

„ვით არ ვადიდო სიტურფის **ღმერთა** !“ (ბარათაშვილი 2012: 37)

როგორც ვხედავთ, მეცხრამეტე საუკუნეში მხატვრული ლიტერატურის ტექსტებშიც გამოიყენება მდებრობითი სქესის ფორმები, მაგრამ ეს ერთიან კონცეფციასაა მოკლებული.

ისტორიული და თეორიული პრინციპების გათვალისწინებით ჩანს, რომ თავდაპირველად ქართულ ნაწერებში გრამატიკული სქესის გამოხატვა განპირობებული იყო ბერძნული ენის გავლენით, ხოლო მისი რეაქტულიზაცია ანტონის მიერ გამოწვეულია ორმაგი გავლენით (ჯერ ბერძნულის, ხოლო შემდეგ რუსულისა). მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი ფორმები XVIII-XIX საუკუნეებში სალიტერატურო ენის ნაწილად აღიქმებოდა, რამდენადაც ისინი არ იყო ქართულისთვის იმანენტური, მალევე ამოიღეს ხმარებიდან.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ დღევანდელ ლიტურგიკულ პრაქტიკაში ჯერ კიდევ ანტონ კათალიკოსის რედაქტირებული კრებულები იხმარება, რომლებშიც, ბუნებრივია, არის ისეთი ფორმები, რომლებშიც მარკირებულია მდედრობითი სქესი და მოითხოვს გადახედვასა და შესწორებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბარათაშვილი 2012: ბარათაშვილი ნიკოლოზ. პოეზია, წერილები. თბილისი: 2012;
2. დანელია 1983: დანელია კორნელი. ქართული სამწერლობო ენის საკითხები. თბილისი, უნივერსიტეტის გამომცემლობა: 1983;
3. კეკელიძე 1980: კეკელიძე კორნელი. ძველი ქართული ლიტ. ისტორია. ტომი I. თბილისი: 1980;
4. მელიქიშვილი 1975: მელიქიშვილი დამანა. იოანე პეტრიწის ფილოსოფიურ შრომათა ენა და სტილი. თბილისი: 1975;
5. ოთხმეზური 2011: ოთხმეზური თ. კომენტარული ჟანრი შუა საუკუნეების ქართულ მთარგმნელობით ტრადიციაში. თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი: 2011;
6. ორბელიანი გრ. 2013: ორბელიანი გრიგოლ. პოეზია, პროზა, წერილები. თბილისი: 2013;
7. ორბელიანი 2013: ორბელიანი სულხან- საბა . სიტყვის კონა ქართული, რომელ არს ლექსიკონი. ტომი IV. თბილისი: 2013;
8. პარაკლიტონი 1822 : პარაკლიტონი. მოსკოვის სტამბა: 1822;
9. სადღესასწაულო 1805 : სადღესასწაულო. მოსკოვი, სინოდის სტამბა: 1805.

Мариана Асанидзе

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი
ხელმძღვანელი: პროფესორი ელზა ლომიძე

Разговариваем молча: к вопросу о невербальном общении в журналистике

Общение наряду с познанием, деятельностью и отношениями является атрибутивной составляющей социума и человека. Общение, т.е. взаимодействие одного человека с другим, – родовое свойство человека, сложный процесс взаимодействия между людьми, условие жизни человеческих сообществ в целом и каждого человека в частности. Именно благодаря взаимодействию формировались все способности и средства личностной коммуникации. В общении заложены культурные и личностно-экзистенциальные смыслы. Когда человек не способен реализоваться в общении, то он становится изгоем общества («выбитой из ряда пешкой»). «А если индивид, – писал Аристотель, – не способен вступить в общение или, считая себя существом самодовлеющим, не чувствует потребности ни в чем, он уже не составляет элемента государства.

Невербальный язык был известен и использовался еще с древних времен. Ярким примером тому служит древнегреческий театр масок, где внешнему выражению внутренних состояний придавалось большое значение. Знания о невербальном выражении эмоций описывались в древних трактатах по ораторскому мастерству. Немаловажную роль позы, жесты и мимика играли и в античной скульптуре.

В период расцвета древнегреческого театра к изучению внешних проявлений внутренних состояний человека обратился Аристотель, посвятив этому явлению свой знаменитый труд «Физиогномика». Работа философа явилась первой попыткой систематизации знания о внешности человека и ее связи с чертами характера. Позже, швейцарский писатель, богослов и поэт, Лафатер вывел теорию физиогномики в которой утверждается, что человек есть существо животное, моральное и интеллектуальное – воделеющее, чувствующее и мыслящее. Эта природа человека выражается во всей его фигуре; поэтому физиогномика в широком смысле слова обнимает всю морфологию человеческого организма. Но так как наиболее выразительным «зеркалом души» является у человека голова, то физиогномика может ограничиться изучением черепа и лица человека. На рубеже XVIII-XIX веков из физиогномики выделилось первое самостоятельное направление – френология. Создателем его является Ф. Галь, который считал, что по форме черепа человека можно определить его характер, наклонности и умственные способности. Например, френология легла в основу биокриминалистики: создание фотороботов преступников. В конце XIX века, Чарльз Дарвин задумался о том, что же такое невербальное поведение. Дарвин, будучи биологом, наблюдал за тем, как ведут себя животные в тех или иных ситуациях, как проявляются их эмоции. Результатом этих наблюдений было выделение неких последовательностей невербальных символов экспрессивного поведения у животных. Однако Дарвин пошел дальше, сравнивая экспрессивное поведение животных с экспрессивным поведением человека в схожих эмоциональных ситуациях. В XX столетии изучением невербального поведения стала заниматься в основном психология. Одно из поворотных открытий психологии в отношении невербального поведения – признание его коммуникативной функции. Российский ученый С.Л. Рубинштейн сформулировал утверждение о том, что выразительные движения не являются простым сопровождением эмоций, как считал Дарвин. Выразительные движения «выполняют определенную актуальную функцию, а именно – функцию общения; они – средство сообщения и воздействия, они – речь, лишенная слова, но исполненная экспрессии». На основе невербального поведения раскрывается внутренний мир личности, осуществляется формирование психологического содержания общения и совместной деятельности.

Журналисту с целью правильного восприятия, понимания и толкования происходящего необходимо в неразрывной связи рассматривать и вербальные и невербальные сигналы. Важно оценивать и то, **что** говорится, и то, **как** говорится, и то, **что** при этом делается. Ведь «язык жестов, язык слов и внутренний мир человека взаимосвязаны». Чтение невербальных сигналов является важнейшим условием эффективного общения журналиста с собеседником. Журналист учится извлекать информацию не только из явных вещей. Язык поз, жестов и мимики включает в себя все формы самовыражения человека, которые не описываются словами. По разным подсчетам, от 70 до 90% информации человек воспринимает именно по зрительному (визуальному) каналу.

Экспериментальные исследования показывают, что *слова* (которым мы придаем такое большое значение) *раскрывают лишь 7% смысла, 38% значения несут звуки и интонации и 55% - позы и жесты*. Спонтанность и бессознательность невербальных сигналов способны открыть истинные чувства и мысли собеседника. Иногда поза, телодвижения выдают чувства человека и тайные намерения яснее, чем слова. Поскольку проявление невербальных сигналов обусловлено импульсами нашего подсознания, мы доверяем этому языку больше, чем обычному.

Изначально термин «профайлинг» (профилирование) употреблялся в контексте составления поискового психологического портрета (профиля) неизвестного лица по следам на месте преступления. Считается, что одна из первых попыток составления психологического портрета принадлежит британскому хирургу Томасу Бонду, которую он предпринял в 1888 году в отношении личности Джека Потрошителя. Профайлинг («англ. profile – профиль) – стал рассматриваться как понятие, обозначающее совокупность психологических методов и методик, как оценки и прогнозирования поведения человека на основе анализа наиболее информативных частных признаков, характеристик внешности, невербального и вербального поведения. Чтобы ясней разобраться в анализе частных признаков невербального и вербального общения предпримем попытку – рассмотреть трактовок уже сложившиеся в науке некоторые из подсистем.

Подсистемы невербального общения

Пространственная подсистема (межличностное пространство) предметом её анализа выступают: интерьер помещения, создающий изначальный контекст. Ориентация – угол, под которым люди сидят или стоят по отношению друг к другу. Дистанция, способная меняться в зависимости от складывающейся ситуации. Близкие сидят рядом, враги стремятся занять положение друг против друга (180%). **Существуют общественные пространственные нормы:** а) интимное расстояние - от 0 до 45 см при общении близких; б) персональное – от 45 до 120 см при общении со знакомыми; в) социальное расположение – от 120 до 140 см (ситуация делового общения); г) публичное расстояние – от 40 до 750 см, которое используется при выступлении перед массовой аудиторией. Не ускользает от внимания данной подсистемы и форма стола, которая также рассматривается как важный фактор воздействия и влияния на отношения партнеров. Известно, что квадратный стол, также как и овальный, создает атмосферу неформального общения, равного участия собеседников в дискуссии.

Прямоугольные столы задают распределение властных полномочий: сидящий в торце видит всех, имеет явное преимущество контроля ситуации, а следовательно обладает наибольшим влиянием (более высокой степенью владением складывающейся ситуации). Обязательным атрибутом данной подсистеме выступает – «горячительная» жидкость, которую пьют из характерных стаканов в железных подстаканниках (при переговорах на столе должны находиться: минеральная вода в бутылках и стаканы для воды; на столе ведущего – *кружка с логотипом*). Глазу должен быть приятен уютный, как бы обжитый ведущим интерьер с необычными дизайнерскими находками. Деталей, привлекающих внимание зрителя, в кадре не должно быть слишком много, но они уместны, если дополнительно акцентируют внимание на кадре. Например,

дизайн студий информационных передач строгий, деловой. Взгляду, как правило, не на чем остановится. Постоянная, динамичная смена кадров, планов, ракурсов создают яркую динамичную картину. У каждой телепрограммы свой специфический стиль съемок. Например, в ток-шоу камеры расположены в определенных точках студии, и постоянный зритель привыкает именно к этим ракурсам.

Оптико-кинетическая подсистема предметом анализа служит – внешний вид собеседника, выражение лица (мимика), позы и жесты (пантомимика). Говорящий прибегает к жестам, чтобы проиллюстрировать то, о чем он говорит, особенно в тех случаях, когда ему не хватает слов, когда описываются предметы особой формы, размеров. Встречаясь с собеседником, журналист прежде всего оценивает его внешний вид, который может сообщить о социальном положении героя, занятиях, вкусах, или информировать о настроении человека. Памятуя об это, сам журналист должен заботиться о своей внешности (или имидже, как сейчас модно говорить). Если у респондента прямая посадка, слегка откинута голова, поднят подбородок и опущены уголки губ, которые выражают презрение или погруженность в свои мысли, – обыкновено воспринимается как притязание на доминирование.

Положение, поза, которую принимает человек во время беседы, может обуславливаться культурой и воспитанием (существуют общепринятые условности). Поза передает межличностные отношения, указывает на социальный статус собеседника. Поза может меняться в зависимости от эмоционального состояния и поддается контролю значительно меньше, чем мимика. Так, расположение корпусов собеседников свидетельствуют о характере коммуникации. Если корпусы повернуты друг другу и расположены параллельно – коммуникация «закрыта» для новых участников и новый собеседник должен предпринять особые усилия для участия в беседе. Если корпусы расположены под углом – участие нового собеседника предполагается и приветствуется. Чем больше угол, тем более открыта коммуникация.

Если во время разговора собеседник сидит в позе креста, когда перекрещены руки и ноги, это так называемая «закрытая» поза. Она трактуется следующим образом: собеседнику разговор по меньшей мере неприятен. Он инстинктивно блокируется, уходит от информации. Если мы разговариваем с собеседником, а тот медленно отодвигается назад, это значит, что оказывается на него сильное эмоциональное давление, и он пытается уйти, закрыться от информации. Открытая поза человека, когда он не напрягается, не зажимается, не подается вперед или назад, как правило, соответствует достаточно свободному взаимодействию с человеком. Самый же демократичный способ общения – когда все рассаживаются по кругу, когда можно встретиться глазами с другими людьми, уже своим поведением можно что-то кому-то сообщить. Вооружившийся знаниями о невербальных языках общения журналист «открывает» для себя и аудитории участников коммуникации.

Выражение лица – «мимический паспорт» человека, в глазах отражается интеллект. Взгляд играет важную роль в передаче межличностных отношений и установлении контактов. Человек спокойно выдерживает взгляд глаза в глаза 10-12 секунд, потом возникает дискомфорт (если вы в очках, то пристальный взгляд выдержать легче, очки являются дополнительной защитой). Взгляд – это достаточно жестокая вещь, им можно подавлять психически более слабого. Спокойный взгляд говорит о самообладании; упорный взгляд о решительности; взгляд пронизывающий и остановившийся на человеке может означать оценку или притязание на доминирование. Журналист должен уметь отслеживать отражающиеся в мимике изменения эмоционального состояния, чтобы направлять беседу в нужное русло. Если журналист способен правильно определить сущность эмоций по выражению лица, результатом становится более глубокое и точное понимание проблем собеседника. Кивок головы обычно действует как подкрепление, он позволяет собеседнику продолжить свою речь. Недобрый знак - руки, скрещенные на груди (руки часто применяются

для создания барьеров). Журналист должен не только понять причину жеста, но и побудить человека занять более располагающую позу.

Яркими сигналами в невербальном общении являются **рукопожатия**. Существует два типа рукопожатий - властные и покорные. Для агрессивного человека свойственно рукопожатие прямой не согнутой рукой. Властный человек подает руку ладонью вниз. Уже одно рукопожатие может содержать в себе важнейшую информацию о вашем собеседнике. **«Говорящие» руки** выдают характер человека и его настроения. Руки, обращенные ладонью вниз, часто говорит о властности человека. Открытые ладони свидетельствуют о вашей откровенности искренности намерений.

При неловкости люди склонны прятать ладони в карманах, за спиной. Захват рукой запястья свидетельствует о нервозности и неуверенности человека. Скрещенные руки выдают оборонительную или негативную позицию. Сплетенные пальцы, прижатые ладони свидетельствуют, например, о нервном напряжении, разочаровании, неприязни. Пальцы у рта - знак уступки, рука прикрывает рот – это означает фальшь или ложь; скрещенные руки свидетельствуют о том, что собеседник сомневается в словах. На языке жестов скрещенные руки играют роль щита. Телесные позы, напряжение и расслабление мускульных систем, движения головы, рук и ног – все это имеет в культуре общепринятую символическую ценность как способы коммуникации.

Кинетико-конституциональные характеристики анализируют строение тела. Походка выдает психические особенности человека. Швейцарский ученый Гарре заложил основы новой науки - скарпологии („*staplo*“ подошва), которая изучает закономерности воздействия характера и физического состояния на манеру снашивать подошвы обуви. Эти детали могут «дорисовать» образ. Зрителя не заинтересует ничем не выделяющееся из общей массы лицо. Нужно отметить, что экран любит яркие, интересные, красочные образы, иногда неожиданные и даже эпатажные. В сознании аудитории должна происходить идентификация героя с той зрительной «оболочкой», которую она себе выбирает.

Паралингвистическая, или около речевая, подсистема изучает вокальные качества голоса, его диапазон, тональность, тембр. Одно и то же содержание может быть передано различными средствами: вариацией высоты голоса, интонацией, ударением, паузой, особенностями выговора. Если люди общаются на равных, то они должны говорить примерно одинаковым тоном, громкостью. Повышение громкости обычно свидетельствует о тревоге или раздражении; понижение громкости может являться признаком недовольства или разочарования. Во многих контекстах ускоренный темп речи сигнализирует о раздражении или тревоге, а замедленный – о нерешительности.

Хорошо звучащий голос тонизирует нервную систему, создает настроение, плохо звучащий – наоборот. Звуковое оформление речи, тембр создают эмоциональный фон разговора, который может быть приятным (положительным) и неприятным. Овладеть голосом – это значит добиться интонационной подвижности и выразительности речи, уметь пользоваться нюансами тембра. Таким образом, невербальные знаки содержат социальные и психологические коды. Ими владеют различные социальные, профессиональные, этнические группы. Знание этих знаков (кодов) чрезвычайно важно для журналиста. Неоценимый помощник журналиста – опыт, помогающий читать невербальные сигналы тела. Важно не ошибиться. Контекст беседы – не просто фон, но и проявляющие характерные черты беседы, рисунок поведения собеседника.

Воздействие посредством невербальных элементов

Невербальная система в высокой степени насыщена функционально. Для коммуникации журналисту необходимо опознавать, оценивать и интерпретировать не только явные, очевидные невербальные средства коммуникации, в том числе характеризующих эмоциональное состояние собеседника, но и проводить перцепцию скрытых посланий. В частности для достижения перфекции требуется соблюдение алгоритма:

восприятие – интерпретация – проверка. Проверка – залог правильного толкования фрагмента или конкретной ситуации в зависимости от контекста. Несловесные приемы при любой форме взаимодействия с собеседником аудиторией являются: законными, в отличие от «25-го кадра», доступными и имеют высокую степень результативности. Таким образом, анализ всех систем невербальной коммуникации показывает, что они, несомненно, играют большую вспомогательную (а иногда самостоятельную) роль в коммуникативном процессе.

Выводы

Исследовав невербальное общение в журналистике, мы пришли к выводу, что чтение невербальных сигналов является важнейшим условием эффективного общения журналиста. Именно процесс общения, работа с людьми – источниками информации – составляет суть и определяет специфику журналистского творчества, так как изначально, с момента возникновения, четвертая власть была призвана формировать общественное мнение, что продолжает делать и сейчас. Для достижения коммуникативного успеха СМИ использовали и используют самые различные способы, в том числе с привлечением разнообразных технических средств. Однако при этом важное место занимали и будут занимать невербальные приемы влияния. Высокое качество и законченность в перцепции невербального помогает журналисту выстроить правильную систему суждений о явлении действительности и может служить основой для эффективного воздействия.

Литература:

1. Лабунская В.А. «Невербальное поведение» (социально-перцептивный подход). Ростов: Изд-во Ростов, ун-та, 1986. С. 5-35.
2. С. Л. Рубинштейн. «Основы общей психологии». СПб., 1998. С. 513-527.
3. Лабунская В. А. «Невербальное поведение: структура и функции» / В. А. Лабунская. – Ростов: Феникс, 1988. – 246 с.
4. Мельник Г. С. «Общение в журналистике: секреты мастерства». 2-е изд., пере- раб. / Г. С. Мельник. – СПб.: Питер, 2008. С. 41-53.
5. Морозов В.П. «Невербальная коммуникация в системе речевого общения». «Психофизиологические и психоакустические основы» / В.П. Морозов – М.: ИПРАН, 1998. С. 136 - 164.
6. Пиз А. «Язык телодвижений. Как читать мысли окружающих по их жестам» / А. Пиз. – М.: Эксмо, 2003. С. 245 - 324.
7. М.М. Лукина «Технология интервью» м.: Аспект Пресс, 2003. С. 171 - 198.
8. В.Н. Панферов «Методологические последствия изучения социальной перцепции» // «Методология и история психологии». 2009. Том 4. Выпуск 3. С. 142 -153
9. «Невербальная коммуникация в консультировании» Дж. Хансен, Р. Стевик, Р. Уорнер// Журнал практической психологии и психоанализа #2 июнь 2000 г.
10. Ч. Дарвин, П. Экман «О выражении эмоций у человека и животных», «Питер», 2013 г. С. 156 - 168.
11. Н.Н. Анисимова, И.Л. Бирагов, В.А. Минкин «Технические и правовые вопросы применения системы виброизображения в качестве средства технического профайлинга»

მარიამ ტუხაშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი
ხელმძღვანელი: პროფესორი კახაბერ ლორია

ქალთა მწერლობა ნორვეგიაში

ფემინიზმი არის მსოფლმხედველობა, რომლის მიხედვითაც, ქალებს უნდა ჰქონდეთ ეკონომიკური, სოციალური, სამოქალაქო, პოლიტიკური და კულტურული უფლებები. ამ მიზნის მისაღწევად ქალებს ხანგრძლივი წინააღმდეგობრივი და საინტერესო გზის გავლა მოუხდათ. ერთი მხრივ, ისინი იაზრებდნენ საკუთარ ადგილს საზოგადოებაში, სახელმწიფოში და, მეორე მხრივ, იბრძოდნენ ჩაგვრის განმაპირობებელი კულტურული ნორმების შესაცვლელად.

საუკუნეებით გამყარებულ რწმენა-წარმოდგენებში ქალის ადგილი და რეალიზაციის ასპარეზი ზღვარდადებული, დეტერმინირებული იყო რეპროდუქციული ფუნქციით, შვილების აღზრდით და ოჯახურ-ნათესაური ურთიერთობებით.

კერიასთან მსხდომი ან მოფუსფუსე ქალების გონება მხოლოდ იმ ნოვთებით და ადამიანებით იყო დაკავებული, რომელთაც მათი ხელები სწვდებოდა, მათი გული თანაუგრძობდა. ფარდის უკან მდგომ მამაკაცებს ბევრი ცრემლი დაუღვრიათ და ბევრჯერ აღუწერიათ ქალების ჭირ-ვარამი, მაგრამ ეს მაინც თანაგრძობა იყო და არა-თანადგომა. ვერავინ შეძლო „ქალის ხვედრის“ გახმოვანება მანამ, სანამ დედები, ცოლებო და ქალიშვილები თავად არ ალაპარაკდნენ, თავად არ დასვეს მანამდე ვერდასმული კითხვები: რა ხდება იქ, სადაც ჩვენ არ ვართ და რა მოხდება, როცა ოჯახის ზღურბლს გადავაბიჯებთ და შევალთ საზოგადოებრივ ცხოვრებაში?

ღარიბ საზოგადოებაში რთულია ისეთი საკითხების წინ წამოწევა, როგორც ადამიანის უფლებები და გენდერული თანასწორობა. თუმცა ნორვეგია კულტურული განვითარების მაღალი დონის გამო ჯერ იდეე მეცხრა, ეტე საუკუნის დასაწყისიდან იწყებს ამ თემაზე მუშაობას.

დღეს ნორვეგია ერთ-ერთ ყველაზე განვითარებულ ქვეყნად ითვლება. ამ მხრივ, მის საკანონმდებლო ორგანოში ყველა სხვა ქვეყნის შესაბამის ორგანოებთან შედარებით ყველაზე მეტი ქალია. ნორვეგია დღეს ერთ-ერთი საუკეთესო ქვეყანაა ქალებისთვის საცხოვრებლად.

ამ საზოგადოების აშენებაში ბუნებრივია წვლილი უამრავ კულტურის დარგში მოღვაწე ქალს მიუძღვის.

ყველა ქვეყნის ქალთა მოძრაობას ჰყავდა საკუთარი გმირი, ქალი, რომელიც შთაგონების წყაროდ და გამამხნეველ ძალად იქცა დანარჩენთათვის. ნორვეგიაში ასეთი კამილა კოლეტი იყო.

კამილა კოლეტი, ვერგელანდი, ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ნორვეგიელი ქალი მწერალია. მან ჩაუყარა საფუძველი ნორვეგიულ ქალთა მწერლობას. მისი ლიტერატურა იმ დროის სკანდინავიური ლიტერატურის ჩარჩოებს ამსხვრევს.

კამილა კოლეტი დაიბადა 1813 წელს კრისტიანსანდში და გაიზარდა ეიდსვოლში. მისი მამა იყო ნიკოლაი ვერგელანდი, მღვდელი, რომელსაც ჰყავდა ხუთი შვილის. კამილა მათ შორის ყველაზე პატარა იყო, ხოლო აგრეთვე ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, ჰენრიკ ვერგელანდი, ყველაზე უფროსი.

ის უმეტესად წერდა ქალთა მდგომარეობაზე საზოგადოებასა და ლიტერატურაში. მის შემოქმედებას მიეკუთვნება წერილები, დღიურები, რომანები, ავტობიოგრაფია, მოთხრობები და ესეები. ძმასთან ერთად ცდილობდა, რომ ლიტერატურით გაეცა პასუხი იმ კითხვებზე, რაც აწუხებდა. წერდა დამოუკი-

დებლობასა და თავისუფლებაზე, აუმხედრდა იმ დროის ქალთა მდგომარეობას, განსაკუთრებით, საკუთარ ქალაქში.

კამილამ განათება მიიღო ოსლოსა და დანიის სკოლებში. ოსლოში ვიზიტის დროს შეუყვარდა ველ-ჰავენი, თუმცა შეუძლებელი იყო ამ გრძნობის ღიად გამოხატვა. ის ვერგელანდის ყველაზე საშიში მოწინააღმდეგე იყო.

ის ხშირად მოგზაურობდა, თვეობით რჩებოდა პარიზში მამასთან ერთად, სადაც გაიცნო ცნობილი ხელოვანები და რევოლუციის გმირები. 1836-1837 წლებში ცხოვრობდა ჰამბურგში, აქ ეზიარა რევოლუციურ ლიტერატურულ მოძრაობას, რომელსაც ეწოდებოდა „ახალგაზრდა გერმანია“.

1830-იან წლებში წერდა თვითნაწილისა და თვითდაკვირვების შედეგად შექმნილ დღიურებს, წერილებსა და მოგონებებს, რომლებიც ხუთ ნაწილად გამოსცა ლეივ ამუნდსენმა.

1841 წელს ის ცოლად მიჰყვება გამოჩენილ პოლიტიკოსს, კრიტიკოსსა და პროფესორს პიტერ იუნას კოლეტს. პეტერს წაკითხული ჰქონდა მისი დღიურები, იცოდა კამილას გრძნობები ველ-ჰავენის მიმართ და იზიარებდა მის მოსაზრებებს ქალთა დამოუკიდებლობაზე. 1840-იანი წლების განმავლობაში ისინი ერთად წერდნენ ესეებს გაზეთისათვის „სანსტიტუციო“. ერთ-ერთ ესეში, რომელიც კამილამ მარტომ დაწერა და გამოაქვეყნა ანონიმურად, მკაცრად გააკრიტიკა ახალგაზრდა მამაკაცები, რომლებიც თავს არიდებდნენ ერთგულების ფიცისა და საერთო მოვალეობების შესრულებას.

სწორედ პიტერ იუნასმა უბიძგა კამილას, რომ დაეწყო წერა, მიუხედავად მათი თბილი და მშვიდი თანაცხოვრებისა, ეს ურთიერთობაც მალე დასრულდა. 1851 წელს კამილა დაქვრივდა და სრულიად მარტო დარჩა ოთხი შვილის ამარა. იგი იძულებული გახდა, გაეყიდა სახლი. მისი შვილები ნათესავებმა შეიკედლეს, ხოლო თავად კი ცხოვრების ბოლომდე ფინანსური პრობლემები ტანჯავდა.

კამილა კოლეტს უდიდესი ღვაწლი მიუძღვის ესეების წერაში, თუმცა დღეს ცნობილია რომანით „უბნის გამგებლის ქალიშვილები“, რომელიც გამოვიდა 1854-1855 წლებში. ამ ნამუშევარში ის შეეხო ქორწინებას სიყვარულითა და ანგარებიან ქორწინებას. თავიდან ავტორმა ვერ გაბედა საკუთარი სახელისა და გვარის მიწერა და ანონიმი ავტორობით გამოსცა.

წიგნი მოგვითხრობს, თუ რა მდგომარეობაში იმყოფებიან იმ ეპოქის ქალები. ეს ნაწევნებია ოთხი დღის მაგალითზე, რომლებიც უბნის გამგებლის ქალიშვილები არიან. მათ ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი ის იქნება, თუ დაქორწინდებიან „კარგად“. ამ რომანსი მან გვიჩვენა გამოკვლევა, თუ როგორია ქალისა და მამაკაცის სიყვარულის იდეალები და რითი განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისაგან. რომანში კოლეტი მოგვითხრობს ქალთა ცხოვრების შესახებ, რომელთა მთავარი მიზანი და დანიშნულება, ერთი შეხედვით, მხოლოდ ოჯახის შექმნაა. ავტორი ცდილობს, დაამხვიოს ქალთა შესახებ შექმნილი ის ცრურწმენები და სტერეოტიპები, რომელთა მიხედვითაც, ქალის როლი მხოლოდ მისი ოჯახით განისაზღვრება. იგი წერს ქალთა სურვილებზე, გრძნობებზე, შეედულებებზე, ინტელექტზე. აღწერს სოციალისმის არაჯანსაღ დამოკიდებულებას ქალის, როგორც საზოგადოების სრულფასოვანი და სრულუფლებიანი წევრის მიმართ. ეს ყველაფერი კი ნაწევნებია პატარა გოგონას, სოფის, მაგალითზე.

კიდევ ერთი მიზეზი, რამაც გამოიწვია აჟიოტაჟი ამ რომანის გამოსვლისთანავე ისაა, რომ კამილა წერს საკმაოდ მარტივი ენით. ეს განსხვავდებოდა იმ წერის მანერისაგან როგორც წერდნენ მოსწავლეები ლათინურ სკოლაში.

რომანზე შესამჩნევია როგორც რომანტიზმის, ასევე რეალიზმის გავლენა და ამიტომ შეგვიძლია ვუწოდოთ პოეტურ-რეალისტური ნაწარმოები. კრიტიკოსთა ნაწილი ამ ნაწარმოებს ავტორის პირად ცხოვრებასთან აკავშირებს. იქიდან გამომდინარე, რომ მწერლის სიყვარული ოჯახის წინააღმდეგობამ შეიწირა, ლოგიკას მოკლებული არაა ის აზრი, რომ კოლეტი მართლაც საკუთარ ცხოვრებას ასახავს რომანში, როდესაც წერს „ჩვენი ბედი ქორწინება და არა ბედნიერება“.

„უზნის გამგებლის ქალიშვილები“ პირველი ფემინისტური რომანია, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, ნორვეგიულ ლიტერატურაში. ის პირველი შეეხო საზოგადოების პრობლემებს. მას წაკითხული ჰქონდა, როგორც ფრანგი მწერლის, ჟორჟ სანდის, ასევე შვედი მწერლის ფრედრიკა ბრემერის ნამუშევრები და კარგად იცნობდა მათ შეხედულებებს ამ თვალსაზრისით, თუმცა, უპირველეს ყოვლისა, გადმოცემულია საკუთარი მოსაზრებები.

1860 წელს გამოსცა წიგნი „მოთხრობები“, სადაც გააგრძელა სიყვარულის თემატიკის განხილვა, ხოლო ავტობიოგრაფიულ ნამუშევარში „გრძელი დამეები“, ყურადღება გამახვილებულია საკუთარ გამოცდილებაზე: რას აძლევს წარსულის განცდილი სასაიყვარულო ისტორიები, მას, როგორც მწერალს და რას ნიშნავს ქალისთვის იყოს მწერალი? ორივე წიგნი გამოსცა ანონიმურად, მხოლოდ ბოლოში მიაწერა: „უზნის გამგებლის ქალიშვილების ავტორი“. კამილა კოლეტი იბრძოდა ქალთა უფლებებისათვის ჯერ კიდევ მაშინ, სანამ დაიწყებოდა ნორვეგიაში ფემინისტური მოძრაობები. მან საფუძველი ჩაუყარა თავის ქვეყანაში ქალთა საკითხის კვლევას, რასაც მოჰყვა პატაქტიკული რეფორმები. ეს მოიტანა ინდუსტრიულმა რევოლუციამ და ტექნიკის განვითარებამ.

კიდევ ერთი გაბედული ქალი აღმოჩნდა ამალია სკრამი, რომელიც შეეცადა, რომ კალმით დაემტკიცებინა ე.წ. „სუსტი“ სქესის სიძლიერე.

ეს ავტორი იყო ერთ-ერთი პირველი „მოდერნისტული გარღვევისა“ ალექსანდრ შილანდსა და იუნას ლიესთან ერთად. მათ შემოიღეს ახალი ჰარმონიული ფორმა რომანისა, რომელიც იძლეოდა კრიტიკული ინტერპრეტაციის სივრცეს, როგორც სოციალური გარემოს, ისე - შიდა ცხოვრებისეული ნიუანსებისათვის.

სკრამის ნატურალისტური ნოველები ქორწინების შესახებ გამოჩნდა 1885 წლიდან. მან გამოსცა 20-მდე ნაშრომი, მათ შორის - ნოველები და ორი დრამა, თუმცა, ძირითადად რომანები.

მისი ნაშრომები ეხმიანებოდა იმ სპეციფიკას, რომელიც ქალის ცხოვრებას გააჩნდა - იძულებით ქორწინებებს, რომლებიც სრულიად შეუძლებელს ხდიდა მათ ინტეგრაციას. საშუალო კლასის ოჯახები, რომლებიც მსგავს ქორწინებებით იყო შექმნილი, წარმოდგენილია, როგორც გალია ემოციურად გადატაკებული ქალებისათვის. მათ არანაირი შესაძლებლობა არ გააჩნდათ თავის დაღწევას. „კონსტანტის ბეჭედი“ (1885), „ლუსი“ (1888), „ქალბატონი ინესი“ (1891) და „ღალატი“ (1892) - ყველა ამ ნაწარმოებში ნაჩვენებია იმდროინდელი სექსუალური ეთიკის ნაკლოვანებები. სკრამი უპირისპირდებოდა ორმაგ სტანდარტებს, რომლებიც გამეფებული იყო ბურჟუაზიულ ცნობიერებაში, ქალისა და მამაკაცის სექსუალობის მიმართ. იგი არ ერიდებოდა პროსტიტუციის პრობლემისა და სექსუალური მორალის განხილვას.

ამავდროულად, მან გამოიყენა ექსპრესიული წერის მანერა მოთხრობების კრებულ „ზაფხულში“, ხოლო, ექსპერიმენტული და არაკონვენციონალური რომანის ფორმა - ნახევრად დასრულებულ რომანში - „ადამიანები“ (1902-05).

მისი ნოველები პროვოკაციული იყო მათი „არაფემინური“ ხმამაღლობით. ის ცდილობდა, ყოველგვარი შერბილების გარეშე ეჩვენებინა ქალთა რეალობა. მისი გმირები არიან ქალები, რომლებსაც წართმეული აქვთ სიყვარულის უფლება და უნარი აღზრდისა და რეპრესიული გარემოს წყალობით.

ამალია სკრამის მოღვაწეობა შეიძლება დავეყოს სამ ნაწილად - ქორწინების რომანები (1885-92), ჰელმირელების შესახებ ნაშრომი (1887-98) და რომანები ფსიქიატრიულ საავადმყოფოში (1895).

ოთხ საქორწინო რომანში - „კონსტანტის ბეჭედი“, „ლუსი“, „ქალბატონი ინესი“ და „ღალატი“ - იგი იკვლევს ისეთ საკითხებს, როგორცაა: რა არის ქალი? როგორ ფორმირდება იგი? და როგორი გარემოებები აქცევს მის ცხოვრებას ჩარჩოებში?

უნდა ითქვას, რომ ამალია სკრამი თავის ცხოვრების წესითაც გამოხატავდა პტოტესტს ქალთა და მამაკაცთა მიმართ ორმაგი სტანდარტების წინააღმდეგ. ის ყოველთვის დამოუკიდებელი იყო ფინანსურად თავისი მეუღლისაგან და გადაწყვეტილებების მიღებაშიც აქტიურ მონაწილეობას იღებდა.

მარიამ მანია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი
ხელმძღვანელი: პროფესორი კახაბერ ლორია

ვიკინგები საქართველოში, რატომ იბრძვიან ისინი საქართველოში და რატომ იქცა მათი პირველი გამორჩენა უკანასკნელად?

ვიკინგები სკანდინავიელი, ნორმანი მეზღვაური მეომრების დასახელებაა, რომლებიც VIII-XI საუკუნეში თავს ესხმოდნენ ევროპის ქვეყნებს. ვიკინგების, როგორც ეთნიკური ჯგუფის სამშობლო დღევანდელი შვედეთის, ნორვეგიისა და დანიის ტერიტორიაზე მდებარეობდა. სავარაუდოდ, მათი სახელი მეკობრეს ნიშნავდა. ვიკინგები უბადლო მხედრები და მეომრები იყვნენ. თავიანთ სამშობლოში ისინი სოფლის მეურნეობას, მეთევზეობასა და ხელოსნობას მისდევდნენ. ვიკინგების დიდი ნაწილი გლეხი იყო, მათ მოყავდათ მარცვლეული და ბოსტნეული, აშენებდნენ ხარ-ძროხას, ღორებს, ქათმებსა და თხებს. ვიკინგები გარეულ ცხოველებზე ნადირობდნენ. ისინი კარგი მჭედლები და მეტალურგები იყვნენ. ამზადებდნენ ბრწყინვალე იარაღსა და სამკაულებს, აგრეთვე მოჩუქურთმებულ საგნებს. უმრავლესობა დიდ, გრძელ სახლებში ცხოვრობდა. სახლი ეკუთვნოდა ბელადს და ყველა, ვინც ბელადისთვის შრომობდა, მის სახლში ცხოვრობდა. თუმცა ვიკინგების, როგორც სოციალური ჯგუფის ძირითად საქმიანობას მეკობრეობა წარმოადგენდა. ნორვეგიელი ვიკინგები თავს ესხმოდნენ ბრიტანეთს, ისლანდიასა და ირლანდიას. დანიელი ვიკინგები ძირითადად ლაშქრობდნენ დიდ ბრიტანეთში. ამჯერად ჩვენთვის მნიშვნელოვანია შვედი ვიკინგების მარშრუტი, რომლებმაც გეზი აიღეს აღმოსავლეთისკენ. ვიკინგებს სხვადასხვა ენაზე სხვადასხვაგვარად მოიხსენიებენ.

მაგალითად, რუსეთში ამ ჩრდილოელ მეომრებს ვარიანგები უწოდეს, ხოლო ბიზანტიაში – ვარანგები. ამ უკანსკნელ ტერმინსვე იყენებს „მატიანე ქართლისა“ ვიკინგების აღსანიშნავად („და მოვიდეს ვარანგნი სამი ათასი“). ვიკინგები, ესენი არიან მეომრები, რომლებთანაც ისტორიას ძალიან ბევრი კითხვა გააჩნია. ამ ჩრდილოელი მეომრების ცხოვრების წესი, მათი ტრადიციები, ღირებულებები თუ ფასეულობები ისტორიის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს, რადგან გადაჭრით ვიკინგებზე ლაპარაკი თითქმის შეუძლებელია. მათი ცხოვრება ძირითადად ასახულია გადმოცემებში, ლეგენდებში, საგებში და ამიტომ, რეალობა ხშირ შემთხვევაში შერწყმულია მითთან.

ვიკინგები ოჯახში მეორე და მესამე ვაჟები არიან, რომელთაც მამისგან ქონება არ ერგოთ. ამიტომ ისინი იძულებულნი გახდნენ სარჩო-საბადელი სხვაგან ეძებნათ. ცხადია ამისთვის არაფერს თაკილობდნენ. ეს იყო მიზეზი, რატომაც ისინი იწყებენ დაპყრობითი ხასიათის მოგზაურობას ევროპაში. ასეთმა ცხოვრების წესმა განაპირობა ვიკინგებში ისეთი თვისებების განვითარება, როგორებიცაა სიმარჯვე და გამძლეობა. აღსანიშნავია, რომ მათთვის კანონი და სამართალი უმალეს ფასეულობას წარმოადგენდა. მეათე საუკუნეში ვიკინგებმა ქრისტიანობის მიღება დაიწყეს, რამაც მოგვიანებით განაპირობა მათი მრისხანე ბრძოლების შეწყობა. როგორც აღვნიშნეთ, ვიკინგებმა სკანდინავიის ნაპირები დატოვეს იმისათვის, რომ ეძიათ სარჩო-საბადელი. ამიტომ ისინი დაქირავებულ მეომრებად იქცნენ. საქართველოშიც ვიკინგებს თავიანთ ჩვეულ, დაქირავებული მეომრების ამპლუაში ვხვდებით.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, შვედმა ვიკინგებმა გეზი აღმოსავლეთისკენ აიღეს. მათი მოქმედების არეალს ბალტიის ზღვა წარმოადგენდა. ისინი თავიანთი საყვარელი გემების (დრაკარი და კნარი) მეშვეობით, სხვადასხვა მდინარეების გავლით რუსეთშიც და ბიზანტიაშიც მოხვდნენ. სწორედ ბიზანტიელებმა დაიწყეს აქტიურად გამოცდილი და ბრძოლისუნარიანი ვარანგების ჩარიცხვა საკუთარ რაზმებში. რუსეთში კი ისინი მხოლოდ დაქირავებულ მეომრებს არ წარმოადგენდნენ. მათ იქ საკმაოდ ცნობილი

სახელმწიფოც კი ჩამოაყალიბეს – კიევის რუსეთი. 1043 წელს ბიზანტიაში რუსულ-ვიკინგური ლაშქრობა მოეწყო. მათ კონსტანტინოპოლის აღებაც კი გადაწყვიტეს, მაგრამ ეს მცდელობა მარცხით დასრულდა. ბიზანტიელებმა ისინი ტყვედ ჩაიგდეს. ნაწილი სიკვდილით დასაჯეს, ხოლო ნაწილმა თავს უშველა და სამშობლოში დაბრუნება გადაწყვიტა. საქართველოში სწორედ ვიკინგთა ეს ნაწილი მოხვდა. ეს არის XI საუკუნის 40-იანი წლები, როდესაც საქართველოში მიმდინარეობს დაპირისპირება მეფე ბაგრატ მეოთხესა და მასზე არანაკლებ გავლენიან და შეძლებულ, კლდეკარის გამგებელ ლიპარიტ ბაღვაშს შორის. მათ შორის ურთიერთობა იმდენად დაიძაბა, რომ ორივე მხარემ გადაწყვიტა უცხო მხარის მოწვევა დასახმარებლად. ლიპარიტ ბაღვაშისთვის ამ ძალას ბიზანტიელები წარმოადგენდნენ და ეს გასაგებიცაა, ხოლო ბაგრატ მეფემ დამხმარე ძალად ვიკინგები მოიწვია. ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც ვარანგები საქართველოში ჩნდებიან და ამავდროულად უკანასკნელიც.

ბაგრატ მეოთხემ დასახმარებლად 3000 ვიკინგს უხმო, რომლებიც სოფელ ბაშში, ქუთაისის, ანუ მეფის რეზიდენციის მახლობლად დაბანაკდნენ. თუმცა გადამწყვეტ ბრძოლაში, რომელიც კასპთან ახლოს, სასირეთის ჭალაში მოხდა (1047 წ.) მხოლოდ 700-მა ვიკინგმა მიიღო მონაწილეობა. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ბაგრატი კიდევ ელოდა დამხმარე ძალას მესხების სახით, მაგრამ საკუთარ ძალაში დაწმუნებულმა ვარანგებმა გადაწყვიტეს არ დალოდებოდნენ მათ და მეფესთან შეუთანხმებლად მიიტანეს იერიში მტერზე. მეფე კი უბრალოდ იძულებული გახდა შეერთებოდა მათ მიერ ნაადრევად წამოწყებულ იერიშს. სისხლისმღვრელი შეტაკება ლიპარიტის გამარჯვებით დასრულდა. სანამ გადავიდოდეთ უშუალოდ მიზეზების განხილვაზე, თუ რატომ ვხდებით ვიკინგებს საქართველოში მხოლოდ ერთხელ, მიმოვიხილოთ შვედური წყაროების ცნობები საქართველოს შესახებ.

ამ საკითხის კვლევისას, „მატიანე ქართლისას“ მცირე ეპიზოდი ცხადია საკმარისი არ არის. მთავარ წყაროს წარმოადგენენ რუნიკული წარწერები (სტელეზზე) და სკანდინავიური საგები, კერძოდ კი საგა „ინგვარ შორს მოგზაურის“ შესახებ. ვიკინგები არა მხოლოდ ბრძოლით, არამედ ვაჭრობითაც იყვნენ ცნობილნი. მათთვის ერთ-ერთ მთავარ სავაჭრო გზად იქცა კასპიის ზღვა, მას შემდეგ რაც ჩაიკეტა მდ. ვოლგის გზა. (ვიკინგების ერთ-ერთი ტრადიციული სავაჭრო გზა მდინარე ვოლგაზე გადიოდა, რომლის მეშვეობითაც ისინი ჩადიოდნენ კასპიის ზღვამდე და შემდეგ აგრძელებდნენ გზას ხალიფატის ცენტრ – ბაღდადადამდე, საიდანაც შვედეთში ჩამოჰქონდათ არაბული ვერცხლი. თუმცა, მას შემდეგ, რაც შუა აზიური მომთაბარე ტომების შემოსევის შედეგად ვოლგის გზა ჩაიკეტა, ვიკინგებმა დაიწყეს ახალი სამოგზაურო და სავაჭრო გზების ძიება კასპიის ზღვის მიმართულებით.) შვედი მეცნიერი, პროფესორი მატს ლარსონი მიიჩნევს, რომ კასპიის ზღვამდე ჩასასვლელად ვარანგებს საქართველოს მდინარეების გავლა მოუწიათ. რამდენიმე რუნიკული წარწერა გვაწვდის ცნობებს ინგვარ მოგზაურის მარშრუტზე სარკლანდში, რომელშიც ლარსონის აზრით საქართველო იგულისხმება (თუმცა ბევრი სხვა მეცნიერი მიიჩნევს, რომ ეს შეიძლება პერსიაც ყოფილიყო). ამას ბევრი მეცნიერი სკეპტიკურად შეხვდა და მათ მთავარ არგუმენტს წარმოადგენდა ის, რომ ვიკინგები ვერ შეძლებდნენ საქართველოს მეჩხერი მდინარეების გავლას. ამიტომ, ლარსონმა 2004 წელს მოაწყო ექსპედიცია „ვიტფარნე“ (ინგვარ მოგზაურის, ანუ ინგვარ ვიტფარნეს საპატივცემულოდ). ექსპედიციისთვის დამზადდა ვიკინგების მსუბუქი ნავის ზუსტი ასლი. ექსპედიცია მდ. დნეპრის მეშვეობით ჩავიდა შავ ზღვაში და აუყვა მდ.რიონს ქუთაისამდე. შემდეგ მდინარეების, ყვირილასა და ჩხერიმელას გავლით მივიდა ლიხის ქედამდე. გაიარეს სახმელეთო ნაწილი ხარებისა და მარხილების მეშვეობით, რის შემდეგაც მდინარე მტკვრის გავლით მიაღწიეს კასპიის ზღვას. მამასადამე, „ვიტფარნემ“ დაადასტურა, რომ ვიკინგებისთვის საქართველო მართლაც წარმოადგენდა გზას კასპიის ზღვამდე მისაღწევად. ახლა კი გასაგები ხდება, თუ რატომ შეეძლო მოეწვია ბაგრატ მეფეს ისინი, საყოველთაოდ ცნობილი მეომრები. უნდა აღვნიშნოთ, რომ რუნიკულ სტელეზზე მოცემულ ცნობებში სარკლანდი, ანუ საქართველო სავაჭროდ კარგად არის დახასიათებული. კარგი დახასიათება, რა თქმა უნდა, გამოიხატება იმაში, რომ სავაჭრო გზის თვალსაზრისით საქართველო ფაქტობრივად გამოსავალს

წარმოადგენდა ვარანგათავის თავიანთი საქმიანობის გასაგრძელებლად. მაშინ რატომ ვხდებით ვიკინგებს (რა თქმა უნდა, საუბარია როგორც სოციალურ ჯგუფზე, რადგან როგორც ეთნიკური ჯგუფის გავლენა მეტნაკლებად შესამჩნევი იყო მათი გამოჩენის შემდეგაც) საქართველოში მხოლოდ ერთხელ და რა გახდა მიზეზი იმისა, რომ ვიკინგების ინტერესი ამ ქვეყნის მიმართ გაქრა ?

უნდა აღვნიშნოთ, რომ ვიკინგები საქართველოში მათი მოღვაწეობის ბოლო წლებში გამოჩნდნენ (ვიკინგთა მოღვაწეობის ქრონოლოგიური ჩარჩო VIII-XI სს-ები). თუმცა, ეს ფაქტი ხელს არ უშლის მსჯელობას იმის შესახებ თუ რატომ იქცა მათი პირველი გამოჩენა უკანასკნელად. დავიწყით იმით, რომ ვიკინგები საქართველოში მოხვდნენ შემთხვევით (რუსულ-სკანდინავიური ლაშქრობის შედეგად ბიზანტიაში). ამიტომ მათი ერთხელ გამოჩენა საქართველოში შეიძლება დავუკავშიროთ შემთხვევითობას და ვიკინგთა საქმიანობას (დაქირავებული მეომრები). მაგრამ ეს არ იყო მხოლოდ შემთხვევითობა, რადგან რუნიკული წარწერები გვაცნობენ, რომ საქართველო მათთვის სავაჭრო გზასაც წარმოადგენდა. ე.ი. ეს ქვეყანა მათთვის მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო და მიზეზიც უნდა ჰქონოდათ აქ რამდენჯერმე გამოჩენის. მაგრამ, ეს ასე არ მოხდა. ისინი მხოლოდ ერთხელ იბრძვიან საქართველოში განსხვავებით ჩვენი მეზობელი ქვეყნებისგან. დაუზბრუნდეთ ამ ბრძოლას და გავიხსენოთ ბრძოლის შედეგი: ლიპარიტ ბაღვაში და ბიზანტიელებმა დაამარცხეს ბაგრატ მეფისა და ვარანგების გაერთიანებული ჯარი. გავიხსენოთ „მატიანე ქართლისა“ და მემატიანის ბოლო ფრაზა: „მისცნა ლიპარიტ პაშტნი და წინა მათსა პურსა უკაზმიდეს.“ ბევრი ისტორიკოსი მიიჩნევს, რომ აქ იგულისხმება შემდეგი ფაქტი: გამარჯვებულმა ლიპარიტმა დამცირების მიზნის ვიკინგებს კალო გააღწინა. ეს იყო ქალის საქმიანობა და წარმოიდგინეთ რამხელა შეურაცხველია მიაყენა მეომრებს, რომელთათვისაც ღირსება უდიდესი ფასეულობა იყო. მეორე და უფრო სარწმუნო მიზეზი ვიკინგების საქართველოში მხოლოდ ერთადერთხელ გამოჩენის შესახებ უშუალოდ ინგვარ მოგზაურს უკავშირდება. როგორც ვიცით, რუნიკული სტელები აღმართული იყო დაღუპული ვიკინგი მეომრების პატივსაცემად. სტელა, რომელიც ინგვარის შესახებ გვაწვდის ინფორმაციას, ასევე იუწყება, რომ ის და მისი ძმები დაიღუპნენ აღმოსავლეთში, კერძოდ სარკლანდში. ზუსტი მიზეზი დაღუპვისა სტელაზე მოხსენიებული არ არის და სწორედ ეს იწვევს გაურკვეველობას. თუმცა საგებში არსებული ინფორმაციისა და სტელებზე მოცემული ცნობების შეჯამებით, მეცნიერების უმრავლესობა თანხმდება იმაზე, რომ ეს იყო დაავადება (შესაძლოა ჭირიც). როგორც ვხედავთ, საქართველოს ვიკინგებისთვის მხოლოდ დადებითი შედეგი არ მოუტანია (სავაჭრო გზის თვალსაზრისით). ინგვარი იყო ბოლო ვიკინგი, რომელმაც აღმოსავლეთში იბრძოლა და ის სავარაუდოდ საქართველოში დაიღუპა. ეს ორი ფაქტი სავსებით საკმარისია იმისთვის, რომ ვიკინგებს წარმოდგენა შეცვლოდათ ამ ქვეყანაზე და მიუხედავად უმნიშვნელოვანესი სავაჭრო გზისა, მიეხედავთ თავიანთი საბრძოლო საქმიანობისა საბოლოოდ გადაეწყვიტათ აქედან წასვლა.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ვიკინგების გამოჩენა საქართველოში საკმაოდ საინტერესო ფაქტია, რომელსაც მუდმივი გაურკვეველობა სდევს თან. საინტერესოა, რატომ შემოიფარგლა „მატიანე ქართლისა“ მხოლოდ რამოდენიმე წინადადებით ვარანგების შესახებ. არადა, ზოგიერთი მკვლევრის აზრით ვიკინგების გავლენა (მიუხედავად იმისა, რომ როგორც დაქირავებული მეომრები, ისინი მხოლოდ ერთხელ ჩნდებიან საქართველოს ისტორიაში) ქართულ მოსახლეობაზე დღესაც ნათელია. ამის არგუმენტად კი მოჰყავთ შვედეთში მცხოვრები ხალხის, საამებისა და ხევსურების ნაციონალური ტანსაცმლების ფერებისა და ფორმების მსგავსება. გარდა ამისა, სიმონეთში ბოლო დროს ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოაჩინეს ვიკინგური ტანსაცმლის საკინძეები და სამაჯურები. ფაქტი ერთია, რომ საქართველოსა და სკანდინავიას შორის არსებული ურთიერთობა განსაკუთრებულია ფაქტია და მას მეტი პოპულარიზაცია სჭირდება. ამ მხრივ უმნიშვნელოვანესი საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის დოკუმენტური ფილმების სტუდიის მუშაობა ფილმზე „ვიკინგების მოგზაურობა საქართველოში“. ფილმი სავარაუდოდ უფრო ნათელს გახდის ამ ისტორიული ფაქტის მიზეზ-შედეგობრივ არსს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. “Nordic Mythologies: Interpretations, Intersections, and Institutions.“ Timothy R. Tangherlini
2. “Runes and Their Secrets: Studies in Runology”. Marie stoklund
3. “ქართლის ცხოვრება“ <http://www.tabula.ge/ge/story/57229-fiqrebi-stokholmidan> (პერ ეკლუნდი, ევროკავშირის ელჩი საქართველოში 2006-2010 წლებში)
4. <http://sweden.mfa.gov.ge/index.php?lang-id=GEO> HYPERLINK
5. <http://sweden.mfa.gov.ge/index.php?lang-id=GEO&sec-id=483&info-id=21191>“& HYPERLINK
6. <http://sweden.mfa.gov.ge/index.php?lang-id=GEO&sec-id=483&info-id=21191>“sec-id=483 HYPERLINK
7. <http://sweden.mfa.gov.ge/index.php?lang-id=GEO&sec-id=483&info-id=21191>“& HYPERLINK
8. <http://sweden.mfa.gov.ge/index.php?lang-id=GEO&sec-id=483&info-id=21191>“info-id=2111 (კონსტანტინე ქავთარაძე, საქართველოს ელჩი შვედეთის სამეფოში).

ია ბაკურაძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი, ბაკალავრიატი
ხელმძღვანელი: პროფესორი კახაბერ ლორია

ოდ ნერდრუმი – უხამსი გენიოსი ძველი ოსტატების კვალდაკვალ (ანტიმოდერნიზმი)

თანამედროვე ეპოქაში, როდესაც ხელოვნებამ სხეული დაკარგა და აბსტრაქტულ ცნებად გადაიქცა, როდესაც ხელოვნები მთელი მონდომებით ცდილობენ რეალობის კონცეპტებად გადაფუთვას და თანამედროვე არტსაც ჯერ კიდევ ახალი საღებავის სუნი უდის, დიდი გამბედაობაა საჭირო რათა უბრალოდ ხატო ის, რასაც ხედავ. რასაც ყველა ხედავს. ოღონდ ხატო ისე, რომ დანახულმა ძირფესვიანად შემრას მნახველი – დიდი გამბედაობაა საჭირო რათა საკუთარი თავი და სხვები მოურიდებლად გააშიშვლო და დაუბრუნდე ძველს, დაუბრუნდე ადამიანს, იმ ადამიანს, რომელიც მართლა სამყაროში თავისი შიშების, ტკივილებისა და ეჭვების ამარა. ოდ ნერდრუმი, მხატვარი, რომლის მთელი ცხოვრებაც დინების წინააღმდეგ ცურვას, ადამიანია, რომელმაც შეიცნო საკუთარი თავი, ადამიანი, რომელიც არ ერიდება სკანდალსა და თავისი კლასიკური ხატვის მანერასთან შერწყმული ტაბუირებული თემატიკის ტილოებით ერთნაირად აღიზიანებს და აღაფრთოვანებს პუბლიკას მას შემდეგ, რაც პირველად გამოვიდა ასპარეზზე გასული საუკუნის 60-ანი წლების ბოლოს. ოდ ნერდრუმის თითოეული ნახატი იმპულსით იწყება. იმპულსით რომელსაც იგი გარესამყაროსაგან იღებს. მოვლენები, ადამიანები თუ სიტყვები ხორცს ისხამენ და ოსტატის ტილოზე ფორმას იღებენ იმ ტექნიკით, სადაც მეთექვსმეტე-მეჩვიდმეტე საუკუნეებში რომ გადაგისვრის. ტილოებზე კარავაჯოსეულ ფერებში ცოცხლდებიან რემბრანდტისეული სახეები. ოდ ნერდრუმი განსაკუთრებით საინტერესო სწორედ ისი სკანდალურობის გამოა.

ნახატები, რომლებშიც ერთმანეთს ერწყმის კონსერვატორული ხატვის მანერა და სრულიად არაკონსერვატორული თემატიკა, თავიდანვე გახდნენ ნორვეგიელი კრიტიკოსების გაცემისა და აღშფოთების საგანი. მათთვის მიუღებელი იყო ერთ კონტექსტში და ერთ მთლიანობაში აღექვათ რემბრანდტის, კარავაჯოს მანერა და ამ მანერით შესრულებული განყენებული ადამიანის ფიგურები, თითქოს ბუნებრივი ჰაბიტატიდან ამოგლეჯილი და სადაც, დროისა და სივრცის მიღმა ჩანერგილი სხეულები. დრო და სივრცე კი ნერდრუმის შემოქმედებაში პირობითი ცნებებია. მისთვის არც ერთი მათგანი არ არსებობს. ოდ ნერდრუმის ქმნილებები უარყოფენ ყველა პირობითობას და მარადისობასა და უსასრულობაში არსებობენ, თავად მხატვარსაც ერთადერთი რამის განვითარებისა სწამს – ცალკეული ინდივიდისა, ამიტომაც თავს არც ავანგარდისტებს მიაკუთვნებს, არც მოდერნისტებს და არც იმისთვის იბრძვის, რომ რაიმე დაამტკიცოს. მისი მნიშვნელობა უკვე არაერთხელ დაამტკიცეს მაღალი ფასის მიუხედავად გაყიდულმა ტილოებმა, საერთაშორისო კოლექციონერთა და მუზეუმების დაუოკებელმა ინტერესებმა, არაერთმა შთაგონებულმა ხელოვანმა და მოსწავლეების მთელმა არმიამ ნერდრუმის აკადემიაში. ოდ ნერდრუმის აზრით, მოდერნისტები საკუთარ ეპოქაზე არიან დამოკიდებულნი, წლების შემდეგ კი, უკან მოხედვისას აღმოაჩენენ, რომ ის, რაც იქიდან ჩვეული ბრწყინვალეობით იმზირება, ისევ და ისევ კლასიკოსთა შემოქმედებაა. სწორედ ამიტომ ემიჯნება იგი მოდერნიზმსა და მიჰყვება დროის მიერ გამოცდილ გენიოსთა ნაფეხურებს.

ოდი – პირველი ნაბიჯები. ოდ ნერდრუმი შვედეთში, ჰელსინგბორგში 1944 დაიბადა. ის ოსლოს ხელოვნების აკადემიის სტუდენტი იყო, როდესაც აკადემიის მიერ ორგანიზებული სტუდენტური ექსკურსიისას სტოკჰოლმში გამოეყო ენდი უორჰოლისა და როი ლიხტენშტაინის ნამუშევრების გარშემო შეკ-

რებილ სტუდენტთა ჯგუფს თანამედროვე ხელოვნების მუზეუმში და ეროვნული მუზეუმის რემბრანდტის დარბაზისკენ გაეშურა. აქ იგი მოჯადოებული იდგა კლავდიუს ცივილისის წინ. სწორედ ეს იყო გარდამტეხი მომენტი ნერდრუმის ცხოვრებაში. მან გადაწყვიტა რემბრანდტის მანერით ხატვა შეესწავლა. თუმცა აღოჩნდა, რომ ეს არც ისე მარტივი იყო, როგორც ერთი შეხედვით ჩანდა. ოდის ამ გადაწყვეტილებამ მაშინვე გამოიწვია კონფლიქტი აკადემიის სტუდენტებსა და პროფესორებთან. არავინ იყენებდა ძველ ტექნიკას და მიაჩნდათ, რომ პროექტი რეაქციული და გამომწვევი იყო. თანაც ფიგურატიული ხელოვნების აკადემიაში სწავლების წინააღმდეგ ერთ-ერთი მთავარი არგუმენტი ის იყო, რომ ფიგურატიული ხელოვნება პოპულარულია და ამგვარად თანამედროვე ხელოვნების კრიტერიუმებს არ აკმაყოფილებს. ნერდრუმმა დატოვა აკადემია და ძველი ოსტატების შესწავლა დაიწყო. შეიძლება ითქვას, რომ აქედან დაიწყო მისი ბრძოლა მოდერნიზმის წინააღმდეგ. ამბობდა კიდევაც: „მოდერნიზმი ჩანდა ძალიან მოძველებული და უამური, უკვე იმდენი მოდერნისტული ნამუშევარი მქონდა ნანახი, რომ პირდაპირ ყელში ამომვიდა“. ახალგაზრდა მხატვარი განსაკუთრებულ სიახლოვეს კარავაჯოსა და რემბრანდტთან გრძნობდა. კარავაჯოსთან რეალიზმისა და მის სურათებში არეკლილი ულმობელი, დრამატული ტემპერამენტის გამო, ხოლო რემბრანდტან მისი თვალწარმტაცი სუბსტანციისა და ადამიანური მოთმინების.

ნერდრუმი პუბლიკისათვის 60-იან წლებში გახდა ცნობილი. 1970-ანებში მისი ნამუშევრები უკვე აღფრთოვანებასა და გაცეხას იწვევდა მნახველში, თანამედროვე ესთეტიკის საპირისპიროდ ოდ ნერდრუმი ტრადიციულ ფიგურატიულ მხატვრობას ქმნიდა, ამის გამო კრიტიკის ქარცეცხლი დაატყდა სამშობლოში, თუმცა კი საზღვარგარეთ დიდი ყურადღება დაიმსახურა და აღიარება მოიპოვა. იგი სწრაფად გამოეყო ახალგაზრდა მხატვრების ჯგუფს და ერთ-ერთი მოწინავე ფიგურა გახდა მოდერნიზმისა და დოგმების წინააღმდეგ ამბოხში, მან შექმნა მოტივები, რომლებმაც ნერდრუმი სკანდინავიის ყველაზე ხშირადხსენებად და ლანძღვად მხატვრად აქცია. კიჩი კიჩ-მხატვრობა კლასიკური მხატვრების ინტერნაციონალური მიმდინარეობაა, რომელიც 1998 წელს ოდ ნერდრუმის წამოყენებული იდეების საფუძველზე ჩამოყალიბდა, როდესაც მან ასტრუპ ფერნლის მუზეუმში რეტროსპექტიული გამოფენის გახსნაზე საკუთარი თავი კიჩის-მხატვრად გამოაცხადა და გამოიყენა ტერმინი კიჩი, როგორც თანამედროვე ფიგურატიული მხატვრობის შესაფერისი სახელწოდება. ეს კი მიმართების რადიკალურ ცვლილებას ნიშნავდა, რადგანაც კიჩი ნეგატიური სიტყვა იყო, გადაჭარბებული სენტიმენტალობის აღმნიშვნელი.

ნერდრუმის დამოკიდებულება კიჩისადმი ერთგვარი პოლემიკური თავდასხმა იყო ხელოვნების ინსტიტუტზე და ფიგურატიული მხატვრობისათვის ალტერნატიული კრიტერიუმების ჩამოყალიბების სურვილი. სადაც – ნერდრუმის თქმით, – მხატვრული ხელობა, გულწრფელობა და ადამიანური მგრძობელობა ცენტრალურია: „როცა აღმოვაჩინე, რა არის ხელოვნება და რა არის კიჩი, მივხვდი, სად ვგრძნობდი თავს ისე, როგორც შინ. ამიტომაც გამოვიყენებ ამ შესაძლებლობას და ბოდიშს მოვითხოვ. მე საკუთარ თავს ხელოვანს ვუწოდებდი და თან პირში უსიამო გემოს ვგრძნობდი. ახლა ვიცი, რომ მე ეს არ ვარ. მე ყალბი დროშის ქვეშ დავცურავდი და ბოროტად ვიყენებდი პრესის ინტერესს და ინტელიგენციაც, რა თქმა უნდა, სრულიად სამართლიანადაა განრისხებული. ჩემი ნამუშევრების მიღმა არაფერი ღრმა არ დევს. ყველაფრის დანახვა ზედაპირზეა შესაძლებელი. მეტს არაფერს გეტყვით, არც ხელოვანებს და არც ინტელექტუალებს. სრულიად სამართლიანად ისაკლისებენ ისინი ჩენს ნახატებში სიღრმესა და დროს. მაგრამ ღმერთმა იცის, ვცდილობდი რაც შემეძლო კარგად გამომეხატა ადამიანის სწრაფვანი ჩემი კიჩით. განა რა გვამომრავებს იმაზე ძლიერად, ვიდრე ბავშვობის და სიჭაბუკის წადილები? და თუკი ჭკმში რიტება ამ ლტოლვებშია. ისინი იმ ბოშა გოგონაში უნდა იძებნოს, მზის ჩასვლის ფონზე რომ შემოისეირნებს. ხელოვნება ხელოვნებისთვისაა და საზოგადოს ეხება. კიჩი ცხოვრებას ემსახურება და ცალკეული ადამიანებისთვისაა“. განაცხადა ნერდრუმმა.

მიმდინარეობამ შემდგომ დასრულებული სახე მიიღო ოდისავე წიგნში „კიჩის შესახებ“. კიჩის მიმდევრები ტერმინს აღიქვამენ არა როგორც უარყოფითს, ან ხელოვნების საპირისპირო ცნებას, არამედ როგორც რაღაც დადებითს. თავისთავად დამოუკიდებელ ზედანაშენს და ისინი ამტკიცებენ., რომ კიჩი არის არა მოძრაობა ხელოვნებაში, არამედ მოძრაობა ფილოსოფიაში: ღირებულებათა და ფილოსოფიის ზედანაშენი, რომელიც ცალკე დგას ხელოვნებისაგან. კიჩ-მოძრაობა მოიაზრებოდა როგორც არაპირდაპირი კრიტიკა თანამედროვე ხელოვნების სამყაროსი, მაგრამ ნერდრუმის თანახმად და მრავალი კიჩ-მხატვრის აზრით, ეს სულაც არაა მათი მიზანი. კიჩ-ფილოსოფია ბუნებით ჰუმანისტურია და ახასიათებს ემპირიზმი და/ან ობიექტივიზმი, განსაკუთრებით როცა საქმე ესთეტიკას ეხება. იგი გამოცდილებაზეა დაფუძნებული. ა პოსტერიორზე, ხელოვნების საწინაღმდეგოდ, რომელიც, კანტის აზრით ა პრიორულ ცოდნაზეა დაფუძნებული. კიჩ-მხატვრობა ხაზს უსვამს და გამოკვეთს ინდივიდუალიზმსა და თავისუფლებას. ზოგადად კიჩის კრიტიკა აჟღერებდა აზრს, რომ ამ მიმდინარეობის მხატვრები ემსახურებოდნენ არა ჭეშმარიტებას, არამედ სილამაზეს. ნებისმიერი მცდელობა რაიმე მშვენიერის შექმნისა კიჩამდე მივიდოდა. კიჩი კი არ იღებდა მონაწილეობას ხელოვნების განვითარებაში, მაშინ როდესაც ხელოვნება კრეატიული იყო.

თუმცა ოდ ნერდრუმი, რომელსაც ხშირად რეაქციონერად ნათლავდნენ მიიჩნევდა, „გულწრფელობისგან უფრო მეტი მოგებაა, ვიდრე ირონიისგან“ და „კიჩი ნიჭთანაა წილნაყარი, ხელოვნება კი უპირისპირდება ტალანტს“ ოდ ნერდრუმის ნახატები ნერდრუმის ნახატები სამ კატეგორიად შეიძლება დაიყოს: ნატურმოტები და ინდივიდუალურ ფიგურაზე ორიენტირებული ნახატები, პორტრეტები და ავტოპორტრეტები, ალეგორიული ნახატები, ჩვენი ცივილიზაციის შემდგომი ადამიანებისა. თავდაპირველად ოდმა ძალები სოციალური თემატიკის მხატვრობაში მოსინჯა, ამ პერიოდიდან აღსანიშნავია „ანდრეას ბაადერის მკვლელობა“ სადაც მას ტერორისტი ქრისტეს მსგავს ფიგურად ჰყავს გამოხატული და „ლტოლვილები ზღვაზე“ 80-ანი წლებიდან ოდმა უარი თქვა სოციალურ მოტივებზე, ლტოლვილები ზღვაზე მისი ბოლო ნამუშევარია ამ კონტექსტში, ახალი ეპოქა კი იწყება „ტრანსფიგურაციით“, ნერდრუმის პერსონაჟებმა გზა გაიკვალეს საზოგადოებიდან მისტიკური, არქეტიპული და დროისაგან მოწყვეტილ სამყაროსაკენ. მათი სამოსი, იარაღი თუ თავსაბურავები აწ უკვე გამჭრალი წარსულის გადმონაშთია. ისინი არსებობენ უნაყოფო და გახრწნილ ბინდბუნდში, რომელიც ისლანდიის ბუნების ფერებითა და ფორმებითაა შთაგონებული.

ნერდრუმისათვის ბინდი აზრისა და სხეულის შეხვედრის ადგილია, სადაც ფიგურების ჟესტები და გაპოზილი პირები სულსა და საღ აზრს, ბუნებასა და კულტურას, ინდივიდსა და კოლექტივს შორის არსებულ წნეხს გამოხატავენ. ტრანსფიგურაცია (1983) ისევ და ისევ ოდ ნერდრუმი ხატავს იზოლირებულ ფიგურებს რომლებიც მყუდროდ მოკალათებულან საკუთარ მარტოობაში. შეიძლება ითქვას, ეგუებიან საკუთარ ბედისწერას და არასოდეს სვამენ კითხვებს, რადგან მისი ალტერნატივა არ იციან. ნერდრუმის ნახატებში მარტოობა უკვე აღარ იწვევს შიშს, იგი ცხოვრების ფაქტადაა ქცეული. ნერდრუმის ნახატებში ქალები და კაცები ცოცხლობენ იზოლაციაში, არავის ეგუებიან. იმდენადაც ჩანს, რომ მის ადამიანებს მხოლოდ მარტოობაში შეუძლიათ გადარჩენა, რადგან როდესაც ისინი ერთად არიან, არიან ინდიფერენტული, ისინი ისეთივე ცარიელები არიან შიგნიდან, როგორი ცარიელიც გარემოა მათ გარშემო. თავისი კლასიკოსი წინამორბედების მსგავსად, ნერდრუმიც უამრავ ავტოპორტრეტს ხატავს სადაც საზღვრები დადგმასა და რეალობას შორის იშლება. თავისი მოუწესრიგებელი თმითა და გრძელი პერანგით ნერდრუმსაც კი ყოველდღიური და სახასიათო გარეგნობა აქვს. მხატვრობა, როგორც თავის გამჟღავნება ოდ ნერდრუმის შემოქმედება გაჟღერებულია მისი ბიოგრაფიით, იმპულსები, რომლებიც მხატვარს ხელში ფუნჯის აღებას აიძულებდნენ მისივე პირადი სამყაროდან მოდიოდა, მთელი ცხოვრება ტანჯავდა ოდს ეჭვები იმ ადამიანთან დაკავშირებით, რომელიც მის მამად იწოდებოდა – სკანდინავიური ავიახაზების იურისტისა და დირექტორის, იუჰან ნერდრუმისადმი. მართალია გარემო პირობები ამის წინაპირობას არ

ქმნიდა, მაგრამ მომავალ მხატვარს მუდამ სტანჯავდა განცდა, რომ იგი არ ეკუთვნოდა თავის ოჯახს. ოდის ეჭვები გარკვეულწილად მაშინ დადასტურდა, როდესაც 1991 წელს იუჰან ნერდრუმი გარდაიცვალა და ახალგაზრდამ შეტყობინება მიიღო, რომ არ სურდათ, იგი დაკრძალვაზე მისულიყო.

უკვე მომავალ ზაფხულს ახალი მიმართულება მიიღო საქმემ, ოდის მოწაფე, სტიგ რისტესუნდი შინ დაბრუნდა ჰაუგესუნდიდან და ოდს უამბო ხანში შესული არქიტექტორის შესახებ, რომელიც ძალიან მიემსგავსებინა მასწავლებლისათვის. – მას ხომ ოდის მსგავსი მზერა, იგივე მოძრაობები და ისეთივე ნერვული ტიკები ჰქონდა. არქიტექტორს დავიდ სანდვედი ერქვა და იმის გარდა, რომ რამდენიმე მნიშვნელოვანი შენობა დაეპროექტებინა ჰაუგესუნდში, გამოჩენილი ანთროპოსოფი და კულტურული ფიგურა იყო. მაშინ ოდს გაახსენდა, 17 წლისამ როგორ ნახა დედამისის ერთ-ერთ წიგნზე მიძღვნილი „ლილემურს დავიდისაგან“. დედამისმაც დაუდასტურა თავისი და დავიდის ურთიერთობა, რომელიც მეორე დღეს ისევ უარყო. ოდმა 1993 წლამდე იცადა, შემდეგ კი სტიგისა და მისი კონტაქტების დახმარებით სანდვედის რამდენიმე ფოტოსურათის მოპოვება შეძლო. ორი თვის შემდეგ იგი უვე 81 წლის სანდვედს ეწვია და ოდის ცხოვრების ნაწილებმაც საკუთარ ადგილებზე იწყეს დაბრუნება. ამავე წელს დახატა ოდმა „მამა პოულოზს თავის ვაჟიშვილს“ მაგრამ ფაქტობრივი მოცემულობის აღწერის ნაცვლად, საკუთარი თავი პასიურ როლში გამოსახა და საშუალება მისცა მოტივს გადმოეცა მრავალწლიანი ლტოლვა მამისადმი.

ამ ვერსიაში მამა პოულოზს მძინარე შვილს, რომლის გარშემოც მოუსვენარი მოხეტიალის ნივთებია მიმოფანტული. როგორც იქნა ჰორიზონტზე ჩნდება მამა, რათა გაათავისუფლოს შვილი შიშისა და ტკივილებისაგან და ასე, ერთად მიცურავენ ისინი ყოფიერების აუტანლობიდან, უკან, შემრიგებელი მიღმიერისაკენ, საიდანაც მოვიდნენ. ზღვის სიმბოლოებს კი ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ოდ ნერდრუმისათვის. დღესდღეობით ოდ ნერდრუმი ისლანდიის მოქალაქეა, იქ ცხოვრობს და მოღვაწეობს, მისი შემოქმედება ისევ ალაფრთოვანებს მნახველს და მხატვარც სრულიად საფუძვლიანად აცხადებს – „მე მარადიული ვარ“.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Pettersson, Jan Åke: Odd Nerdrum : historieforteller og selvavslører: Oslo : Aschehoug, 1998.
2. Nerdrum, Odd: On Kitsch, Kagge 2011 <http://nerdrummuseum.com/>.

დაკაბადონდა და ელექტრონული ვერსია მომზადდა
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის გამომცემლობაში

დამკაბადონებელი - ეკატერინე თეთრაშვილი

0179 თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი 1
1 Ilia Tshavtchavadze Avenue, Tbilisi 0179
Tel 995 (32) 2251432
www.press.tsu.edu.ge